წალკელები ხელისუფლების დაგვიანებულ რეაგირებას უჩივიან A3
შედგება თუ არა პრემიერა? A8
გულახდილად B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
შაბათი, 17 იანვარი, 2004 წელი. №13 (562)
ფასი 50 თეთრი

„ყველამ ახალი საქართველოს წესებით უნდა ითამაშოს"

ასლან აბაშიძე მოსკოვშიც იმალება

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

აჭარის ლიდერის მოსკოველი თანამოაზრეები მიიჩნევენ, რომ მან ზედმეტი ლოიალობა გამოიჩინა საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ვერ გაუძლო საქართველოში აშშ-ს ელჩის ზეწოლას და დანებდა. შესაძლოა, ამითიც აიხსნას რუსეთის პოლიტიკურ წრეებსა და პრესაში აბაშიძის ამჟამინდელი ვიზიტის ხაზგასმული მიჩუმათება. არც პომპეზური პრესკონფერენცია მოუწყვიათ მისთვის მეგობარ "იტარ-ტასში".

მოსკოვში ალაპარაკდნენ, რომ აბაშიძე ბათუმში ჩატარებულ მიტინგს გამოექცა. ამბობენ იმასაც, რომ აბაშიძე შეშინებული ჩანს. ისიც ითქვა, რომ აჭარის ლიდერი აღარავის ენდობა.

ასლან აბაშიძეს ამჟამად აღარ ახლდა მისი მოსკოველი მრჩეველი, პროფესორი და სეხნია ასლან აბაშიძე ანუ "პატარა ასლანი". არც რუსეთის ფედერაციაში აბაშიძის პირადი წარმომადგენელი ბადრი მელაძე და არც დანარჩენნი, ვინც რუსი პოლიტიკოსებისათვის მოსკოვის სასტუმროებში ხელგაშლილ პურმარილებს აწყობდნენ ხოლმე. ერთი სიტყვით, ამ ვიზიტისას მოსკოვში აბაშიძეს საკუთარი გარემოცვა თითქოს შემოეძარცვა.

დსთ-ს ინსტიტუტის დირექტორმა კონსტანტინ ზატულინმა რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მსუბუქად გააკრიტიკა აბაშიძე თბილისისადმი ერთგვარი შემწყნარებლობის გამო.

ასეა თუ ისე, აბაშიძის მოსკოვური ტურნე მაღალ კონსპირაციულ დონეზე მიმდინარეობს. უკომენტარო კონსულტაციები რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, რუსეთის რამდენიმე მინისტრთან აუდიენცია და აბაშიძის საყვარელი სასტუმრო "მეტროპოლი", სადაც ადმინისტრატორიდან კარისკაცამდე - ყველა გაფრთხილებული იყო, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა თქვან, ცხოვრობს თუ არა მათთან ვინმე ასლან აბაშიძე.

აჭარის ლიდერის პოლიტიკური მრჩეველი, საერთაშორისო სამართლის პროფესორი ასლან აბაშიძე "24 საათთან" საუბარში აცხადებს, რომ ბატონ ასლანს ცუდი გარემოცვა ჰყავს. აქაურს თუ იქაურს გულისხმობს, მაგრამ არ აკონკრეტებს. დიდი ასლანის სეხნია ამბობს, რომ თბილის-ბათუმს შორის დაპირისპირებული დიალოგი კონსტრუქციული საუბრით უნდა შეიცვალოს, თორემ საქმე სისხლისღრამდე მივაო. შემდეგ კი - ბუნდოვანი ფრაზა: "აჭარა პატარა სახელმწიფოა სახელმწიფოში, რომელთანაც თბილისს კონსტიტუციურ ჩარჩოებში მოუწევს ურთიერთობა".

რომელი კონსტიტუცია ან რა ჩარჩოები იგულისხმება, "პატარა ასლანი" არ "შიფრავს".

საკაშვილმა აბაშიძეს დაუმტკიცა - ჩემთან ურჩობა არ გაგივაო

"მე არ ვაპირებ, მოვითმინო დაუმორჩილებლობა! საქართველოში არსებობს ერთიანი კანონი, ჩვენ ყველანი თანასწორნი ვართ ამ კანონის წინაშე. მე ვადასტურებ თანამშრომლობის სურვილს აჭარის ხელისუფლებასთან, მაგრამ ეს იქნება თანამშრომლობა, გამომდინარე საქართველოს კონსტიტუციიდან. კანონის დასაცავად უკან არ დავიხევ, იმიტომ, რომ ეს არის ჩემი მოვალეობა ქართველი ხალხის წინაშე," – გუშინ საქართველოს არჩეულმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აჭარის რეგიონის ხელმძღვანელობას არა უბრალოდ დაუქნია თითი, არამედ საქმით დაანახა - ჩემთან "ფეოდალური ურჩობა" არ გაგივაო.

ვერიკო თევზაძე

მიხეილ სააკაშვილისთვის აკაკი ჩხაიძის დაკავების ფაქტი იმით არის უმნიშვნელოვანესი, რომ ამ შემთხვევაში **"შსს-მ პირველად განახორციელა ნამდვილი იურისდიქცია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე."** მიხეილ სააკაშვილი ინაუგურაციას ცხრა დღით ასწრებს და საზეიმოდ კურთხევამდე ახდენს თავისი ძალის დემონსტრირებას კანონის ფარგლებში და კანონის უზენაესობის სახელით: **"მე ვარ საქართველოს არჩეული პრეზიდენტი,**

გაგრძელება A3 გვერდზე

ბათუმს თავშეფარებულ აკაკი ჩხაიძეს აჭარელმა სამართალდამცველებმა ვერ უშველეს

სოფიკო ჩხაიძე

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება "აღარ ხუმრობს" და ამაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ნამდვილად დარწმუნდა. საქართველოს შინაგან სამინისტროს ქვედანაყოფებმა მათ ცხვირწინ "აიცალეს" ბათუმში მშვიდად ცხოვრების გარანტიის მქონე ძებნილი, სააქციო საზოგადოება "საქართველოს რკინიგზის" ყოფილი შეფი აკაკი ჩხაიძე.

საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ დაამტკიცა, რომ პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია ყოველგვარი ხელოვნურად შექმნილი ბარიერის დაძლევა.

გაგრძელება A7 გვერდზე

აკაკი ჩხაიძე ბათუმის საავადმყოფოდან გამოჰყავთ.

ცესკო-ს ხმაურიანი სხდომა

თამარ ასათიანი

გუშინ ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა ძალზე ჰგავდა იმ სხდომებს, რომელიც ჯერ კიდევ ორი ნოემბრის არჩევნების წინ იმართებოდა – საკმაოდ მკვეთრი გამოსვლები, ყვირილი, ცესკო-ს თავმჯდომარის გაუთავებელი შენიშვნები... ასეთი ვნებათაღელვა კი ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რამდენიმე ხნის წინ მიღებულმა გადაწყვეტილებამ გამოიწვია, რომლის თანახმადაც, ჭიათურაში მაჟორიტარული არჩევნების შედეგები ბათილად გამოცხადდა. გუშინ, წესით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საკუთარი გადაწყვეტილება უნდა გაეუქმებინა და გამარჯვებული კანდიდატიც დაესახელებინა, მაგრამ უკანასკნელ წუთს, კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, საკითხი დღის წესრიგიდან ამოიღეს. ამას კი ჭიათურიდან ჩამოსული საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა და იურისტთა ხმამაღალი პროტესტი მოჰყვა. საბოლოოდ, ისინი დარბაზიდან გააძევეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

საჩვენებელი ბავშვთა სახლის რეალური სახე

ნინო ცინცაძე

ყველა, ვისაც კი საქველმოქმედო აქციის კამერების წინ ჩატარება მოუნდება, დიღმის ბავშვთა სახლს მიაშურებს ხოლმე. ეს ბავშვთა სახლი, თუ შეიძლება ასე ითქვას, "საპრეზიდენტო რანგის" საჩვენებელი დაწესებულებაა. შარშან, საახალწლოდ პრეზიდენტი შევარდნაძე იქაურობას ელიტურ-ვარსკვლავურ საზოგადოებასთან ერთად ეწვია. ვარსკვლავებმა ხუთ-ხუთი წუთით ხელში აიყვანეს თითო-თითო, სხვათა შორის, მშვენიერი ბავშვი და ღვთისა და ქვეყნის წინაშე ვალი ასე მოიხადეს. ედუარდ შევარდნაძეს წლევანდელ ახალ წელს ამგვარი აქციის ჩატარება აღარ დასცალდა - იგი მიხეილ სააკაშვილმა შეცვალა. ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ამ სახლში საკუთარ დაბადების დღეზე ტორტითა და ტელევიზორით ხელდამშვენებულმა მოიხადა საქველმოქმედო ხარკი. ერთადერთი პოლიტიკოსი, ვინც დიღმის ბავშვთა სახლში ერთჯერადი სტუმრობით არ შემოფარგლულა, ახლანდელი

დიღმის ბავშვთა სახლის აღსაზრდელები.

შინაგან საქმეთა მინისტრი გია ბარამიძეა. იგი, როგორც დიდუბის რაიონის დეპუტატი, ამ სახლს კამერების გარეშეც ხშირად სწვევია. მისი დახმარებით, ბავშვებისათვის ახალი შენობებიც შენდება. მაგრამ, ბოლო დღეებამდე ამ სახლის ცხოვრების "შინაური ქრონიკები" არც მისთვის და არც ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი არ ყოფილა. ყველაფერი კი ასე დაიწყო...

გაგრძელება A6 გვერდზე

მითი დაიმსხვრა

ეკა კვესიტაძე

როდის დადგება აბაშიძის ჯერი? – შევარდნაძის რევოლუციურ-ხავერდოვანი წასვლის შემდეგ, ეს ყველაზე აქტუალური კითხვაა. აბაშიძის ფენომენი იმ გარემოს განუყრელი ნაწილი იყო, რომელიც შევარდნაძემ შექმნა და ის, რომ ამ ფენომენის სიცოცხლისუნარიანობა სხვა, ახალ გარემოში დიდხანს ვერ გასტანს, უკვე ცხადზე ცხადია.

მითს, რომელიც აჭარის პატარა დიქტატორზე თავად ყოფილმა პრეზიდენტმა და მისმა გარემოცვამ შექმნა, ძალა დღითიდღე ეკარგება. სრულად ეკარგება დამაჯერებლობა იმ არგუმენტსაც, რომ აბაშიძეს, სეპარატისტული განწყობების ამოქმედების სახით, ძლიერი ბერკეტი დარჩა, რომელსაც ნებისმიერი ხელისუფლების წინააღმდეგ გამოიყენებს.

"კმარა აბაშიძის დიქტატურა, იმიტომ, რომ მე მიყვარს ჩემი სამშობლო!" - ეს ის წარწერებია, რომელსაც თვალს მოჰკრავთ ყველგან და ყველაფერზე – საწერ კალამზე, პოლიეთილენის პარკებზე, მაისურებზე, სხვადასხვა შენობების კედლებზე, ქუჩებზე.

მითები, რომ აჭარის მოსახლეობა ბედნიერია, რომ ასლან ბაბუზე ყველას მზე და მთვარე ამოსდის, რომ ბათუმში კულტურა ყვავის, რომ ხალხს იქ ყველაფერი აქვს, დაწყებული ელექტროენერგიით - ხელფასებითა და პენსიებით დამთავრებული, რომ აბაშიძეს ამ ხალხით მანიპულირება შეუძლია და ასე შემდეგ, უკვე წარსულს ჩაბარდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

საქართველოს რკინიგზას ლევან ვარშალომიძე უხელმძღვანელებს

რკინიგზის დირექტორის ვინაობა გარკვეულია - გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში სახელმწიფო მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ "საქართველოს რკინიგზის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრებსა და რკინიგზელთა პროფკავშირებს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე 32 წლის ლევან ვარშალომიძე წარუდგინა.

"დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის საკითხთან დაკავშირებით ფართო კონსულტაციები მიმდინარეობდა. მივედით იმ დასკვნამდე, რომ უკეთესი იქნებოდა, უპირველეს ყოვლისა, თავმჯდომარედ კარგი მენეჯერი, კარგი რეპუტაციის მქონე ადამიანი და ამ სფეროში ყველანაირად სუფთა პიროვნება აგვერჩია," - განაცხადა დღეს სახელმწიფო მინისტრმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

საბაჟო რეიდებს იწყებს

ნიკა მარიამიძე

ჩანს, შიდა ქართლის გუბერნატორობისას ირაკლი ოქრუაშვილის მიერ აპრობირებულმა მეთოდებმა გაამართლა. ყოველ შემთხვევაში, საბაჟო დეპარტამენტმა კონტრაბანდასთან ბრძოლის მეთოდიკა შეცვალა და მოქმედება ოქრუაშვილის მიერ ერგნეთში ნაცადი ხერხებით – კონტრაბანდის სამოძრაო შემოვლითი გზების აფეთქებით განაგრძო. ამჯერად "დეტონაციის ქვეშ" სომხეთიდან შემომავალი "კონტრაბანდული ტვირთნაკადის ტრასები" მოჰყვა.

გაგრძელება A4 გვერდზე

ამინდი

თბილისი	10	წვიმა
ქუთაისი	11	წვიმა
ბათუმი	11	წვიმა
სოხუმი	6	წვიმა
ფოთი	10	წვიმა
თელავი	9	წვიმა
გორი	6	წვიმა
ახმეტა	8	წვიმა
ჭიათურა	8	წვიმა
გაგრა	3	წვიმა
სამტრედია	11	წვიმა

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1350
ევრო	2.6715
გირვანქა სტერლ.	3.8729
რუბლი	0.0739

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი
B1 სტუმარი B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 კვირა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

საქართველოს რკინიგზას ლევან ვარშალომიძე უხელმძღვანელებს

პირველი გვერდიდან

ბესო გულაბაძისეული ფოტო

ლევან ვარშალომიძე სახელმწიფო მინისტრმა წარადგინა.

თავის მხრივ, ლევან ვარშალომიძის განცხადებით, იგი, პირველ რიგში, კორუფციასთან, მონოპოლიასა და ყველა სხვა გამოვლენასთან ბრძოლით იქნება დაკავებული. ვარშალომიძეს იურიდიული განათლება აქვს. იგი მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში, იუსტიციის, ხოლო შემდეგ ფინანსთა სამინისტროში, რის შემდეგაც წავიდა კერძო სექტორში და იგი ბოლო ორი წელია, საკონსულტაციო კომპანიის "დვნკ"-ს დამფუძნებელი და პარტნიორია.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა 23 იანვარს გაიმართება, სადაც ლევან ვარშალომიძის საკითხს განიხილავენ და, სავარაუდოდ, დაამტკიცებენ კიდეც.

24 საათი

"იტერა" საქართველოდან საბოლოოდ განდევნეს

გუშინ "გაზპრომის" მოსკოვის ოფისმა საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია "იტერას" მომხმარებლებისათვის ბუნებრივი აირის მიწოდების შეწყვეტა ოფიციალურად მოსთხოვა. გაზის დამოუკიდებელ მომპოვებელთა (მათ შორის - "იტერას") გაზის თავისი მილსადენებით ტრანსპორტირების შეზღუდვის თაობაზე "გაზპრომი" ჯერ კიდევ გასულ წელს აცხადებდა.

"გაზპრომის" ეს სვლა გაზის გარეშე დატოვებს "იტერას" კუთვნილ "აზოტს". გარდა ამისა, საკუთარი გაზის გარეშე დარჩებიან "იტერას" კუთვნილი გაზგამანაწილებელი ქსელები, მათ შორის - "ქუთგაზი" (ქუთაისი), "ბორჯომგაზი", "გორიგაზი", "ზესტაფონიგაზი", "რუსთავგაზი", "მცხეთაგაზი" და სხვა – სულ 27 საწარმო.

გაზის ტრანსპორტირების კომპანიაში აცხადებენ, რომ, მიღებული შეტყობინების მიუხედავად, "იტერას" აბონენტთათვის გაზმომარაგების უცებ შეწყვეტა შეუძლებელია და გაზის სისტემის დაზიანების თავიდან აცილება მხოლოდ გაზის მიწოდების ეტაპობრივი შემცირების გზით უნდა მოხდეს. გარდა ამისა, კომპანიაში "აზოტის" გაზმომარაგების სრული შეწყვეტა გამართლებულად არ მიაჩნიათ.

"იტერას" ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში თამაზ პატარიძე აცხადებს, რომ "გაზპრომთან" მოლაპარაკებები მიმდინარეობს: "სავარაუდოდ, გაფორმდება ახალი ხელშეკრულება გაზის მოწოდების თაობაზე. "გაზპრომის" ოფიციალური პასუხი კი, ალბათ, ორ-სამ დღეში გახდება ცნობილი".

24 საათი

გენერალური პროკურორის საკადრო ცვლილებები

ახალმა გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა საკადრო ცვლილებების განხორციელება დაიწყო. ირაკლი ოქრუაშვილმა გენერალური პროკურორის საგამოძიებო განყოფილების უფროსს აკაკი ბუდაღაშვილს და თბილისის პროკურორს თენგიზ მახარაძეს თანამდებობები დაატოვებინა.

თბილისის პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების უფროსი, "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერის, პარლამენტარ ნოდარ გრიგალაშვილის ძმა - ვალერი გრიგალაშვილი თბილისის პროკურორად დაინიშნა; გენერალური პროკურორის საგამოძიებო განყოფილების უფროსად კი ყოფილი ადვოკატი გიორგი ლაცაბიძე დაინიშნა, ხოლო თბილისის პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების უფროსად - ზურაბ კუხიანიძე, რომელიც პენიტენციალური სისტემის ზედამხედველი პროკურორი იყო.

თანამდებობიდან გათავისუფლებულია გენერალური პროკურორის მოადგილე გიორგი თვალავაძე და გენერალური პროკურორის მოადგილე ვენედი ბენიძე. ირაკლი ოქრუაშვილის ირწმუნება, რომ კადრებს პროფესიონალიზმის მიხედვით შეარჩევს და სისტემას ფეხზე დააყენებს.

მედია-ნიუსი

ზუგდიდში თავს დაესხნენ პოლიციელებს

ზუგდიდში მორიგი შეიარაღებული თავდასხმა მოხდა. ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონაში სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა სამმართველოს პოლიციის საპატრულო მანქანას ორი შეიარაღებული, ნიღბიანი თავდამსხმელი ჩაუსაფრდა და მანქანას ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან მოულოდნელად ცეცხლი ზურგიდან გაუხსნა. სროლის შედეგად დაჭრილია სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა სამმართველოს სამი თანამშრომელი - თენგიზ ხუფარია, ზაზა ნარსია და თენგიზ შარია. აქედან ერთ მათგანს, თენგიზ ხუფარიას, გულმკერდის არეში ხუთი ტყვია აქვს მოხვედრილი და მისი მდგომარეობა მძიმეა. იგი ზუგდიდის ცენტრალური საავადმყოფოდან თბილისში, რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადმოიყვანეს და სასწრაფო ოპერაცია გუშინ ჩაუტარეს. დანარჩენ ორ პოლიციელს, ზაზა ნარსიას და თენგიზ შარიას, ამბულატორიული მკურნალობა უტარდებათ. მომხდარ თავდასხმასთან დაკავშირებით უკვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, თუმცა სამართალდამცველებისთვის თავდამსხმელთა ვინაობა, ჯერჯერობით, უცნობია.

მედია-ნიუსი

ევროსაბჭო საქართველოს ხელისუფლებას რეკომენდაციებს აძლევს

ევროსაბჭოს სტრატეგიული დაგეგმარების დირექტორატის ხელმძღვანელი ჟან ლუი ლორანი საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ნინო ბურჯანაძესა და სახელმწიფო მინისტრს ზურაბ ჟვანიას შეხვდა. საუბარი ჩატარებულ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს შეეხებოდა. ჟან ლუი ლორანმა საქართველოს ხელისუფლებას რეკომენდაციები მისცა.

იგი საჭიროდ მიიჩნევს საკონსტიტუციო რეფორმების განხორციელებას და მინისტრთა კაბინეტის შემოღებას. ამასთან, დასძენს, რომ საჭიროა „ფულის გათეთრების“ კანონის რატიფიცირება. ჟან ლუი ლორანმა აღნიშნა, რომ ადამიანთა და რელიგიურ უმცირესობათა უფლებები არ უნდა ირღვეოდეს. ეს საკითხი თვის ბოლოს სტრასბურგში საპარლამენტო ასამბლეის მორიგ სესიაზე განიხილება. შეხვედრას ესწრებოდა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენელი პლამენ ნიკოლოვი. მისი განცხადებით, ევროსაბჭოს დელეგაციამ საქართველოს ხელისუფლებას ურჩია, ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტება პარიტეტული პრინციპით მოხდეს და საარჩევნო ბარიერმა 7-დან 5 პროცენტამდე დაიწიოს.

მედია-ნიუსი

"თელასი" ახალ ლიმიტებს აპროტესტებს

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა ელექტროენერგიის გამომუშავებისა და მოხმარების იანვრის თვის საპროგნოზო ლიმიტები დაამტკიცა. "თელასს“ საბითუმო ბაზარმა დღე-ღამეში 8,7 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიის მიწოდების ლიმიტი დაუწესა; აჭარის ენერგოკომპანიას – 0,77 მილიონი კილოვატსაათი, კახეთის ენერგოდისტრიბუციას – 0,187 მილიონი კილოვატსაათი, გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას – 1,9 მილიონი კილოვატსაათი. საბითუმო ბაზრის პირდაპირი მომხმარებლები ელექტროენერგიას მათ მიერ წარმოდგენილი განცხადების შესაბამისად მიიღებენ.

"თელასი“ ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მიერ კომპანიისათვის დაწესებულ ელექტროენერგიის მიწოდების ლიმიტს მიუღებლად და უკანონოდ მიიჩნევს და მას თბილისის ელექტრომომარაგებაში სერიოზული შეფერხებების მიზეზად ასახელებს.

"თელასის“ პოზიციით, საბითუმო ბაზარმა 100-პროცენტიანი გადამხდელი კომპანიის მოთხოვნის შეზღუდვით დაარღვია მოქმედი საბაზრო წესები.

მედია-ნიუსი

საქართველოს თავდაცვის მინისტრის თვითმფრინავს ერაყში ცეცხლი გაუხსნეს

საქართველოს თავდაცვის მინისტრის დავით თევზაძის თვითმფრინავს, რომელიც ბაღდადიდან თბილისში ბრუნდებოდა, აფრენის შემდეგ რამდენიმე წუთში მიწიდან ცეცხლი გაუხსნეს. როგორც თევზაძემ თბილისში ჩასვლისას განაცხადა, მას არაფერი გაუგია, რადგან ამ დროს ეძინა. "ინციდენტის შესახებ მე მოგვიანებით მფრინავებისგან შევიტყვე, რომლებმაც არ გამორიცხეს, რომ თვითმფრინავი შესაძლებელი იყო, ჩამოეგდოთ". საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის სარდლის კობა კობალაძის თქმით, "სროლა თვითმფრინავის მიმართულებით იყო, რომელსაც მანევრის გაკეთება მოუხდა, რათა უსაფრთხო ზონაში შესულიყო".

დავით თევზაძის თანმხლებმა ამერიკელმა ოფიცერმა განაცხადა, რომ აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალების ვერტმფრენებმა საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს იმ დანადგარებს, საიდანაც საქართველოს თავდაცვის მინისტრის თვითმფრინავს ესროდნენ".

ინტერ-პრესი

საოლქო სასამართლომ ლევან მამალაძის სასჯელი უცვლელად დატოვა

იური ლეონიძისეული ფოტო

მამალაძის ადვოკატი ალეკო ალადაშვილი.

საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ქვემო ქართლში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის ლევან მამალაძისთვის სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე. მამალაძის ადვოკატი ალეკო ალადაშვილი საოლქო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას იურიდიულ საფუძველს მოკლებულად მიიჩნევს და მამალაძის წინააღმდეგ მიმდინარე პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე საუბრობს.

როგორც ადვოკატმა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, იგი გაეცნო თბილისის პროკურატურაში მამალაძის წინააღმდეგ არსებულ საგამოძიებო მასალებს და დაადგინა, რომ სისხლის სამართლის საქმე აღძრულია მამალაძის მიერ ბრიტანელი ბიზნესმენისთვის - ჯაინ პანდიტისთვის თანხის გამოძალვის ფაქტზე. გამოძიების მასალების თანახმად, 1997 წელს მამალაძემ ამ თანხით წერეთლის გამზირზე მდებარე მაღაზია "ამერიკან მოტორსში" "შევროლე-ბლეიზერის" მარკის ჯიპი შეიძინა.

ადვოკატის თქმით, მან გადაამოწმა ეს ინფორმაცია და დაადგინა, რომ 1997 წელს ამგვარი მაღაზია წერეთლის გამზირზე საერთოდ არ არსებობდა. მისივე მტკიცებით, ლევან მამალაძემ "შევროლე-ბლეიზერი" მართლაც შეიძინა, მაგრამ მანქანა უზნაძის N2-ში მდებარე მაღაზიაშია გაფორმებული და მასში 27 ათასი აშშ დოლარია გადახდილი.

გარდა ამისა, ალადაშვილის განცხადებით, გამოძიებამ ქრთამის თანხად 27 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი 35 ათას 128 ლარი მიიჩნია, რომელიც შემდგომ საგამოძიებო მასალებში 35 ათას აშშ დოლარის სახითაა აღრიცხული. ადვოკატი ირწმუნება, რომ მამალაძემ "ჯიპი" საკუთარი სახსრებით შეიძინა და ბრიტანელი ბიზნესმენის - ჯაინ პანდიტისთვის მას არაფერი გამოუძალავს.

ალეკო ალადაშვილის თქმით, პროკურატურამ, რომელიც პირველ რიგში უნდა იცავდეს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებს, დაარღვია მამალაძის უდანაშაულობის პრეზუმფცია და გამიზნულად შექმნა უარყოფითი აზრი მამალაძის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ. **"პროკურატურის ბრალდება მხოლოდ პოლიტიკური ანგარიშსწორებაა. ყოფილ რწმუნებულს სასამართლომაც აღმკვეთი ღონისძიება ადვოკატის მონაწილეობის გარეშე შეუფარდა, მამალაძე დაცვის გარეშე დატოვეს,"** – ამბობს ალეკო ალადაშვილი.

24 საათი

თბილისი-ცხინვალის მატარებელი ვერ აღდგა

ახალი 2004 წლის წინა დღეებში "დამოუკიდებელი ოსეთის" მთავრობამ ცნობად მიიღო ოსი მოსახლეობის ერთი ნაწილის თხოვნა თბილისი-ცხინვალის სარკინიგზო ხაზის აღდგენის შესახებ და, როგორც გვატყობინებენ, უახლოეს ხანებში დაიწყებდნენ ხაზის აღდგენას, რაც ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი გახდებოდა ორი ხალხის ისტორიული ურთიერთობის აღდგენისა.

"დამოუკიდებელი ქვეყნის" მთავრობის თანხმობა საზოგადოება "ერთიანი ოსეთის" საკოორდინაციო საბჭომ ანტიოსურ ქმედებად მიიჩნია და მოსახლეობას მოუწოდა, რომ არ დაუშვან რკინიგზის ხაზის აღდგენა, რადგანაც მისი ფუნქციონირებით საქართველოს ხელისუფლებას საშუალება მიეცემა, "ოსეთის" საშინაო საქმეებში უხეშად ჩაერიოს, რაც, საბოლოო ჯამში, მათ დამოუკიდებლობას დააკარგვინებს.

24 საათი

პრივატიზაცია შეჩერდა

გუშინ საწარმოთა მართვის სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი ერეკლე ქიქოძე სახელმწიფო საწარმოების ხელმძღვანელებს შეხვდა და მათ სახელმწიფო საწარმოთა მართვის ახალ სახელმწიფო სტრატეგიაზე ესაუბრა. ქიქოძის თქმით, სანამ სააგენტო ამ საწარმოთა ეკონომიკური განვითარების ახალ პროგრამას შეიმუშავებს, პრივატიზაციის პროცესი დროებით შეჩერდება.

24 საათი

სოხუმის ხელისუფლება "მეგობარი ქვეყნების" საქმიანობით უკმაყოფილოა

სოხუმის ხელისუფლება გაერო-ს გენერალური მდივნის "მეგობარი ქვეყნების" საქმიანობით უკმაყოფილებას გამოთქვამს და მათ საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობის მხარდაჭერის გამო პრეტენზიებს უყენებს.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას შეფასებით, დიდი ბრიტანეთი და გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნები აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში აქტიურ როლს ასრულებენ, მაგრამ აფხაზურ მხარეს მათ მიმართ ბევრი პრეტენზია გააჩნია, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობის მხარდაჭერაა.

შამბას განცხადებით, საერთაშორისო საზოგადოება და "მეგობარი ქვეყნების" წარმომადგენლები საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობის აღიარების გამო "დიდ შეცდომას" უშვებენ, ვინაიდან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ აფხაზები "ერთა თვითგამორკვევის" უფლების პრინციპით ხელმძღვანელობენ.

ინტერ-პრესი

რუსეთის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილს საქართველოს პრეზიდენტად არჩევა მიულოცა

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა მიხეილ სააკაშვილს საქართველოს პრეზიდენტად არჩევა მიულოცა. რუსეთის სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახურის ცნობით, ვლადიმირ პუტინმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობები მომავალში განვითარდება რეალური კეთილმეზობლური ურთიერთქმედებების საფუძველზე, კავკასიაში სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ინტერესებიდან გამომდინარე.

ვლადიმირ პუტინმა დაადასტურა მიხეილ სააკაშვილის მოსკოვში მიწვევის წინადადება, ვიზიტის კონკრეტული ვადები კი დიპლომატიური არხებით შეთანხმდება.

4 იანვარს თითქმის აბსოლუტური შედეგით არჩეულმა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ სურს შედგეს მისი პირველი ოფიციალური ვიზიტი მოსკოვში, თუ რუსეთის პრეზიდენტისგან ასეთი მიწვევა იქნება.

პრაიმ-ნიუსი

ორი სიტყვით

თბილისი. დღეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იაღლუჯას სამხედრო პოლიგონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნება "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის მორიგი ფაზა, რომლის დროსაც ნატო-ს სტანდარტებით ჯავშანსატანკო ასეული გაიწვრთნება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. აგვისტოს შუა რიცხვებში აფხაზეთში თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ყველა სახეობის ქვედანაყოფის ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები გაიმართება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ კულტურის მინისტრ სესილი გოგიბერიძეს უფლებამოსილება შეუწყვიტა. გადადგომის შესახებ განცხადება გოგიბერიძემ გასული წლის ნოემბერში დაწერა, თუმცა საქართველოს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ეს განცხადება არ დააკმაყოფილა და იურიდიულად, სესილი გოგიბერიძე კულტურის მინისტრად მიმდინარე წლის 9 იანვრამდე ითვლებოდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ყოფილი სახელისუფლებო ბლოკის წევრი ზეზვა ღუღუნიშვილი აცხადებს, რომ მას ახალ პარტიაში, რომლის შექმნასაც ყოფილი სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე აპირებს, გაწევრიანების თაობაზე შეთავაზება ჯერ არ მიუღია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "ედპ"-ს ყოფილი ლიდერი ირინა სარიშვილი-ჭანტურია მიიჩნევს, რომ 7-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერის დაწევა ახალი მთავრობისთვის "პოლიტიკური კორუფციის ახალ წყაროდ იქცევა" . **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "საქართველოს ლეიბორისტული პარტია" პარტიის ოფისში ახალი სახელმწიფო - ხუთჯვრიანი დროშის გამოფენაზე უარს აცხადებს და მიაჩნია, რომ პარლამენტმა "ნაციონალების" პარტიული დროშა სახელმწიფო დროშად ნაჩქარევად მიიღო". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. USAID მზადაა, 28 მარტს დანიშნული ხელახალი საპარლამენტო არჩევნების ამომრჩეველთა სიების კომპიუტერიზაციისათვის საჭირო თანხებით ცენტრალური საარჩევნო კომისია დააფინანსოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთის“ წევრი გენო კალანდია გაუგებარს უწოდებს დეპუტატ ვახტანგ ხმალაძის საკანონმდებლო ინიციატივას პარლამენტში აფხაზეთის დეპუტაციისთვის უფლებამოსილების გაუქმებასთან დაკავშირებით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სომხეთის დელეგაცია, საგარეო საქმეთა მინისტრის ვარდან ოსკანიანის მეთაურობით, საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაციის ცერემონიაში მონაწილეობას მიიღებს. **ინტერ-პრესი**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე

გამოცხადებულია კომერციული კონკურსი

ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად

ლიცენზიის სახე: სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობა.

ლიცენზიის სახეობა: ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურება.

ლიცენზიის საგანი: ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურება 1745,1-1760 მგჰც (გადაცემაზე) და 1840,1-1855 მგჰც (მიღებაზე) სიხშირულ დიაპაზონში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა განისაზღვრა 1 026 000 (მილიონ ოცდაექვსი ათასი) ლარით.

ლიცენზიის მაძიებლების განცხადებები მიიღება 2003 წლის 13 ოქტომბრის 10:00 საათიდან 2004 წლის 13 თებერვლის 17:00 საათამდე

კომერციული კონკურსი ჩატარდება 2004 წლის 16 აპრილს (16:00 საათზე)

გამარჯვებული გამოვლინდება აუქციონის წესით

ფიჭური სატელეფონო ქსელით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელმა კომისიას უნდა მიმართოს განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) ფიზიკური პირისთვის – სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, რეგისტრაციის მონაცემები, მისამართი, მოქალაქეობა;

ბ) იურიდიული პირისთვის – საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, მონაცემები დამფუძნებლების შესახებ;

გ) ლიცენზიის სახე, რომლის მიღებასაც მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;

დ) ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურების გავრცელების გეოგრაფიული ზონის დაფარვის გრაფიკი და პრაქტიკული საქმიანობის დაწყების ვადა.

ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

ბ) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე. ლიცენზიის მიუღებლობის შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს აღნიშნული თანხა დაუბრუნდება საბანკო მომსახურების ხარჯების გამოკლებით, კომისიისთვის თანხის დაბრუნების შესახებ წერილობითი განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი დარჩენილ თანხას იხდის ლიცენზიის გაცემის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით დადგენილი წესის შესაბამისად.

გ) სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები; ფიზიკური პირისათვის – აგრეთვე პირადობის მოწმობის ასლი;

დ) განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკური პროექტი, რომელმაც სამშენებლო, სანიტარიულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური ექსპერტიზის და სათანადო ნებართვების უზრუნველყოფის მიზნით ექსპერტიზა უნდა გაიაროს კომისიასთან შექმნილ მუდმივმოქმედ ქვეკომისიაში. ლიცენზიის მაძიებელი კონკურსზე დაიშვება ქვეკომისიის დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში.

კონკურსში მონაწილეობის უფლება არა აქვს პირს, რომელიც კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში GSM 1800 მგჰც სიხშირულ დიაპაზონში რესურსის საერთო მოცულობის 50%-ის ან მეტის მფლობელი გახდება.

კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადებისა და დოკუმენტაციის კომისიისთვის საფოსტო გზავნილების სახით მიწოდება დაუშვებელია.

კონკურსის პირობებია:

ა) კომისიისათვის წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებების ევროპულ ჰარმონიზებულ სტანდარტებთან შესაბამისობა;

ბ) ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურების გავრცელების გეოგრაფიული ზონის დაფარვის ვალდებულება (არაუმეტეს სამი წლის ვადაში ლიცენზიის გაცემიდან).

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია მაქსიმალური სალიცენზიო გადასახდელის გადახდა.

საკონკურსო სხდომაზე ლიცენზიის მაძიებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის დასწრება სავალდებულოა;

ფიჭური სატელეფონო ქსელით მომსახურებაზე ლიცენზია გაიცემა კონკურსში გამარჯვებულის მიერ სალიცენზიო გადასახდელის 30%-ის (ლიცენზიის მაძიებლის მიერ გადახდილი სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 10 %-ის გამოკლებით) გადახდიდან 7 სამუშაო დღის ვადაში. სალიცენზიო გადასახდელის დარჩენილი ნაწილის გადახდის ვადა და პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, მისამართზე:
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N 42 ტელ.: 921667 ფაქსი: 921625

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

სააკაშვილმა აბაშიძეს დაუმტკიცა - ჩემთან ურჩობა არ გაგივაო

პირველი გვერდიდან

აჭარლების მიერ არჩეული პრეზიდენტი და არ მოვითმენ წინააღმდეგობის გაწევას ნებისმიერი დონის ადგილობრივი ხელისუფლებისგან... შევარდნაძის ბაირამობის დრო დამთავრდა. დღეს ჩვენ ვქმნით ძლიერ ხელისუფლებას და ყველამ ახალი საქართველოს წესებით უნდა ითამაშოს." სააკაშვილმა გუშინ არაერთხელ გაუსვა ხაზი ორ რამეს: პირველი, რომ ის უარს არ ამბობს აჭარასთან თანამშრომლობაზე; მეორე, კანონის წინაშე ყველა თანასწორია, იქნება ეს საქართველოს პრეზიდენტი, აჭარის ხელისუფლების მეთაური, რკინიგზის ხელმძღვანელი თუ რიგითი მოქალაქე.

"ჩვენ ვქმნით ძლიერ ხელისუფლებას".

საინფორმაციო

გუშინდელ ბრიფინგზე მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ იგი საქართველოში ბანდიტურ დაჯგუფებებს ამოძირკვავს და დაუნდობლად შეებრძოლება კორუფციას. **"ჩვენი ამოცანაა, ყველა თანამდებობის პირი, რომელიც საქართველოს ტერიტორიის გარეთ იმყოფება, გადმოცემულ იქნეს ჩვენი მართლმსაჯულებისთვის და წარდგეს ქართველი ხალხის წინაშე."**

სააკაშვილი მოსახლეობას განუმარტავს, რომ ყველა კორუმპირებული აგებს პასუხს კანონის წინაშე. მათ ბრალი შეუმსუბუქდებათ, ოღონდ, **"ქართველი ხალხის ჯიბიდან ამოცლილი ფული"** უკან უნდა დააბრუნონ: **"საუბარია მრავალ მილიონზე, რომელიც ამოღებულია ჩვენი ხალხის ჯიბიდან და იგი უნდა დავუბრუნოთ უკლებლივ ყველა ადამიანს საქართველოში. ეს არის ის, რასაც მე ყოველთვის ვპირდებოდი ჩვენს საზოგადოებას."**

იდეალური ვარიანტის არარსებობის შემთხვევაში, სააკაშვილისთვის უფრო მისაღებია **"მაფიოზი, რომელიც გარეთ არის და თავის ქონებას უკან აბრუნებს, ვიდრე მაფიოზი, რომელიც ციხეში ზის, გარეთ კი ქონებას ფლობს."**

ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე კანონის უზენაესობის დამკვიდრების და კორუფციის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის გარდა, მიხეილ სააკაშვილმა ყურადღება გამამხვილა საქართველოსადმი უდიდეს საერთაშორისო მხარდაჭერაზე და განაცხადა, რომ ასეთ უნიკალურ შანსს ხელიდან არ გაუშვებს და საქართველოს საერთაშორისო პოზიციებს, ქვეყნის დამოუკიდებლობას განამტკიცებს.

მითი დაიმსხვრა

პირველი გვერდიდან

მოძრაობა, რომელიც აჭარის სხვადასხვა ნაწილში დღითი-დღე ძლიერდება, ხალხი, რომელიც დიქტატურით დაიღალა და სულ უფრო და უფრო მეტ თავისუფლებას ითხოვს, ის ძალაა, რომელმაც შეუქცევად პროცესებს დაუდო სათავე და რომელსაც უკვე ვეღარაფერი შეაჩერებს.

ის ფაქტი, რომ გუშინ აკაკი ჩხაიძე სწორედ ბათუმში აიყვანეს, თავისი პოლიტიკური მნიშვნელობით უფრო მეტია, ვიდრე მსხვილი კორუმპირებული ჩინოვნიკის დაპატიმრება.

თუ აქამდე ბათუმი არა მარტო ადგილობრივი სახელისუფლო კრიმინალების სამოთხე იყო, ის იდეალური თავშესაფრის ფუნქციას ასრულებდა შეკედლებული კრიმინალებისთვისაც.

გუშინ ცენტრალური ძალაუფლების შეღწევა ამ "სამოთხეში" ბოლო წლების განმავლობაში პირველად მოხდა. პირველად საქართველოს უახლოესი ისტორიის მანძილზე ცენტრალურმა ხელისუფლებამ გამოიჩინა პოლიტიკური ნება, რომ აბაშიძის კანონებს და კაპრიზებს არ დაემორჩილოს.

რაც მთავარია, ახალმა ხელისუფლებამ დაამტკიცა, რომ ძველი ხელისუფლების მსგავსი არ არის და აბაშიძის ნებისმიერ ულტიმატუმზე არ გაცვლის აჭარაში მცხოვრები ადამიანების თავისუფლებას.

რკინიგზის ყოფილი შეფი აჭარის ტერიტორიაზე თავის ხელშეუხებლობაში იმდენად იყო დარწმუნებული, რომ არ უზრუნია, ქვეყნის საზღვარი დაეტოვებინა. აქამდე აჭარის მოსახლეობაც დარწმუნებული იყო, რომ ცენტრალური ხელისუფლება აბაშიძის წინააღმდეგ უძლურია, რომ იქ მათ დარღვეულ უფლებებს ვერავინ დაიცავდა.

გუშინ ეს სტერეოტიპი დაიმსხვრა. აჭარის მოსახლეობისთვის ეს უდიდესი სტიმულია, აბაშიძე კი უკვე სხვა გარემოშია, სადაც მისი ყოვლისშემძლეობა სხვა არაფერია, თუ არა მითი.

ცესკო-ს ხმაურიანი სხდომა

პირველი გვერდიდან

დღეს ჭიათურის საკითხის განხილვას უკვე უზენაესი სასამართლო შეუდგება. თუმცა ცესკო-ს სხდომის დღის წესრიგში უკვე შეტანილი იყო განკარგულებისა და ოქმის პროექტები, რომლის თანახმადაც, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საკუთარი დადგენილება მეორე ტურის შედეგების გაუქმების თაობაზე ბათილად უნდა გამოეცხადებინა და შემაჯამებელი ოქმი მიეღო. ამ ოქმის მიხედვით, ჭიათურის ერთმანდატიან ოლქში პარლამენტის წევრად არჩეული უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი კანდიდატი სერგო იაკობიძე.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობამ საკუთარი გადაწყვეტილება სხდომის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე შეცვალა. ოფიციალური ვერსიით, ამის საფუძველი ის სარჩელი გახდა, რომელიც სერგო იაკობიძემ უზენაეს სასამართლოში შეიტანა. ეს კი მაშინ მოხდა, როდესაც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მეორე ტურის შედეგები ბათილად გამოაცხადა.

ჭიათურიდან ჩამოსულებს კი ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება პოლიტიკურ დაკვეთად მოეჩვენათ, რომლის ავტორები "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები იყვნენ. შესაბამისად, მათი განცხადებები საკმაოდ მწვავე გამოდგა, რის გამოც ზურაბ ჭიაბერაშვილმა ისინი დარბაზიდან გააძევა.

თავად ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენელთა მტკიცებით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, უფრო ზუსტად კი, პრეზიდენტის კვოტით დანიშნულმა წევრებმა შეგნებულად თქვეს უარი, განეხილათ და შეემოწმებინათ ის დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს, რომ რაიონში გამარჯვებული სწორედ სერგო იაკობიძეა. და კიდევ: მათივე თქმით, თუკი ცენტრალური საარჩევნო კომისია ახალ შემაჯამებელ ოქმს მიიღებდა, მაშინ სერგო იაკობიძე უზენაესი სასამართლოდან საკუთარ სარჩელს თავად გამოიწვევდა. თუმცა, ეს ასე არ მოხდა. ასე რომ, დღეს ჭიათურის პრობლემის განხილვა უკვე სასამართლოს დარბაზში გადაინაცვლებს.

რაც შეეხება სხვა საკითხებს. გუშინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებისთვის საჭირო ძირითადი ღონისძიებების გრაფიკი, მათი გამართვის ვადები, ასევე ხარჯთაღრიცხვა, რომლის თანახმადაც, ცესკო-ს აზრით, არჩევნებისთვის საჭირო ბიუჯეტმა 6 934 333 ლარი უნდა შეადგინოს. ცესკო-მ საპარლამენტო არჩევნებისთვის 75 საარჩევნო ოლქიც შექმნა (ყოველი არჩევნების წინ საარჩევნო ოლქების შექმნა საარჩევნო კანონმდებლობით არის გათვალისწინებული). გუშინვე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ფაქტობრივად, მიიღო სრულიად ახალი რეგლამენტი, რომლის თანახმადაც, სულ მალე ცესკო-ს აპარატი რეორგანიზაციას დაექვემდებარება.

და ბოლოს: გუშინდელ სხდომაზე დამტკიცდა თიანეთში გამართული მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურის ოფიციალური შედეგები და პარლამენტის მაჟორიტარ წევრად დამოუკიდებელი კანდიდატი ილია არჩემაშვილი დასახელდა.

წალკელები ხელისუფლების დაგვიანებულ რეაგირებას უჩივიან

ლელა მჭედლიძე

გზის მაგივრად - ტალახიანი ორმოები, ელექტროენერგია - მხოლოდ რამდენიმე საათით, ზამთრის სიცივისგან სახლებში გამოკეტილი მოსახლეობა - ტიპური სურათი, რომელიც თავისუფლად შეიძლება მოერგოს საქართველოს ნებისმიერ რაიონს.

წალკის რაიონში, სადაც ამჟამად 10.000-მდე სომეხი, 3000 ქართველი (ძირითადად, რამდენიმე წლის წინ ჩამოსახლებული სვანები და აჭარლები), 2500 ბერძენი და 2000 აზერბაიჯანელი ცხოვრობს, ადგილობრივ მოსახლეობაში სხვადასხვა საკითხის გამო მეტ-ნაკლებად სერიოზული დაპირისპირება ადრეც იყო. უფრო ხშირად - ცემატყეპით დასრულებული ინციდენტები. მაგრამ გამგებლის საკუთარ კაბინეტში ცემა არავის უფიქრია. მართალია, ამ საკითხის გამო უკვე აღიძრა საქმე ხულიგნობის მუხლით, მაგრამ სამართალდამცველებს 13 იანვარს წალკის გამგეობაში მომხდარის თაობაზე ჯერ საკუთარი სიტყვა არ უთქვამთ.

"ჯერ გამგეობის ეზოში ყვიროდნენ, წადით და ეს ადგილი დატოვეთო. დაახლოებით, 100 სომეხი გამგეობის შენობაში, გამგებლის - ელდარ ხვისტანის კაბინეტში შემოიჭრა, მუქარითა და შეურაცხყოფით. ქართველებად ვინც კი შეგვიცნეს, ყველას ფიზიკური შეურაცხყოფა მოგვაყენეს. გამგებელიც სცემეს, პოლიციის უფროსსაც მოხვდა," - შამილ ფარჯიანს მონაყოლს წალკის გამგეობის შენობასთან შეკრებილი სხვა სვანებიც უდასტურებდნენ. საკმაოდ ნაცემი გამგებელი, რომელსაც, სვანების თქმით, ფანჯრიდანაც კი უპირებდნენ გადაგდებას, საქმის გასარკვევად თბილისში დაიბარეს. ამ განმარტებას იქვე თან ერთვოდა ჟურნალისტებისათვის სვანებისგან შინაურულად ნათქვამიც - **"დაზარალებულად ნუ ჩაგვწერ, ნაჩხუბრებად მოგვიხსენიე"**. სვანების ნაწილი, რომელიც წალკის გამგებელს უჭერს მხარს, გუშინ გამგეობის შენობის წინ ხვისტანის დაბრუნების მოლოდინში შეკრებილიყო.

ბუნებრივია, იგივე ამბავზე სომეხი მოსახლეობის ვერსია ცოტა სხვაგვარად ჟღერდა: ჩხუბი, თურმე, სვანებს წამოუწყიათ, სწორედ იმისათვის, რომ მათთვის გარკვეული პროვოკაცია მოეწყოთ... სვანები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ადგილობრივ სომხებს გამგებლისადმი პრეტენზია, ძირითადად, მისი სვანური წარმოშობის გამო ჰქონდათ. ერთ-ერთი ვერსიით, 13 იანვრის ამბებში მაჟორიტარი დეპუტატის აიკ მილტონიანის ხელიც ერია. თავად სომხები ხვისტანისადმი სერიოზულ გაღიზიანებას წალკაში არსებული სოციალური პრობლემებით ხსნიდნენ, გამგებლის მიერ ცუდად ან საერთოდ გაუკეთებელი საქმით, წალკის უცნაურად განკარგული ბიუჯეტით, გაფუჭებული გზებით და ა.შ.

"ხვისტანის მხრიდან ფალსიფიკაციის, მაქინაციების გარდა, არაფერი მინახავს. გამგებლის პოსტზე ახალი კანდიდატურა არ მყავს. მართალია, ამ და კიდევ სხვა თანამდებობას წინა ხელისუფლების წარმომადგენლები მთავაზობდნენ, მაგრამ არ ვინდომე. ისე, ხვისტანის გათავისუფლებას საპრეზიდენტო არჩევნებამდე აპირებდნენ, მაგრამ შემდეგ რამდენიმე კაცი ჩაერია და პოზიცია შეიცვალეს. როგორც ვიცი, ხვისტანმა თავად დაუძახა შეიარაღებულ სვანებს. მე კი გავაფრთხილე: აქ რომ რამე მოხდეს და ბერძნის, სომხის, აჭარელის, აზერბაიჯანელის, სვანის ან ქართველის სისხლი დაიღვაროს, პასუხს აგებ-მეთქი", - ასე მოძღვრავდა, თურმე, გამგებელს შემთხვევის ადგილზე პოსტ-ფაქტუმ მისული წალკის მაჟორიტარი დეპუტატი აიკ მილტონიანი, რომელიც, თავადაც ხედავთ, როგორ არ უარყოფს ამ ინციდენტთან თავის კავშირს...

მიუხედავად იმისა, რომ მედლის ორი მხარის მსგავსად, "გამგეობის ინციდენტს" მოსახლეობის ორი ნაწილი სხვადასხვანაირად ყვებოდა, მათ გუშინ ერთი რამ მაინც აერთიანებდათ. სერიოზული წუხილი და შეშფოთება იმის გამო, რომ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ძველი ხელისუფლებისგან განსხვავებით, წალკაში მოსახლეობასთან ჩასასვლელად და შესახვედრად ვერ მოიცალეს. წუხდნენ იმის გამო, რომ "ლევან პეტუხოვი" მსგავს სიტუაციაზე რეაგირებას, სულ რაღაც, ნახევარ საათს ანდომებდა, "ახალ მმართველებს" კი "დისტანციაზე რეაგირებისათვის" რამდენიმე დღე დასჭირდა.

რას გვიქადის რუბლის აშშ დოლართან გამყარება?

ზურაბ გარაყანიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

ამ კვირის დასაწყისში რუსული რუბლის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში რეკორდულად გამყარდა და 2001 წლის ივნისის ბოლოდან პირველად მიაღწია მაქსიმალურ დონეს. ამრიგად, აშშ ვალუტა რუსეთში კიდევ უფრო გაუფასურდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (სსფ) გამოაქვეყნა გაფრთხილება, რომ აშშ-ს ბიუჯეტის და მიმდინარე ანგარიშის უზარმაზარმა დეფიციტმა შეიძლება სერიოზული დარტყმა მიაყენოს როგორც აშშ-ს, ისე მსოფლიოს ეკონომიკას. ანალიტიკოსების აზრით, აშშ-ს საბიუჯეტო დეფიციტის მკვეთრი ზრდის მიზეზებია გადასახადების შემცირება და ტერორიზმთან ბრძოლის გამო არსებული მზარდი დანახარჯები. სსფ-ის დასავლეთ ნახევარსფეროს დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ ჩარლზ კოლინზმა ჟურნალისტებს ბრიფინგზე განუცხადა, რომ დოლარის კურსის დაცემის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია ამერიკულ აქტივებზე ინვესტორთა მოთხოვნის შემცირება.

ოთხშაბათს აშშ-ს საფინანსო უწყების ხელმძღვანელმა ჯონ სნოუმ ხაზი გაუსვა აშშ-ს ადმინისტრაციის სურვილს, რომ დოლარი "კვლავ გამყარდეს"; მაგრამ ამავდროულად აღნიშნა, რომ გაცვლითი კურსი ბუნებრივად უნდა ყალიბდებოდეს "ღია და კონკურენტულ ბაზრებზე". ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადმინისტრაციას დოლარის მხარდასაჭერად რაიმე ქმედითი ზომების მიღება არ ძალუძს. აღნიშნული გაუფასურება ადასტურებს ჯ. სოროსის, "Merrill Lynch"- ისა და "Gold Sachs"-ის ექსპერტების მოსაზრებებს აშშ დოლარის მოსალოდნელი დევალვაციის შესახებ. როგორ შეიძლება ამ მოვლენამ საქართველოს ეკონომიკაზე იმოქმედოს? იქნებ მოვახერხოთ, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ამჟამად არსებული კეთილგანწყობა ამ პრობლემისაგან თავის დასაღწევადაც გამოვიყენოთ?

ერთ-ერთი საფრთხე საქართველოს ეკონომიკური სტაბილიზაციისთვის არის მზარდი დოლარიზაცია და ლარის უშუალო დამოკიდებულება დოლარზე. ღირებულების საზომის და დაგროვების ფუნქციებს ლარი სწორედ დოლარის საშუალებით ასრულებს. ეროვნული ბანკის (სებ-ის) მონაცემებით, საბანკო სექტორში დოლარიზაციის დონე, რომ აღარაფერი ვთქვათ მოსახლეობაზე, საკმაოდ მაღალია. დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტი მუდმივად იზრდება; კერძოდ, 1997 წელს ეს კოეფიციენტი 58,4%-ს; 1998 წ. - 64%; 1999 წ. - 77,4%; 2000 წ. - 79,1%-ს შეადგენდა. კომერციული ბანკების კონსოლიდირებულ ანგარიშებში 2002 წელს დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში (ძირითადად - აშშ დოლარებში) 401,301 ათ. ლარიდან 2003 წლის ივნისის ბოლოსთვის 475,695 ათ. ლარამდე გაიზარდა, რაც ეროვნულ ვალუტაში არსებულ დეპოზიტებს თითქმის 6,3-ჯერ აღემატება. ასეთი ტენდენცია მარტო საქართველოში როდი შეინიშნება. ამის შედეგად აშშ დოლარი მსოფლიო ფულის ფუნქციასაც ასრულებს და თან ერთი ქვეყნის ვალუტადაც რჩება.

ასეთი სიტუაცია სხვა ქვეყნებისთვის დიდ საფრთხესთან არაა დაკავშირებული მანამ, ვიდრე თვით აშშ-ს მაკროეკონომიკური მაჩვენებლები გარკვეული სტაბილურობით ხასიათდება. მაგრამ საკმარისია თვით აშშ-ს საფონდო ბირჟებზე დაიწყოს პანიკა, რომ დოლარიც შეირყეს. უკანასკნელ წლებში დოლარის სხვა ვალუტებთან შედარებით მაღალი კურსის შენარჩუნება (მათ შორის - ევროსთან), დაკავშირებული იყო აზიისა და ევროპის ქვეყნებიდან აშშ-ს საფონდო ბაზარზე კაპიტალის გადმოდინებასთან. ეს გადმოდინება ანეიტრალებდა სავაჭრო ბალანსის დეფიციტს და ქმნიდა აშშ ფასიან ქაღალდებზე ხელოვნურ მოთხოვნას. ამრიგად, დოლარს ამყარებდა სპეკულაციური ეიფორია. საბირჟო კოტირებების დაცემა, ფიქტიური კაპიტალის მასის მკვეთრი შემცირება საფუძველს გამოაცლის აშშ დოლარს. აშშ საფონდო ბაზრიდან კაპიტალის მასშტაბური გადინებისას განიხილეს. საფრანგეთის ეკონომიკის მინისტრის ფრანს მერის განცხადებით, 7 თებერვალს დაგეგმილია შეხვედრა, რომელზეც სერიოზული დისკუსიები და მოლაპარაკებები გაიმართება ევროპული ვალუტისა და აშშ დოლარის კურსთან დაკავშირებით. საინფორმაციო საშუალებები უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ შეერთებული შტატები ფინანსურ ომს აწარმოებს ევროპისა და ევროზონის წინააღმდეგ.

დოლარის კურსის რყევა ექსპერტებს შეშფოთების საფუძველს აძლევს.

(ინფორმაციის ფოტო)

აღსანიშნავია, რომ ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტმა ჟანკლოდ ტრიშემ პირველმა განაცხადა იმ საშიშროების შესახებ, რომელიც შესაძლებელია ევროს სწრაფ ზრდას მოჰყვეს. მისი თქმით, სავალუტო კურსი მსოფლიო ბაზარზე საკმაოდ არასასურველად მერყეობს, 2004 წლისთვის ევროპული ერთიანი ვალუტა მის კონკურენტთან მიმართებაში და მსოფლიო სავალუტო ბაზარზე შესამჩნევად დაიწია და 1,26 დოლარს გაუთანაბრდა. მონაცემების ასეთი თანაფარდობა ავსტრიის კანცლერის - ვილფგანგ შუსელის განცხადების შემდეგ დაფიქსირდა, რომელშიც იგი ევროპის ცენტრალურ ბანკს საპროცენტო განაკვეთის შემცირების თხოვნით მიმართავს.

ბოლო პერიოდში მსოფლიო სავალუტო ბაზარი ეიფორიამ მოიცვა. ევროს კურსის სერიოზული ზრდის შედეგად ევროპული საქონელი მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვნად გაძვირდა. მეორე მხრივ კი, აშშ დოლარის კურსის ვარდნამ, ექსპერტთა აზრით, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს აშშ-ს ისედაც დეფიციტურ ბიუჯეტზე. საქართველოში კი სიტუაცია ბოლო პერიოდის განმავლობაში სავალუტო ბალანსზე სტაბილურია. ქართულ სავალუტო ბაზარზე ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 2,13 ლარის ნიშნულზე ბალანსდება, ხოლო ევროპული ვალუტის - ევროს კურსმა 2,71 ლარი შეადგინა.

ნინო ნარჩემაშვილი
ანა გახარია

გავრცელებული ინფორმაციით, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები მზადყოფნას გამოთქვამენ, ერთიანი ძალებით მოახდინონ გავლენა შეერთებული შტატების ეკონომიურ პოლიტიკაზე, კერძოდ, ხელი შეუშალონ დოლარის სწრაფი გაუფასურების პროცესს, რომელიც პრეზიდენტ ბუშის მიერ ქვეყანაში გატარებული ეკონომიური პოლიტიკით არის განპირობებული და, თავის მხრივ, საგრძნობ გავლენას ახდენს იმ თორმეტი ქვეყნის ეკონომიკაზე, რომლებიც დღესდღეობით ევროს მოქმედების ზონას წარმოადგენენ. საინფორმაციო სააგენტო "იტარ-ტასის" ინფორმაციით, აღნიშნული საკითხი პარიზში მიმდინარე ევროკავშირისა და იაპონიის დელეგაციების კონფიდენციალური კონსულტაციების მსვლელობისას განიხილეს. საფრანგეთის ეკონომიკის მინისტრის ფრანს მერის განცხადებით, 7 თებერვალს დაგეგმილია შეხვედრა, რომელზეც სერიოზული დისკუსიები და მოლაპარაკებები გაიმართება ევროპული ვალუტისა და აშშ დოლარის კურსთან დაკავშირებით. საინფორმაციო საშუალებები უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ შეერთებული შტატები ფინანსურ ომს აწარმოებს ევროპისა და ევროზონის წინააღმდეგ.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტმა ჟანკლოდ ტრიშემ პირველმა განაცხადა იმ საშიშროების შესახებ, რომელიც შესაძლებელია ევროს სწრაფ ზრდას მოჰყვეს. მისი თქმით, სავალუტო კურსი მსოფლიო ბაზარზე საკმაოდ არასასურველად მერყეობს, 2004 წლისთვის ევროპული ერთიანი ვალუტა მის კონკურენტთან მიმართებაში და 2000 წელთან შედარებით 50%- ით, ხოლო გასულ წელთან შედარებით - 20%-ით გაძვირდა. მისივე შეფასებით, ყოველივე ეს საკმაოდ დიდ პრობლემებს შექმნის როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ სფეროში და შესაძლებელია, ევროს ზონის ქვეყნებში დაწყებული ეკონომიკის რეაბილიტაციაც კი შეაფერხოს, ექსპორტის განხორციელების ხელისშემშლელი ფაქტორი გახდეს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი - ევროპის ცენტრალურმა ბანკმა უარი განაცხადა რეფინანსირების მაჩვენებლის შეცვლაზე.

ევროს მოულოდნელი და სწრაფი ზრდის შესახებ შეშფოთება გამოთქვეს საფრანგეთის, გერმანიისა და ბელგიის მთავრობებმა.

საინტერესოა, რომ ევროს კურსმა, უკანასკნელი მონაცემებით, მსოფლიო სავალუტო ბაზარზე შესამჩნევად დაიწია და 1,26 დოლარს გაუთანაბრდა. მონაცემების ასეთი თანაფარდობა ავსტრიის კანცლერის - ვილფგანგ შუსელის განცხადების შემდეგ დაფიქსირდა, რომელშიც იგი ევროპის ცენტრალურ ბანკს საპროცენტო განაკვეთის შემცირების თხოვნით მიმართავს.

რაც შეეხება საქართველოსა და ქართულ ეროვნულ ვალუტას, მისი კურსი ტრადიციულად, რატომღაც, აშშ დოლართან მიმართებაში განისაზღვრება. საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო სამსახურის უფროსის კახა სეხნიაშვილის განმარტებით, ამ მოვლენას სხვადასხვა ფაქტორები განაპირობებს; კერძოდ, საქართველოს მსხვილი და უმთავრესი სავაჭრო პარტნიორები ვაჭრობენ დოლარზე. გარდა ამისა, ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულებები ამერიკულ ვალუტაშია დაფიქსირებული და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მოსახლეობის მოთხოვნილება ყველაზე დიდია დოლარებზე. მისივე თქმით, საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვებში არის როგორც დოლარი, ასევე ევრო, თუმცა მათი ერთმანეთთან თანაფარდობა კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს. კახა სეხნიაშვილის განცხადებით, ქართული ბაზარი არ არის ისე მყარად ინტეგრირებული ევროზე, როგორც დოლარზე; ამდენად, მსოფლიო სავალუტო ბაზარზე ევროპული ვალუტის ზრდის ტენდენციას მხოლოდ უმნიშვნელო გავლენის მოხდენა შეუძლია ლარის კურსის სტაბილურობაზე. მისი თქმით, საქართველოს ეროვნული ბანკისათვის მთავარია არა რომელიმე უცხოური ვალუტის ერთმანეთით ჩანაცვლება, არამედ ქვეყანაში ლარის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად ჩამოყალიბება.

ევროს კურსის ზრდამ ევროპა შეაშფოთა

ლარის კურსი კი ტრადიციულად დოლართან არის "დაბალანსებული"

ზურაბ გარაყანიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

ამ კვირის დასაწყისში რუსული რუბლის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში რეკორდულად გამყარდა და 2001 წლის ივნისის ბოლოდან პირველად მიაღწია მაქსიმალურ დონეს. ამრიგად, აშშ ვალუტა რუსეთში კიდევ უფრო გაუფასურდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (სსფ) გამოაქვეყნა გაფრთხილება, რომ აშშ-ს ბიუჯეტის და მიმდინარე ანგარიშის უზარმაზარმა დეფიციტმა შეიძლება სერიოზული დარტყმა მიაყენოს როგორც აშშ-ს, ისე მსოფლიოს ეკონომიკას. ანალიტიკოსების აზრით, აშშ-ს საბიუჯეტო დეფიციტის მკვეთრი ზრდის მიზეზებია გადასახადების შემცირება და ტერორიზმთან ბრძოლის გამო არსებული მზარდი დანახარჯები. სსფ-ის დასავლეთ ნახევარსფეროს დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ ჩარლზ კოლინზმა ჟურნალისტებს ბრიფინგზე განუცხადა, რომ დოლარის კურსის დაცემის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია ამერიკულ აქტივებზე ინვესტორთა მოთხოვნის შემცირება.

ოთხშაბათს აშშ-ს საფინანსო უწყების ხელმძღვანელმა ჯონ სნოუმ ხაზი გაუსვა აშშ-ს ადმინისტრაციის სურვილს, რომ დოლარი "კვლავ გამყარდეს"; მაგრამ ამავდროულად აღნიშნა, რომ გაცვლითი კურსი ბუნებრივად უნდა ყალიბდებოდეს "ღია და კონკურენტულ ბაზრებზე". ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადმინისტრაციას დოლარის მხარდასაჭერად რაიმე ქმედითი ზომების მიღება არ ძალუძს. აღნიშნული გაუფასურება ადასტურებს ჯ. სოროსის, "Merrill Lynch"- ისა და "Gold Sachs"-ის ექსპერტების მოსაზრებებს აშშ დოლარის მოსალოდნელი დევალვაციის შესახებ. როგორ შეიძლება ამ მოვლენამ საქართველოს ეკონომიკაზე იმოქმედოს? იქნებ მოვახერხოთ, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ამჟამად არსებული კეთილგანწყობა ამ პრობლემისაგან თავის დასაღწევადაც გამოვიყენოთ?

ერთ-ერთი საფრთხე საქართველოს ეკონომიკური სტაბილიზაციისთვის არის მზარდი დოლარიზაცია და ლარის უშუალო დამოკიდებულება დოლარზე. ღირებულების საზომის და დაგროვების ფუნქციებს ლარი სწორედ დოლარის საშუალებით ასრულებს. ეროვნული ბანკის (სებ-ის) მონაცემებით, საბანკო სექტორში დოლარიზაციის დონე, რომ აღარაფერი ვთქვათ მოსახლეობაზე, საკმაოდ მაღალია. დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტი მუდმივად იზრდება; კერძოდ, 1997 წელს ეს კოეფიციენტი 58,4%-ს; 1998 წ. - 64%; 1999 წ. - 77,4%; 2000 წ. - 79,1%-ს შეადგენდა. კომერციული ბანკების კონსოლიდირებულ ანგარიშებში 2002 წელს დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში (ძირითადად - აშშ დოლარებში) 401,301 ათ. ლარიდან 2003 წლის ივნისის ბოლოსთვის 475,695 ათ. ლარამდე გაიზარდა, რაც ეროვნულ ვალუტაში არსებულ დეპოზიტებს თითქმის 6,3-ჯერ აღემატება. ასეთი ტენდენცია მარტო საქართველოში როდი შეინიშნება. ამის შედეგად აშშ დოლარი მსოფლიო ფულის ფუნქციასაც ასრულებს და თან ერთი ქვეყნის ვალუტადაც რჩება.

ასეთი სიტუაცია სხვა ქვეყნებისთვის დიდ საფრთხესთან არაა დაკავშირებული მანამ, ვიდრე თვით აშშ-ს მაკროეკონომიკური მაჩვენებლები გარკვეული სტაბილურობით ხასიათდება. მაგრამ საკმარისია თვით აშშ-ს საფონდო ბირჟებზე დაიწყოს პანიკა, რომ დოლარიც შეირყეს. უკანასკნელ წლებში დოლარის სხვა ვალუტებთან შედარებით მაღალი კურსის შენარჩუნება (მათ შორის - ევროსთან), დაკავშირებული იყო აზიისა და ევროპის ქვეყნებიდან აშშ-ს საფონდო ბაზარზე კაპიტალის გადმოდინებასთან. ეს გადმოდინება ანეიტრალებდა სავაჭრო ბალანსის დეფიციტს და ქმნიდა აშშ ფასიან ქაღალდებზე ხელოვნურ მოთხოვნას. ამრიგად, დოლარს ამყარებდა სპეკულაციური ეიფორია. საბირჟო კოტირებების დაცემა, ფიქტიური კაპიტალის მასის მკვეთრი შემცირება საფუძველს გამოაცლის აშშ დოლარს. აშშ საფონდო ბაზრიდან კაპიტალის მასშტაბური გადინებისას განიხილეს. საფრანგეთის ეკონომიკის მინისტრის ფრანს მერის განცხადებით, 7 თებერვალს დაგეგმილია შეხვედრა, რომელზეც სერიოზული დისკუსიები და მოლაპარაკებები გაიმართება ევროპული ვალუტისა და აშშ დოლარის კურსთან დაკავშირებით. საინფორმაციო საშუალებები უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ შეერთებული შტატები ფინანსურ ომს აწარმოებს ევროპისა და ევროზონის წინააღმდეგ.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტმა ჟანკლოდ ტრიშემ პირველმა განაცხადა იმ საშიშროების შესახებ, რომელიც შესაძლებელია ევროს სწრაფ ზრდას მოჰყვეს. მისი თქმით, სავალუტო კურსი მსოფლიო ბაზარზე საკმაოდ არასასურველად მერყეობს, 2004 წლისთვის ევროპული ერთიანი ვალუტა მის კონკურენტთან მიმართებაში და 2000 წელთან შედარებით 50%- ით, ხოლო გასულ წელთან შედარებით - 20%-ით გაძვირდა. მისივე შეფასებით, ყოველივე ეს საკმაოდ დიდ პრობლემებს შექმნის როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ სფეროში და შესაძლებელია, ევროს ზონის ქვეყნებში დაწყებული ეკონომიკის რეაბილიტაციაც კი შეაფერხოს, ექსპორტის განხორციელების ხელისშემშლელი ფაქტორი გახდეს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი - ევროპის ცენტრალურმა ბანკმა უარი განაცხადა რეფინანსირების მაჩვენებლის შეცვლაზე.

ევროს მოულოდნელი და სწრაფი ზრდის შესახებ შეშფოთება გამოთქვეს საფრანგეთის, გერმანიისა და ბელგიის მთავრობებმა.

საინტერესოა, რომ ევროს კურსმა, უკანასკნელი მონაცემებით, მსოფლიო სავალუტო ბაზარზე შესამჩნევად დაიწია და 1,26 დოლარს გაუთანაბრდა. მონაცემების ასეთი თანაფარდობა ავსტრიის კანცლერის - ვილფგანგ შუსელის განცხადების შემდეგ დაფიქსირდა, რომელშიც იგი ევროპის ცენტრალურ ბანკს საპროცენტო განაკვეთის შემცირების თხოვნით მიმართავს.

რაც შეეხება საქართველოსა და ქართულ ეროვნულ ვალუტას, მისი კურსი ტრადიციულად, რატომღაც, აშშ დოლართან მიმართებაში განისაზღვრება. საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო სამსახურის უფროსის კახა სეხნიაშვილის განმარტებით, ამ მოვლენას სხვადასხვა ფაქტორები განაპირობებს; კერძოდ, საქართველოს მსხვილი და უმთავრესი სავაჭრო პარტნიორები ვაჭრობენ დოლარზე. გარდა ამისა, ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულებები ამერიკულ ვალუტაშია დაფიქსირებული და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მოსახლეობის მოთხოვნილება ყველაზე დიდია დოლარებზე. მისივე თქმით, საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვებში არის როგორც დოლარი, ასევე ევრო, თუმცა მათი ერთმანეთთან თანაფარდობა კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს. კახა სეხნიაშვილის განცხადებით, ქართული ბაზარი არ არის ისე მყარად ინტეგრირებული ევროზე, როგორც დოლარზე; ამდენად, მსოფლიო სავალუტო ბაზარზე ევროპული ვალუტის ზრდის ტენდენციას მხოლოდ უმნიშვნელო გავლენის მოხდენა შეუძლია ლარის კურსის სტაბილურობაზე. მისი თქმით, საქართველოს ეროვნული ბანკისათვის მთავარია არა რომელიმე უცხოური ვალუტის ერთმანეთით ჩანაცვლება, არამედ ქვეყანაში ლარის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად ჩამოყალიბება.

ჩინეთმა "მოტოროლას" კარი გაუღო

ადამ მჭედლიძე

აშშ-ის კავშირგაბმულობის აღჭურვილობის გიგანტმა "მოტოროლამ" 2 მილიარდი დოლარის ღირებულების კონტრაქტი გააფორმა პეკინთან. კონტრაქტის მიხედვით, "მოტოროლა" აღჭურვილობით მოამარაგებს ჩინეთის უმსხვილეს სატელეფონო და კომპიუტერულ კომპანიებს. ანალიტიკოსები ამ მოვლენას ერთი თვის წინ ვაშინგტონში გამართულ ჩინეთის ხელმძღვანელთა ვიზიტს უკავშირებენ, რომლის შემდეგაც პრეზიდენტმა ბუშმა ტაივანი გააფრთხილა, რათა მან არაფერი მოიმოქმედოს პეკინთან სტატუს-კვოს შესაცვლელად.

"მოტოროლას" წარმატება იმის ნიშანია, რომ, ბოლოს და ბოლოს, ჩინეთი ცვლის თავის დამოკიდებულებას აშშ-ის კავშირგაბმულობის მწარმოებელ კომპანიებთან მიმართებაში. ახლო წარსულში იგივე "მოტოროლა" და სხვა კომპანიები არაერთხელ გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ჩინეთი არ ჩქარობს კავშირგაბმულობის ბაზრის ლიბერალიზაციას. არავისათვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ჩინეთის ბაზრის დაპყრობა ყველა სერიოზული ბიზნესმენის მიზანია. ეს მიზანი, გარკვეულწილად, მრავალმა კომპანიამ უკვე აისრულა; მაგალითად, ავტოგოგანტებმა ("ჯენერალ მოტორსმა," "ფოლკსვაგენმა," "ფორდმა" და ა.შ.) დიდი ხანია მოიკიდეს ფეხი ჩინეთში, მაგრამ კავშირგაბმულობის ბაზარი დღემდე შედარებით აუთვისებელი რჩება. "მოტოროლას" 2-მილიარდიანი გარიგებიდან ლომის წილი ჩინეთის ორ უმსხვილეს მობილურ ოპერატორთან - "ჩაინა იუნიკომთან" და "ჩაინა მობაილთან" - გაფორმებულ კონტრაქტებზე მოდის. აღსანიშნავია, რომ, "მოტოროლას" გარდა, შედარებით ნაკლებად ღირებული კონტრაქტი (200 მილიონის) გააფორმა კალიფორნიულმა "იუტისტარკომმა" "ჩაინა ტელეკომ კორპორეიშენთან."

ასე რომ, მიუხედავად იმ სავაჭრო ომისა, რომელიც ორ ქვეყანას შორის მიმდინარეობს (აშშ-ის მიერ ჩინურ ქსოვილებზე შეზღუდვების დადება და ბუშის ადმინისტრაციის ბრალდებები იმის თაობაზე, რომ პეკინი ხელოვნურად აუფასურებს თავის ეროვნულ ვალუტას და ამგვარად მაღლა სწევს საკუთარ ექსპორტს), ჩინეთი კვლავაც ერთგული რჩება თავისი ეკონომიკური პოლიტიკის, რომელიც უპირველესად გულისხმობს უცხოური კაპიტალისთვის კარის გაღებას. ოღონდ, როგორც ვნახეთ, სანაცვლოდ გარკვეული პოლიტიკური მოგება მიიღო.

ზემოაღნიშნული კომპანიების გარდა, მალე მოსალოდნელია ნახევარგამტარების უმსხვილესი მწარმოებლის - "ინტელის" მიერ ორი კონტრაქტის გაფორმება ჩინეთის ორ უმსხვილეს კომპიუტერულ კომპანიასთან - "ლეჯენდ გრუპსა" და "ფაუნდერ ტექნოლოჯი გრუპთან."

ორი სიტყვით

თბილისი. თურქულმა კომპანია "ბოტაშმა" განაცხადა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის თურქეთის მონაკვეთის მშენებლობა დაჩქარებული ტემპებით წარიმართება. ეს განცხადება კომპანიის ხელმძღვანელობამ თურქეთში "ბი-პი-აზერბაიჯანის" პრეზიდენტის დევიდ ვუდვორდის ვიზიტის დროს გააკეთა. თურქეთში სამშენებლო სამუშაოები ნელი ტემპით მიმდინარეობს, რასაც ცუდი ამინდებით ხსნიან. თუ ამ მონაკვეთზე მშენებლობა არ დაჩქარდება, ნავთობსადენის ექსპლუატაციაში ჩაბარება ნახევარი წლით, 2005 წლის ზაფხულამდე გადავადდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროდან შარშან სახელმწიფო ბიუჯეტში 300.3 მილიონი ლარი იყო შეტანილი. ეს 24.7 პროცენტით აღემატება 2002 წლის მაჩვენებელს, როცა ბიუჯეტში 240.9 მილიონი ლარი იყო ჩარიცხული. "საქართველოს რკინიგზის" მიერ 77 მილიონი ლარი გადაირიცხა, ავტოტრანსპორტის დარგიდან – 59.8 მილიონი, საჰაერო ტრანსპორტის დარგიდან – 17.1 მილიონი, საზღვაო ტრანსპორტის დარგიდან კი 44.5 მილიონი ლარი. 5 მილიონი ლარი ბიუჯეტმა სატრანსპორტო საექსპედიტორო მომსახურებიდან მიიღო, ხოლო კავშირგაბმულობისა და ფოსტის საბიუჯეტო შენატანებმა 96.8 მილიონ ლარს მიაღწია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ერევანი. სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვარდან ოსკანიანმა განაცხადა, რომ "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა დადებით გავლენას მოახდენს მთიანი ყარაბახის კონფლიქტის მოგვარებაზე". მისი თქმით, რეგიონში ნავთობსადენის არსებობა შეამცირებს აზერბაიჯანის მხრიდან საომარი მოქმედებების განახლების შესაძლებლობას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ბაქო. ამერიკული "ექსონმობილის" შვილობილმა კომპანიამ "ექსონ აზერბაიჯან ოპერეიტინგ კომპანიმ" 1995-2003 წლებში აზერბაიჯანის ნავთობგაზის პროექტებში 1,5 მილიარდი დოლარი ჩადო. ამ თანხაში შედის აზერი-ჩირაღ-გიუნეშლის, ზაფარმაშალის, ნახჩევნის, ოლუზის, ალოვისა და ლერიკ-დენიზის საბადოების ათვისების პროექტებისათვის გამოყოფილი თანხები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ბორჯომი. ბორჯომის რაიონში დამონტაჟებულ ბუნებრივი აირის ჩინურ მრიცხველებს რუსული წარმოების მრიცხველები შეცვლის. ეს გადაწყვეტილება "ბორჯომგაზის" ხელმძღვანელობამ რაიონში რეიდების ჩატარების შემდეგ მიიღო. როგორც გაირკვა, ჩინური წარმოების მრიცხველები მნიშვნელოვან ცდომილებას იძლეოდა, კონკრეტულად კი, "ცოტას წერდა". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ბაქო-სუფსის ნავთობის მილსადენიდან ნავთობს იპარავენ. ზარალმა 783 ათას დოლარს მიაღწია. ქვემო ქართლის საოლქო პროკურორის მამუკა ცაავას თქმით, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ნავთობის დატაცება სხვადასხვა ხერხებით, საკმაოდ მაღალპროფესიონალურ დონეზე ხდება. ამ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ფაქტს ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურა იძიებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოში ლეშეკ ბალცეროვიჩის ცენტრის წარმომადგენლების ვიზიტი იანვრის ბოლოსაა დაგეგმილი. ვიზიტის მიზანი გახლავთ ქვეყნის ხელისუფლებისათვის სამომავლო მუშაობის ახალი გეგმების წარდგენა. შეგახსენებთ, რომ ცნობილი ეკონომისტის, პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ლეშეკ ბალცეროვიჩის ჯგუფი საქართველოს ხელისუფლებისთვის ეკონომიკის საკითხებში რეკომენდაციებს შეიმუშავებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის გუშინდელი ვაჭრობის შედეგებით, ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1,2350 ლარით განისაზღვრა. 17 იანვრიდან ლარის მიმართ ძალაშია უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი: 1 ევრო - 2,6715 ლარი; 1 რუბლი - 0,0739 ლარი, 1 გირვანქა სტერლინგი - 3,8729 ლარი. **24 საათი**

საბაჟო რეიდებს იწყებს

პირველი გვერდიდან

"ჩვენ ჩავხერგეთ გზები, რომელთა მეშვეობითაც სომხეთის რესპუბლიკიდან სადახლოს ბაზრობამდე კონტრაბანდული ტვირთნაკადები მოძრაობდა. ეს ერთ-ერთი გზაა იმისათვის, რომ ამ ტვირთებს საბაჟო კონტროლის გავლა ვაიძულოთ," – აცხადებს დეპარტამენტის კრიმინალური სამსახურის ახალი ხელმძღვანელი კახა გოჩაშვილი და იმედოვნებს, რომ მას შემდეგ, რაც "სადახლოს" საბაჟო-გამშვებ პუნქტზე მესაზღვრეებთან ერთად მებაჟეებიც ჩადგნენ, ამ მიმართულებიდან ქვეყანაში კონტრაბანდული საქონლის შემოტანის ალბათობა შემცირდება. როგორც საბაჟო დეპარტამენტში აცხადებენ, აქამდე "სადახლოს" საზღვრისპირა ბაზრობის საკონტროლო-გამშვები პუნქტის გაკონტროლებას ქართველ მებაჟეები ვერ ახერხებდნენ და ამის გამო სადახლოს ბაზრობაზე სომხეთის რესპუბლიკიდან შემოტანილ ტვირთზე საბაჟო გადასახადები, ფაქტობრივად, არ იკრიფებოდა.

ახლა "სადახლოს" მებაჟეები, მესაზღვრეებთან ერთად, საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე საბაჟო კონტროლის განსახორციელებლად ჩადგნენ, რის შედეგადაც ბიუჯეტში ყოველდღე 2000-3000 ლარი შედის.

გარდა ამისა, როგორც საბაჟო დეპარტამენტი იტყობინება, დღეიდან კონტრაბანდის შემოტანისა და რეალიზაციის აღკვეთის მიზნით მოსალოდნელია რეიდები. ამ რეიდებს საქართველოს საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტებში შექმნილი ერთობლივი კომისია განახორციელებს.

"მწვანე ალტერნატივას" ჩხობაძის უწყებისა არ სჯერა

ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა" ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე გაცემული ნებართვების მართებულობას ეჭვქვეშ აყენებს. 20 იანვარს, საოლქო სასამართლოში, ასოციაციის მიერ გასული წლის მაისში შეტანილი სარჩელის პირველი მოსმენა გაიმართება, რომელზეც მოპასუხე მხარედ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და კომპანია BP გამოცხადდებიან. ასოციაცია სასამართლოში ნავთობსადენის მშენებლობისას დაფიქსირებულ დარღვევებს ასაჩივრებს. მილსადენის მშენებლობისას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურული მოთხოვნები დაირღვა და საზოგადოებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის საშუალება არ მიეცა. **24 საათი**

ფოთის დატბორვის სერიოზული საფრთხე არსებობს

მდინარე რიონზე, ფოთის შესასვლელთან არსებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ჰიდროკვანძის უსაფრთხოება ეჭვქვეშ დგას. ჰიდროკვანძი, რომელიც დაახლოებით 50 წლის წინათ არის აგებული, გადაუდებელი რეკონსტრუქციისთვის საწყის ეტაპზე ორი მილიონ სამასი ათას ლარს საჭიროებს. ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს ინიციატივით, გუშინ ხსენებულ საკითხზე შეიკრიბნენ სპეციალისტები და ფინანსთა სამინისტროსგან, ფოთის მუნიციპალიტეტისა და სხვა შესაბამისი სამსახურებისგან საჭირო თანხების დაუყოვნებლივ გამოყოფა მოითხოვეს. ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის მოადგილის გივი ვარდიაშვილის განმარტებით, ხსენებული ჰიდროკვანძი ძალზე ავარიულ მდგომარეობაშია, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთლიანად ქალაქ ფოთს და მის მოსახლეობას. **"ამ ხიდის მახლობლად გადის რკინიგზის ხიდი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი, რაც მთავარია, ეს არის ერთ-ერთი ცენტრალური ხიდი, რომელიც უკავშირდება ფოთის პორტს",** - განაცხადა მინისტრის მოადგილემ. ჰიდროკვანძის ავარიის შემთხვევაში მოსალოდნელია დიდი მატერიალური ზარალი და ადამიანთა მსხვერპლი. ეს საკითხი ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს იყო აქტუალური. არსებობს ექსპრეზ

ირანში მიწისძვრის მსხვერპლთა რაოდენობამ 41 000-ს მიაღწია

ირანის ხელისუფლების განცხადებით, დეკემბერში ისტორიულ ქალაქ ბამში მომხდარი მიწისძვრის შედეგად, სულ მცირე, 41 000 ადამიანი გარდაიცვალა.

ცოტა ხნის წინ, მთავრობა აცხადებდა, რომ დაღუპულთა რაოდენობა 30 000-ს არ აჭარბებს. საბოლოო მაჩვენებელი, შესაძლოა, 45 000-მდე გაიზარდოს, - განაცხადა მოჰამად მოჰამადი კალბაიკანიმ, ირანის უზენაესი ლიდერის აიათოლა ალი ხამენეის თანაშემწემ.

ქალაქ ბამის ისტორიული ნაწილი მიწისძვრამდე

მან ეს განცხადება ბამში უზენაესი ლიდერის ხელმეორე ვიზიტის დროს გააკეთა.

სამაშველო სამუშაოები ახლაც გრძელდება და ნანგრევებიდან მხოლოდ მიცვალებულები ამოჰყავთ. "უზენაესმა ლიდერმა განაცხადა, რომ ბამი ხელახლა უნდა აშენდეს. მისი ბრძანება კი უნდა აღსრულდეს," - დასძინა კალბაიკანიმ.

საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, აღდგენითი სამუშაოები, დაახლოებით, 1 მილიარდი ამერიკული დოლარი დაჯდება.

ბრიტანული დაზვერვა ყურადღების ცენტრში მოექცა

გუშინ ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურების საქმიანობა პრესის ყურადღების ქვეშ მოექცა. "გარდიანმა" თავისი სტატია MI-5-ის აგენტობაში ეჭვმიტანილ რუს ოფიცერს მიუძღვნა, ხოლო "ფაინენშლ თაიმსმა" მკითხველებს ჩინეთში მაღალჩინოსნის დაკავების შესახებ ამცნო, რომელსაც ასევე ბრიტანეთის დაზვერვასთან თანამშრომლობა და სახელმწიფო საიდუმლოების გაყიდვა ბრალდება.

რუს ოფიცერს ბრიტანეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში ადანაშაულებენ

რუსეთის სადაზვერვო სამსახურის, "ფეესბეს" ყოფილი ოფიცერი, რომელიც 1999 წელს მოსკოვში საცხოვრებელი სახლების აფეთქებას დეპუტატების მიერ შექმნილი სპეციალური საგამოძიებო კომისიის დავალებით იძიებდა, ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურის MI-5-ის აგენტობაში დაადანაშაულეს.

მიხეილ ტრეპაშკინი გასული წლის ოქტომბერში დააკავეს, ხოლო დახურული სასამართლო პროცესი მოსკოვში მხოლოდ ერთი თვის წინ დაიწყო. ტრეპაშკინს ბრალი სახელმწიფო საიდუმლოებების გათქმასა და იარაღის უკანონო ფლობაში ედება.

თუმცა, ბრიტანულმა "გარდიანმა" ამ საქმის შესახებ გარკვეული ცნობების მოგროვება მოახერხა. ბრიტანული გაზეთი იუწყება, რომ ტრეპაშკინს "ფეესბე" სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში ადანაშაულებს. "ფეესბეს" თანახმად, რუსი ოფიცერი საიდუმლო მასალებსა და არქივებში იქექებოდა. თავად ბრალდებული ყველაფერს უარყოფს.

როგორც მისი ცოლი და მეგობრები ამბობენ, ტრეპაშკინს იმის გამო ასამართლებენ, რომ მან მოსკოვში საცხოვრებელი ბინების აფეთქებაში "ფეესბეს" მონაწილეობის შესახებ სამხილი აღმოაჩინა. 1999 წელს ტერორისტულმა აქტებმა 246 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და იგი ჩეჩნებს დაბრალდა. სწორედ ამ საბაბით დაიწყო მეორე ჩეჩნური ომი.

ორშაბათს, ამ აფეთქებებში მონაწილეობისათვის მოსკოვის სასამართლომ ორ პიროვნებას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. "გარდიანის" თქმით, ეს მიმომხილველებმა რუსეთის უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ბნელი ეპიზოდის მიჩქმალვის მცდელობად შეაფასეს. მაშინ ვლადიმირ პუტინის მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ გადადგმულმა ნაბიჯებმა მას 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნები მოაგებინა.

პუტინის ოპონენტების განცხადებით, საცხოვრებელი სახლების აფეთქება "ფეესბემ" თავად დაგეგმა, რათა ხელისუფლებაში "თავისი კაცი" მოეყვანა. ამ თეორიას კრემლი გადაჭრით უარყოფს. აფეთქების შედეგად დაღუპულთა ნათესავებმა ღია წერილი გამოაქვეყნეს, სადაც აღნიშნავენ, რომ ძალიან ბევრი შეკითხვა პასუხგაუცემელი რჩება. ისინი ტრეპაშკინის დაჭერის მიზეზების გარკვევასაც მოითხოვენ. ტრეპაშკინმა, რომელიც "ფეესბედან" ექვსი წლის წინ დაითხოვეს, რამდენიმე ხნის წინ განაცხადა, რომ 1999 წელს მომხდარ აფეთქებებში უშიშროების სამსახურების მონაწილეობის შესახებ სამხილს ფლობდა.

სასამართლო განხილვაზე "ფეესბეს" წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ ტრეპაშკინმა მის ხელთ არსებული ინფორმაცია "ფეესბეს" ყოფილ ოფიცერს ალექსანდრ ლიტვინენკოსა და რუს თიკუნს ბორის ბერეზოვსკის გადასცა. ორივე მათგანმა პოლიტიკური თავშესაფარი დიდ ბრიტანეთში მიიღო. სწორედ მათი მეშვეობით გადაეცა საიდუმლო მასალები ბრიტანულ დაზვერვას. "ფეესბე" აცხადებს, რომ აფეთქებებში რუსული სპეცსამსახურების მონაწილეობის შესახებ ხმების გავრცელება რუსეთის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაციის კამპანიაა.

ტრეპაშკინის ბინა "ფეესბეს" ოფიცრებმა გაჩხრიკეს, სადაც, მათი თქმით, უამრავი კონფიდენციალური მასალა აღმოაჩინეს, მათ შორის - 15 წლის წინანდელი დოკუმენტებიც კი. დაკავებულის ცოლის ტატიანას თქმით, მის ქმარს ყველა სამსახურებრივი დოკუმენტი სახლში მოჰქონდა და იქ მალავდა.

რაც შეეხება ბერეზოვსკისთან ტრეპაშკინის კავშირებს, რუსი მილიარდერის წარმომადგენელი ენდრიუ სტივენსონი ამბობს, რომ ამგვარი სამხილის არსებობის შემთხვევაში, მას რუსეთის პროკურატურა აუცილებლად წარმოადგენდა ლონდონის სასამართლოში, სადაც ბერეზოვსკის რუსეთში ექსტრადიციის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო.

გარდიანი

ჩინეთმა მაღალი თანამდებობის პირი ჯაშუშობაში დაადანაშაულა

ჩინეთმა ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ჰონ-კონგში დაიკავა და მას ბრიტანეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში დასდო ბრალი. "ფაინენშლ თაიმსი" წერს, რომ ეს ორ ქვეყანას შორის მომხდარი ყველაზე დიდი სკანდალია მას შემდეგ, რაც 1997 წელს კუნძული ჩინეთს გადაეცა.

ჩინეთის სახელისუფლო წრეებთან დაახლოებული წყაროები ამბობენ, რომ ცაი სიაოხუნს, რომელსაც ჰონ-კონგში მაღალი თანამდებობა ეკავა, სიკვდილით დასჯიან. "მან სახელმწიფო საიდუმლოება ბრიტანეთს მიჰყიდა," - განაცხადა ჩინელმა ბიუროკრატმა, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა.

ცაის მინისტრის თანაშემწის თანამდებობა ეკავა. იგი გასულ წელს დააკავეს, როდესაც სამშობლოში დაბრუნდა. დასავლელი დიპლომატის განცხადებით, ცაის ინფორმაციის ერთ მილიონ დოლარად გაყიდვა ბრალდება.

ბრიტანეთის საელჩომ ჩინეთში კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადა. კომენტარის გაკეთებისაგან ჩინეთის მთავრობამაც თავი შეიკავა.

ჩინელი ანალიტიკოსების აზრით, ამ შემთხვევას ორი ქვეყნის ურთიერთობებზე გრძელვადიანი უარყოფითი გავლენა არ ექნება. "ამგვარი ინციდენტები ორი დიდი ქვეყნის ურთიერთობებში სავსებით ნორმალურია," – ანონიმურობის პირობით განაცხადა დიპლომატიის ჩინელმა ლექტორმა. "ეს ამბავი ჩვენიანებთან უნდა გავარჩიოთ. არა მგონია, ამაში უშუალოდ ბრიტანელებიც იყვნენ გახვეულები," - დასძინა მან. ეს პიროვნება მთავრობას საგარეო პოლიტიკის შესახებ კონსულტაციას უწევს ხოლმე.

ცაი ჩინეთის კომუნისტური ელიტის წარმომადგენელია. მამამისი ცაი ჩენი 1980-იან წლებში იუსტიციის მინისტრი იყო, ბაბუა კი საზღვარგარეთ მცხოვრები ჩინელების უნივერსიტეტში კომუნისტური პარტიის შეფი.

ჰონ-კონგის ყოველთვიური ჟურნალის "ოუფენის" ცნობით, სწორედ ცაიმ გასცა 2001 წელს ძიან ძემინის მარშრუტი ჰონ-კონგში, სადაც მაშინდელი პრეზიდენტი ოფიციალურ დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად ჩავიდა.

ჩინელები ჰონ-კონგში დასავლეთის გავლენის ნებისმიერ გამოვლინებაზე განსაკუთრებით მტკივნეულად რეაგირებენ.

დღემდე ჩინეთმა უცხოელების სასარგებლოდ ჯაშუშობაში დადანაშაულებული ყველა პირი სიკდილით დასაჯა.

ფაინენშლ თაიმსი

„რუს თალიბებს" გუანტანამოდან რუსეთში გადაიყვანენ

აშშ-ს მთავრობა განიხილავს საკითხს გუანტანამოს ბაზაზე დატყვევებული რუსეთის რვა მოქალაქის მოსკოვისათვის გადაცემის შესახებ. ისინი 2001-2002 წლებში აშშ-ს შეიარაღებულმა ძალებმა ავღანეთში ჩატარებული ანტიტერორისტული ოპერაციის დროს დაატყვევეს. რუსეთის გენერალური პროკურატურის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელმა იგორ ტკაჩევმა განაცხადა, რომ "რუსი თალიბების" სამშობლოში ექსტრადირების საკითხი ამერიკულ მხარესთან აქტიურად განიხილება და, პრაქტიკულად, უკვე გადაწყვეტილია.

გუანტანამოს ბაზაზე კვლავ რჩებიან თალიბები და "ალ-ქაიდას" წევრები.

"არსებობს პრინციპული შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ჩვენმა მოქალაქეებმა სასჯელი ჩვენს ტერიტორიაზე უნდა მოიხადონ, იმ დანაშაულებისათვის, რომლებიც მათ რუსეთის საზღვრებს გარეთ ჩაიდინეს," - აცხადებს ტკაჩევი.

მისი მონაცემებით, "რუსი თალიბების" სამშობლოში ექსტრადირება მას შემდეგ მოხდება, რაც აშშ მათი საქმიანობის შესახებ გამოძიებას დაასრულებს.

ამერიკელი გამომძიებლები აცხადებენ, რომ რუსეთის რვა მოქალაქეს ბრალი ედება **"დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრობასა და საზღვრის უკანონო გადაკვეთაში."**

სააგენტო "ბიბისის" ცნობით, ვაშინგტონმა რუსეთს უკვე გადაუგზავნა ასგვერდიანი დოკუმენტი, რომელიც "რუსი თალიბების" ავღანეთის ომში მონაწილეობას შეეხება.

ამ საქმის შესწავლას უკვე შეუდგნენ რუსი სამართალდამცავები და პარალელურ გამოძიებას აწარმოებენ. რუსეთის მედიის ცნობით, მათ წინააღმდეგ რუსეთის ტერიტორიაზე უკვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. "რუსი თალიბების" მიერ ჩადენილი დანაშაული ორიდან ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

როგორც ცნობილი გახდა, გუანტანამოზე მყოფი "რუსი თალიბები" თათარსტანის, ბაშკირეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩელიაბინსკის და ტიუმენის ოლქის მაცხოვრებლები არიან. არც ერთი მათგანი არ არის ჩეჩენი.

ინდოეთში ანტიგლობალისტების ფორუმი გაიხსნა

ინდოეთის ქალაქ მუმბაიში, ყოფილ ბომბეიში, ანტიგლობალისტების მსოფლიო სოციალური ფორუმი გაიხსნა. კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად მსოფლოს თითქმის ყველა ქვეყნიდან, დაახლოებით, 75 ათასი აქტივისტია ჩასული. ისინი 2500 სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები არიან.

ანტიგლობალიზმის ისტორიაში ეს რიგით მეოთხე ფორუმია და ის აზიაში პირველად ტარდება. ფორუმის მონაწილეები მრავალ პრობლემატურ თემაზე გამართავენ დისკუსიებს, ეკონომიკური იმპერიალიზმით დაწყებული და გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტების წარმოებით დასრულებული.

დამკვირვებლები დარწმუნებულნი არიან, რომ ფორუმის მონაწილეები ასევე დაგმობენ ერაყში აშშ-ს სამხედრო ძალების შეჭრას და ქვეყნის ოკუპაციას. ინდოეთში ასეთი მასშტაბური ფორუმის ჩატარება მიუთითებს ორგანიზატორთა სურვილზე, რომ რაც შეიძლება მეტი განვითარებადი ქვეყანა ჩართონ თავიანთ ბრძოლაში. 2001 წლიდან მოყოლებული, ასეთი ფორუმები ყოველწლიურად იმართებოდა ბრაზილიაში. ფორუმზე დიდი ყურადღებით იქნება განხილული საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხები და ადამიანთა უფლებების მდგომარეობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

ინდოეთის ხელისუფლება შეშფოთებით ადევნებს თვალყურს ფორუმის მსვლელობას, რადგანაც მისი მონაწილეები აპირებენ, ინდოეთის სოციალურ პრობლემებზეც გაამახვილონ ყურადღება.

ფორუმის მონაწილეები აუცილებლად განიხილავენ ინდოეთის კასტობრივ სისტემას, რომლის წყალობითაც, დაახლოებით, ერთი მილიარდი ინდოელი ე.წ. "მიუკარებელთა" კასტას – უღატაკეს ფენას მიეკუთვნება. მართალია, ინდოეთის კონსტიტუცია ამას არ ითვალისწინებს და კასტობრივი დისკრიმინაცია კანონით აკრძალულია, მაგრამ ამ ფენომენს ქვეყანაში ღრმა ტრადიციული და ისტორიული ფესვები გააჩნია. ეს კი კარგად აისახება არჩევნების პროცესზე, როდესაც "მიუკარებელთა" კასტის წარმომადგენლებს ხშირ შემთხვევაში არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვთ.

ანტიგლობალისტები ინდუსთა დაბალი კასტის წარმომადგენელთან ერთად

ორი სიტყვით

რუსეთი. პატიმრობაში მყოფმა რუსმა მილიარდერმა და ნავთობკომპანია "იუკოსის" ყოფილმა შეფმა მიხაილ ხოდორკოვსკიმ მიიღო გადაწყვეტილება, სტრასბურგში მოქმედ ევროპის სასამართლოში სარჩელი შეიტანოს. ის აცხადებს, რომ მისი დაპატიმრება და პატიმრობის ვადის გაგრძელება უკანონოა, რითიც მისი უფლებები დარღვეულია. მისი ერთ-ერთი ადვოკატის კარინა მოსკალენკოს განცხადებით, გადაწყვეტილება სტრასბურგში ჩივილის თაობაზე გუშინ იქნა მიღებული. ადრე მიხაილ ხოდორკოვსკი აცხადებდა, რომ ის სტრასბურგის სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართავდა, როდესაც უფლებების დაცვის ყველა საშუალება რუსეთში ამოიწურებოდა. როგორც ჩანს, ასეთი მომენტი უკვე დადგა.

■ ■ ■

რუსეთი. სახელმწიფო დუმის ფრაქციამ "ერთიანმა რუსეთმა" ოცდაცხრავე კომიტეტის თავმჯდომარეობა თავის თავზე აიღო. ამ გადაწყვეტილებას მხარი სხვა ფრაქციებმაც დაუჭირეს. ამდენად, სახელმწიფო დუმაში ყველა კომიტეტს პრეზიდენტ პუტინის პარტია აკონტროლებს. "თუკი მოვლენები ამ მიმართულებით გაგრძელდება, მაშინ რუსეთის პარლამენტს ან წერტილი უნდა დავუსვათ, ან დიდი ჯვარი," - განაცხადა ფრაქცია "კომუნისტების" დეპუტატმა ვიქტორ ილიუხინმა.

■ ■ ■

პაკისტანი. პაკისტანის პრეზიდენტმა გენერალმა ფერვეზ მუშარაფმა განაცხადა, რომ იანვრის ბოლოს ის საბოლოოდ დატოვებს თავის სამხედრო რეზიდენციას და ისლამაბადში პრეზიდენტის სასახლეში გადაბარგდება. ამ გადაწყვეტილების მიზეზი კი პრეზიდენტისათვის დამატებითი უსაფრთხოების ზომების შემოღება გახდა. 14 და 15 დეკემბერს მუშარაფზე ორი თავდასხმა განხორციელდა. ორივეჯერ თავადმსხმელებმა პრეზიდენტის კორტეჟზე იმ დროს მიიტანეს იერიში, როდესაც ის სამხედრო რეზიდენციას ტოვებდა.

■ ■ ■

დიდი ბრიტანეთი. დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ჯეფ ჰუნმა სინანული გამოთქვა ერაყში ბრიტანელი ჯარისკაცის მკვლელობის გამო, რომელსაც ჯავშანჟილეტი არ ეცვა. სერჟანტ სტივ რობერტსს უფროსმა თავისი ჯავშანჟილეტის სხვა ქვედანაყოფისათვის გადაცემა უბრძანა, რადგანაც სარდლობამ ჩათვალა, რომ ჯავშანჟილეტი იმ დანაყოფს უფრო სჭირდებოდა. რობერტსს მეორე დღეს ერაყელმა პარტიზანმა ცეცხლი გაუხსნა. სერჟანტი გადარჩებოდა, მას რომ ჯავშანჟილეტი სცმოდა. თავდაცვის მინისტრის ჯეფ ჰუნის განცხადებით, ერაყში მივლინებულ ბრიტანელ ჯარისკაცებს ჯავშანჟილეტები საკმარისად გააჩნიათ, თუმცა აღიარა, რომ მათი განაწილება ხშირად პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს. მინისტრმა, ამავე დროს, უარყო გარდაცვლილი სერჟანტის მეუღლის მოთხოვნა თავდაცვის მინისტრის გადადგომის თაობაზე.

■ ■ ■

ყაზახეთი. ახლო მომავალში რუსეთი და ყაზახეთი ხელს მოაწერენ შეთანხმებას, რომლის თანახმადაც მოსკოვი და ასტანა მჭიდროდ ითანაშრომლებენ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის, სამხედრო-საჰაერო ძალების და სამხედრო-საზღვაო ფლოტის განვითარების საკითხებში. რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის განცხადებით, დოკუმენტი, ფაქტობრივად, შეთანხმებულია და ხელმოსაწერად მზად არის. შეთანხმება ორივე მხარეს მათ ხელთ არსებული რესურსების ფართოდ გამოყენების შესაძლებლობას აძლევს. სერგეი ივანოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ რუსეთი ყაზახეთს კასპიის ზღვაში სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნაში აქტიურ დახმარებას გაუწევს. ყაზახეთის თავდაცვის მინისტრმა მუხტარ ალტინბაევმა კი განაცხადა, რომ იარაღის ყიდვის დროს ასტანა, პირველ რიგში, მოსკოვს მიმართავს და იარაღს რუსეთისგან შეიძენს. როგორც ცნობილი გახდა, ყაზახეთი უახლოეს მომავალში რუსეთისგან თანამედროვე სამხედრო თვითმფრინავების, ტანკების, რაკეტების და არტილერიის შეძენას აპირებს.

საბვენებელი ბავშვთა სახლის რეალური სახე

პირველი გვერდიდან

გაყიდული ტანსაცმელი და დაკარგული სათამაშოები

2003 წლის დეკემბერში რადიო "მწვანე ტალღის" ჟურნალისტმა ქეთი ბეჟიაშვილმა დიღმის ბავშვთა სახლში სიუჟეტის გაკეთება გადაწყვიტა. ბავშვთა სახლში მისულ ჟურნალისტს დირექტორმა უამბო, როგორ მოჰყვა მათი დაწესებულება სეკვესტრში და როგორ არ მიუღიათ, რამდენიმე თვეა, საკვების ფული. **"ბავშვებს ჭუჭყიანი, დაძონძილი ტანსაცმელი და დახეული ფეხსაცმელები ეცვათ,"** - იხსენებს ქეთი. სამსახურში დაბრუნებულმა ქეთიმ "მწვანე ტალღის" დირექტორთან მაკა ჯახუასთან ერთად ბავშვებისათვის საახალწლო აქციის ჩატარება გადაწყვიტა. მათ დიღმის ბავშვთა სახლის დირექტორს ერთი დღე მისცეს, რათა თითოეულ ბავშვს თავისი საახალწლო ოცნება დაეწერა. მეორე დღეს დირექტორმა "მწვანე ტალღაში" ასი ბავშვის სურვილებით შემდგარი სია გამოაგზავნა. ეს სურვილები და მწვანე ტალღელების მიმართვა ინტერნეტისა და რადიოს საშუალებით გავრცელდა. აქციას უპრეცედენტო გამოხმაურება მოჰყვა - რეკავდნენ და საჩუქრები მოჰქონდათ არა მხოლოდ თბილისიდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდან, არამედ ამერიკიდან, პარიზიდან, მოსკოვიდან, პეტერბურგიდან და ისრაელიდან. **"სამ დღეში, პრაქტიკულად, ყველა ბავშვის სურვილი დაკმაყოფილდა, მაგრამ ზარები მაინც არ წყდებოდა. მსხვილი ორგანიზაციების, ბანკების წარმომადგენლებს, უბრალო ადამიანებს მოჰქონდათ და მოჰქონდათ საჩუქრები."**

25 დეკემბერს "მწვანე ტალღის" ოფისი საკუთარ თავს აღარ ჰგავდა. მთელი დღის განმავლობაში იკვრებოდა ბავშვებისათვის სახელობითი საჩუქრები. ეს იმდენად შრომატევადი საქმე აღმოჩნდა, რომ 5 საათისთვის დაგეგმილმა აქციამ ორი საათით დაიგვიანა. ამის გამო, დირექტორი და მასწავლებლები საშინლად განრისხებულები დაგვხვდნენ, - **კონცერტის მოწყობა გვინდოდა და ბავშვები ძლივს დავაკავეთო;** კიდევ უფრო განრისხდნენ, როდესაც დაინახეს, რომ ქეთი და მაკა საჩუქრებს იქვე ხსნიდნენ, ტანსაცმელს თითოეულ ბავშვს აზომებდნენ და ისე უტოვებდნენ. **"25 წელია, ამ ბავშვთა სახლში ვმუშაობ და მსგავსი არაფერი მინახავს. ვის გაუგია საჩუქრების ასე დარიგება - ამ ბავშვებს მერე რა დაეწყნარებს?"** - ყვიროდა ნერვებაშლილი დირექტორი. მაგრამ, ძალიან მალევე, იმავე საღამოს გაირკვა, რომ დირექტორისა და მასწავლებლების აღელვების მიზეზი სხვა იყო - სიაში შეყვანილი ბავშვებიდან ოცდაერთი მასწავლებლებისა და დირექტორის შვილი და შვილიშვილი აღმოჩნდა. არადა, სიაში არ იყო ბავშვთა სახლის 18 აღსაზრდელი. ყველაზე ძვირადღირებული - ასორმოცდაათდოლარიანი სურვილი დიღმის ბავშვთა სახლის დირექტორის ნონა მაღრაძის შვილიშვილისა იყო. მას "სონის" ფირმის სათამაშო კომპიუტერი სურდა. ეს სურვილი "საცოდავ, მზრუნველობამოკლებულ ბავშვს" TBC ბანკმა შეუსრულა. კომპიუტერი უკან კი წამოიღეს, მაგრამ, როგორც გაირკვა, გაყალბებული სიის გამო, რამდენიმე ბავშვი პერსონალური საჩუქრის გარეშე დარჩა. ამასობაში ისრაელიდან დაგვიანებული (უფრო სწორედ კი, საბაჟოზე დაყოვნებული და გაძარცვული) ტვირთი ჩამოდიოდა. ამიტომ, მწვანე ტალღელებმა დამატებითი საჩუქრების მისატანად დიღმის ბავშვთა სახლში მისვლა მეორე დღეს გადაწყვიტეს.

როდესაც დირექტორმა ნონა მაღრაძემ შეიტყო, რომ მწვანე ტალღის ჟურნალისტები მათთან სტუმრობას ისევ აპირებდნენ, საღამოს ტელეფონით თავადვე განუცხადა, - **გუშინ საღამოს ჩვენთან ცუდი ფაქტი მოხდა. ბავშვებმა საჩუქრების ნაწილი გაყიდეს, დიდი ნაწილი კი დაიკარგა. აბა, რა გეგონათ, ძნელად აღსაზრდელები არიან და მათგან მსგავსი რამ მოსალოდნელი იყო.** ბავშვთა სახლში მისულმა ჟურნალისტებმა ბავშვები ცალკე ოთახში გაიყვანეს და მასწავლებლების გარეშე გაესაუბრნენ. აღმოჩნდა, რომ თბილი, მაღალი ხარისხის ტანსაცმელი, ჩექმები, ფეხსაცმელები, საათები და სხვა ნივთები ბავშვებისაგან ძიძებმა, ექთანმა, ექთნის შვილმა და იმავე შენობაში მცხოვრებმა ლტოლვილებმა თითო და ორ-ორ ლარად შეიძინეს. დღემდე უცნობია, სად დაიკარგა ძვირფასი სათამაშოების დიდი ნაწილი.

დიღმის ბავშვთა სახლი.

რამდენი ბავშვია დიღმის ბავშვთა სახლში?

როგორც ითქვა, დირექტორის მიერ ჟურნალისტებისათვის გადაცემულ სიაში ბავშვთა სახლის თვრამეტი აღსაზრდელი, რატომღაც, ვერ მოხვდა. ხუთი სახელობითი საჩუქარი მწვანე ტალღელებმა უკან წამოიღეს, რადგან ადრესატი ბავშვები ვერ იპოვეს, 21 ბავშვი კი სოციალურად დაუცველ ფენას ნამდვილად არ განეკუთვნებოდა. ბავშვთა სახლის დირექტორის ნონა მაღრაძის თქმით, მისი გაზრდილები არიან ამავე შენობაში მცხოვრები ლტოლვილი ბავშვებიც. თუმცა, როგორც თავად ბავშვთა სახლის აღსაზრდელები ამბობენ, - **ლტოლვილი ბავშვები ჩვენთან არ ჭამენ, დიდი-დიდი მათ ხანდახან ძველი პური მისცენო.** ოფიციალურ ვერსიით, ამ ბავშვთა სახლში 110 ბავშვი ირიცხება. პირველ მისვლაზე ქეთი ბეჟიაშვილს, რომელიც იქ სადილსაც დაესწრო და მთელი დღე ბავშვებთან გაატარა, მხოლოდ ორმოცდაათი ბავშვი დახვდა. როდესაც აქციის მეორე დღეს ჟურნალისტებმა ბავშვები სასაუბროდ შეკრიბეს, 60 ბავშვზე მეტი არ შეგროვილა; რამდენიმე დღის წინ საღამოს საათებში მისულ ვიცე-მერ გიორგი კარბელაშვილსა და ქეთი ბეჟიაშვილს იქ მხოლოდ 29 მოზარდი დახვდათ. **"ის 110 აღსაზრდელი, რომელსაც ოფიციალურად აცხადებენ, მე იქ ფიზიკურად არასოდეს მინახავს,"** – ამბობს ქეთი. როგორც მერიის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა საერთაშორისო სოციალური პროექტის წევრმა, თამრიკო ამზაშვილმა აგვიხსნა, საქართველოს, თითქმის, ყველა ბავშვთა სახლში აღსაზრდელთა სიების გაბერვა მიღებული პრაქტიკაა და ამ პროცესზე არავითარი მონიტორინგი არ არსებობს.

"მწვანე ტალღის" აქციის შემდეგ, ახალი წლის წინა დღეებში ბავშვების ნაწილი, ვისაც ერთი მშობელი მაინც ჰყავს, სახლებში გაუშვეს; ვისი შეკვეცაც შეიძლებოდა, ამ ორი კვირის განმავლობაში, მაქსიმალურად შეკვეცეს. ბავშვებს ეუბნებოდნენ, - თქვენი ჭმევისა და რჩენის საშუალება აღარა გვაქვს და სახლებში წადითო. ქეთი ბეჟიაშვილი ეჭვობს, რომ ბავშვების სახლში გასტუმრების მიზეზი სხვა იყო. **"ამით ბავშვებს ჩვენთან ურთიერთობის საშუალება მოუსპეს, მანამდე კი ისინი, საერთოდ, ჩაკეტეს და ბავშვთა სახლიდან არ უშვებდნენ,"** – ამბობს იგი. ასე იყო თუ ისე, ერთ მშვენიერ დილას, როდესაც მარტოხელა დედამ გულიკო გომელაურმა თავისი შვილი მარიამ კახიძე ბავშვთა სახლში მიიყვანა, უთხრეს, - დღის განმავლობაში ვერ მივიღებთ, თუ გინდა, ღამე მოიყვანე და დავაძინებთო. სხვათა შორის, ექვსი წლის მარიამის საახალწლო სურვილი მზის სათვალე, player-ი, თოჯინა და ფეხსაცმელი იყო. მახსოვს, როდესაც ყველა საჩუქარი შეიკრა და სიები გადამოწმდა, აღმოჩნდა, რომ პატარა მარიამის სათვალე აკლდათ. მწვანე ტალღელებმა სათვალე გზაში შეიძინეს და მარიამის შეკვრაში ჩადეს, რომ პატარას გული არაფერზე დასწყვეტოდა. მანამდე კი პატარა მარიამის საჩუქრებს თბილი როლინგი, ბოტასები და ბათინკებიც დაუმატეს. მაგრამ, მეორე დღეს პატარას სახლში არც ერთი საჩუქარი არ მიუტანია. როგორც ბავშვთა სახლის მასწავლებლებმა ქალბატონ გულიკოს აუხსნეს, - მარიამი კეთილი გოგონაა და ყველა საჩუქარი იმ საღამოსვე გააჩუქაო. თავად გოგონა კი გუშინწინ ქეთის ეუბნებოდა: **"იმ ბათინკებზე, რომელიც თქვენ ჩამაცვით, მასწავლებლები მეუბნებიან, - შენთვის არ იყოო."**

გათბობა, ცხელი წყალი, კომპიუტერი და ოჯახური ბიზნესი

"მწვანე ტალღის" აქციაში მონაწილეობის სურვილი "საქგაზმაც" გამოთქვა. ყველაფრის გასაკეთებლად მზად იყვნენ, რასაც ბავშვთა სახლი მოითხოვდა. როდესაც რადიოს თანამშრომლებმა სახლის დირექტორს მიმართეს, - ვიცით, რომ თქვენთან ოთახები არ თბება და გაყვანილობას გაგიკეთებთო, - დირექტორმა უპასუხა, რომ გათბობა გაკეთებული აქვს და თანაც, რატომღაც, საშინლად გაბრაზდა, - თქვენი არაფერი მინდა, ყველაფერს მე თავად მივხედავო. შემდეგ კი თქვა, - გათბობისთვის თვეში ათას ხუთასი დოლარი მჭირდება, ეს ყველაფერი ადრე კანარგომ მოაგვარა, გათბობის ფულსაც ისინი მიხდიდნენ, მაგრამ ახლა ვეღარ მიხდიანო. როგორც მოგვიანებით გადაცემა "კურიერის" ჟურნალისტმა გაარკვია, კანარგოს დიღმის ბავშვთა სახლისათვის არც გათბობა გაუყვანია და არც ფული გადაუხდია. სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ საბავშვო დაწესებულებებში გასათბობად გაზის გაყვანა, უსაფრთხოების მიზნით, აკრძალულია და, შესაძლოა, "საქგაზის" მიმართ დირექტორის უარი სწორედ ამით ყოფილიყო განპირობებული. თუმცა, უნდა ითქვას, რომ, ამავე უსაფრთხოების მიზნით, შენობაში შეყვანილი დენის გათბობა "შიშველი სადენებით" ისეა გაკეთებული, რომ რამოდენიმე ხნის წინ ერთ-ერთი ბავშვის სიცოცხლე კინაღამ იმსხვერპლა.

დახმარებაზე, გაურკვეველი მიზეზებით, უარის თქმა ქალბატონ ნონას, ეტყობა, ჩვევად აქვს: ამას წინათ PR Consulting-ის ჯგუფმა ბავშვთა სახლის დირექციას მეტალოპლასტიკის ფანჯრების დაყენება შესთავაზა, რაზედაც დირექტორისაგან სასტიკი უარი მიიღო. ამ შეთავაზების სანაცვლოდ, ჯგუფის წევრებმა ბავშვთა სახლის სააბაზანოში დიდი ბაკი დაამონტაჟეს. როდესაც ერთი კვირის შემდეგ შესამოწმებლად მივიდნენ, აღმოჩნდა, რომ ბაკი სამზარეულოში იყო გადატანილი. გაბრაზებულმა სპონსორებმა ბაკი მაშინვე მოხსნეს და ისევ სააბაზანოში დააბრუნეს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ბაკი სააბაზანოში დღეს მაინც არ დგას - ისევ სამზარეულოში გადაიტანეს, ბავშვებს კი "ატმორი" დაუტოვეს. რადგან სიტყვა აბაზანასა და ჰიგიენაზე ჩამოვარდა, უნდა ითქვას, რომ ბავშვთა სახლში თეთრეული სამ-სამ თვეში ერთხელ იცვლება. როდესაც "მწვანე ტალღის" დირექტორმა მაკა ჯახუამ ერთ-ერთი ბავშვის საწოლის გადასაფარებელი გადაწია, სასწრაფოდ საპონს დაუწყო ძებნა ხელების დასაბანად. მართალია, ჰიგიენასთან კავშირში არ არის, მაგრამ აღსანიშნად მაინც ღირს: საახალწლო აქციის დროს ერთ-ერთმა ბანკმა დიღმის ბავშვთა სახლის ბავშვებს საჩუქრად "პენტიუმ"-4 მიუტანა, რომელიც ახლა ბუღალტერს უდგას.

ბავშვთა სახლებში ოჯახური ბიზნესის წარმოება, როგორც ჩანს, მიღებული პრაქტიკაა. ამა წლის 7 იანვრამდე დიღმის ბავშვთა სახლს პურით დირექტორის შვილის საცხობი ამარაგებდა. როგორც ბავშვები ამბობენ, ამ დამწვარ პურს ბავშვთა სახლის დირექცია საცხობისგან 60 თეთრად ყიდულობდა. ფსიქოლოგისა და კბილის ექიმის თანამდებობას კი დიღმის ბავშვთა სახლში დირექტორის რძალი ითავსებს, რომელიც, როგორც ამბობენ, განსაკუთრებით კარგად კბილის ამოძრობაზეა "დასპეცებული".

P.S. მწვანე ტალღის აქციისა და ჩვენ გაზეთში დაბეჭდილი პუბლიკაციების შემდეგ ბავშვთა სახლის დირექტორი ქალბატონი ნონა მაღრაძე დიდხანს იმუქრებოდა, - ყველას სეირს ვაჩვენებთო, - მაგრამ, მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ საქმის ვითარება შინაგან საქმეთა მინისტრმა, ბატონმა გია ბარამიძემაც შეიტყო, სასწრაფოდ დაწერა განცხადება და გადადგა.

ბილეფელდის გერმანულ-ქართული საზოგადოება და ბაბალეს ხურჭინი

ანა მუსმან-ბაბნიძე
ლიფციგი

ბილეფელდის სახალხო უმაღლესი სკოლის ისტორიული დარბაზის გარდერობი იმდენადაა გადატვირთული ქურთუკებით, რომ თვალით ფანჯრის რაფაზე ვეძებ ადგილს. დაახლოებით, ორმოცდაათი რაფიდან, თითქოს სპეციალურად ჩემი ოჯახისთვის გადაუნახავთო, ერთი რაფაა თავისუფალი. ყველა იღიმება, ერთმანეთს ესალმება და მომლოდინე გამომეტყველებით დადის აქეთ-იქით. კარებიდან ხელმარჯვნივ სუფრაა გაშლილი. ჭამა-სმა ჯერ არავის დაუწყია. დარბაზის შუაში სცენაა და სკამებიც - თითქმის შევსებული. ერთი ახალგაზრდა საათზე იხედება. მალე ქართული შობა-ახალი წელი ბილეფელდშიც დადგება.

იმ გრძნობის გათავისებას, რაც საახალწლო კონცერტის მონაწილე ბავშვების ხილვისას დამსწრე საზოგადოებას გვეუფლება, რამოდენიმე წლის მანძილზე საზღვარგარეთ ნაცხოვრები ადამიანის ყური სჭირდება. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებიან - ეკა, ნინო, მარიამი, ანა, სოფიკო, ელენე, ბექა... საზოგადოების ქართველი ნაწილი ლექსებს ბავშვებთან ერთად იმეორებს, გერმანელები კი აღტაცებით უკრავენ ტაშს ბავშვების მიერ შესრულებულ სიმღერებს, რომელთა მელოდიურობა და შესრულების მაღალი დონე უსიტყვოდ აგებინებს შინარსს ქართულ ენაში გაუწაფავ მსმენელსაც კი.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ღონისძიებაში მონაწილე გოგო-ბიჭები გასული წლის 6 დეკემბერს ბილეფელდის გერმანულ-ქართულ საზოგადოებასთან გახსნილი საკვირაო სკოლის მოსწავლეები გახლავან. პედაგოგი ლიანა თავშავაძე-ცინცაძისაგან გავიგე, რომ 15 წლის ზურას პირველი სასწავლო დღის შემდეგ სახლში მიმავალს აღფრთოვანებით უთქვამს მშობლისთვის, - ასე მგონია, სკოლაში კი არა, საქართველოში ვიყავიო! დარბაზში ქართული სული ტრიალებდა, რაც ჯიმისთან ერთად ქალბატონ ლიანას, ინგა ლიპარტელიანისა და საზოგადოების ყოველი წევრისა და ბილეფელდის უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთი ნაწილის დამსახურებაა.

მას შემდეგ, რაც ჯიმი ბედიანაშვილი ოჯახთან ერთად 1996 წელს გერმანიაში დაფუძნდა, ბევრმა წყალმა ჩაიარა. ჯიმი გახლდათ ქალაქ მინდენის ქართულ-გერმანული საზოგადოება „ოქროს საწმისისა" და შემდგომ ამავე საზოგადოებასთან არსებული ქართული საკვირაო სკოლის ერთ-ერთი მთავარი ფუძემდებელი, მაგრამ დღევანდელი მისი მოღვაწეობა ბილეფელდში მაინც განსაკუთრებულად გამორჩეულია. როგორც ოლდენბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა, ქართველოლოგმა, ბატონმა ვ. ბოედერმა ჩემთან საუბარში აღნიშნა, გერმანულ-ქართული საზოგადოების ამგვარი ფორმა, გერმანიის მასშტაბით, უნიკალურია. გერმანიაში მცხოვრები ქართული და ქართულ-გერმანული ოჯახების და, განსაკუთრებით, მათი ბავშვების ქართული ენის სრულყოფისა და შესწავლის სურვილი შერწყმულია იმ ტრადიციულ გართობასა და დასვენებასთან, რომელიც ჯერ კიდევ ჩემი საქართველოში სტუმრობის ადრეული წლებიდან მახსოვს. გერმანიაში დაბადებული ბავშვების მიერ წარმოთქმული დიდი ქართველი პოეტების ლექსები აქ, საქართველოდან ათასობით კილომეტრით დაცილებულ ქვეყანაში ქართული სიტყვის უკვდავების საწინდარია.

ზეიმის მონაწილენი.

ბატონი ბოედერის არჩვეულებრივი ქართულის შემდეგ, თითქოს, ჩემი ორი წლის შვილიც ქართულად ლაპარაკის ხასიათზე მოდის და, ყოველგვარი მორიდების გარეშე, უსრულებს უგემრიელესი ქართული საჭმელებითა და არანაკლებ ძვირფასი იტალიური ღვინით შექეიფებულ სტუმრებს „ჟუჟუნა წვიმას" დედა ენაზე. მერე კი ისეთ აზარტში შედის, რომ ჩემი მეუღლე მიკროფონს უთიშავს. „17 იანვარს ცეკვისა და სიმღერის კურსებიც იხსნება და მერე ნახე, სულ ვეღარ ჩამოიყვან სცენიდან," - მეუბნება ჯიმი.

საერთოდ, თავისუფლება და მხიარულება თან ახლავს ამ მშვენიერ საახალწლო საღამოს. სხვაგვარად, რას შეიძლება დავაბრალოთ, რომ გერმანელი სიძეები, მოლაპარაკებულებივით, ქართველ მანდილოსნებთან ერთად „ქართულს" ცეკვავენ.

საღამო კიდევ დიდხანს გრძელდება. მე კი ბებიაჩემის გაკეთებული უგემრიელესი ჩურჩხელა მახსენდება და, თითქოს, ამის პასუხად, მიკროფონში გაისმის ორი ჯუჯის სიმღერა. სცენაზე ხურჯინით შემოსული მომღერლები ბავშვებს სცენაზე იწვევენ. თოვლის ბებო ბაბალე საახალწლო ტკბილეულობას არიგებს და როცა ჩემს შვილს თავისი საჩუქარი მოაქვს, ამაოდ ვეძებ ჩურჩხელას. მერე ჭრელ ბრჭყვიალა ქაღალდში გახვეულ შოკოლადის თოვლის ბაბუას ვიღებ და ჩემთვის ვფიქრობ: მთელი გერმანული შობა-ახალი წლის მანძილზე არ მომნდომებია ჩურჩხელა და გოზინაყი და ნეტავ, ახლა რამ გამახსენა? გაურკვეველი გრძნობით შოკოლადის ნაწილს ჩემს პატარას ვუტეხავ და ვეუბნები, - „ასე ტკბილად დამიბერდი! მრავალ ახალ წელს დაესწარი გერმანიის საქართველოშიც, გერმანიაშიც და საქართველოშიც, ჩემო ბიჭო"!

■ ■ ■

დროებით, ჯიმი! დროებით, ძველო და ახალო მეგობრებო!... მალე შეხვედრამდე ბილეფელდის საქართველოში - გერმანულ-ქართულ საზოგადოებაში! სახლამდე ორმოცდახუთ წუთში ჩავალთ. ჩვენ შვილს უკვე ძინავს. ნეტავ, რამდენ წუთში ჩავდიოდით წყნეთიდან გმირთა მოედნამდე?

ორი სიტყვით

თბილისი. დედაქალაქის საკრებულოს ფარგლებში ძველი თბილისის რეაბილიტაციის მორიგი პროექტი მზადდება. ახალი პროგრამის პრეზენტაცია უახლოეს დღეებში მოეწყობა. "ნაციონალ" ვახო გოძიაშვილის განმარტებით, პროექტი თბილისის ძველ უბნებში კერძო ინვესტორებისთვის საინვესტიციო გარემოს შექმნას ითვალისწინებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "საქართველოს ლეიბორისტული პარტია" ქვეყნის ახალ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს მოუწოდებს, გააუქმოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 2001 წლის ბრძანებულება, რომელიც დედაქალაქის 200 სამედიცინო ობიექტის რესტრუქტურიზაციას ითვალისწინებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. მერიის ადმინისტრაციული ინსპექცია წერეთლის გამზირზე მოქმედი უკანონო სავაჭრო ჯიხურების აღებას გეგმავს. "ჯიხურების მფლობელებს არაერთხელ მიმართეს მოთხოვნით, თავად გაეტანათ ჯიხურები, თუმცა ბევრმა მათგანმა ეს მიმართვა ყურად არ იღო. ამჯერად კი ინსპექცია ჯიხურებს ძალისმიერი გზით გაიტანს," – აცხადებენ ადმინისტრაციულ ინსპექციაში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციის მთავარი სამართველოს თანამშრომლებმა დინამოს სტადიონთან მდებარე ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია დახლებისა და ავტომანქანებისგან გაათავისუფლეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "ჩოხოსანთა საზოგადოება", რომელსაც საქართველოში 40 წლის ისტორია აქვს, ახალ პრეზიდენტს ირჩევს და საზოგადოების ახალ წევრებს აკურთხებს. "ჩოხოსანთა საზოგადოება", რომელიც წლების წინ ერთგვარ ფარულ საზოგადოებას წარმოადგენდა, დღეისათვის ცნობილი პიროვნებების ორ თაობას აერთიანებს. საზოგადოების წევრები არიან: მერაბ ბერძენიშვილი, გოგი დოლიძე, მინდია სალუქვაძე, მამუკა ხაზარაძე და დავით ხუროძე, რომელსაც დღეს პრეზიდენტად აირჩევენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ძალოვანი უწყებების პენსიონერები საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის წინ მიტინგს მართავენ. შს სამინისტროს პენსიონერები ახალი ხელისუფლებისგან გასული წლის ნოემბრისა და დეკემბრის პენსიების დარიგებას მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, გზების გადაკეტვით იმუქრებიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში, უკვე მეორე დღეა, საერთაშორისო დონის კონფერენცია მიმდინარეობს. კონფერენციაზე ქართველი და ამერიკელი სპეციალისტები საქართველოში მესამე დონის ბიოლოგიური ლაბორატორიის შექმნის თაობაზე მსჯელობენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ახალი ნაგავსაყრელი იაღლუჯაში 25 იანვრიდან ამოქმედდება. თბილისში ლილოს ნაგავსაყრელი, აეროპორტის ხელმძღვანელობის კატეგორიული მოთხოვნით, თბილისიდან 24 კილომეტრის დაშორებით, იაღლუჯაში გადაინაცვლებს. საამისოდ მარნეულის რაიონმა უკვე გამოყო 5 ჰექტარი მიწა. **მედია-ნიუსი**

„მზიური ველის" მისაკუთრებაში ხაზარაძის და უკლებას ინტერესები იკვეთება

გუშინ საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე კიდევ რამდენიმე ახალმა გვარმა გაიჟღერა, რომელთა შორისაც, ყველაზე ცნობილი სახეები პარლამენტარი ვიტალი ხაზარაძე და ქონების მართვის ყოფილი მინისტრი მიხელ უკლება აღმოჩნდნენ. საქმე ეხება დაბა ბაკურიანში მდებარე ახალგაზრდული ცენტრის "მზიური ველის" არაკანონიერ გასხვისებას.

თამარ დვალი

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 ოქტომბრის №1250 განკარგულებით, დაბა ბაკურიანში მდებარე "მზიური ველის" კომპლექსი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან ამოიღეს და ის, უზურფუქტის წესით, საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტს გადაეცა.

როგორც ამ დეპარტამენტის ახლად დანიშნული თავმჯდომარე, ვლადიმერ ვარძელაშვილი აცხადებს, დაინტერესებული პირები "მზიური ველის" ხელში ჩაგდებას და კერძო ბიზნესის წარმოებას ცდილობენ. **"მას შემდეგ, რაც "მზიური ველი" ჩვენს დეპარტამენტს გადმოეცა, დაიწყო სასამართლო დავა. 2003 წლის 2 დეკემბერს, მაშინ, როდესაც ქვეყანაში არეულობა იყო, თბილისის საოლქო სასამართლომ გააუქმა ზემოაღნიშნული განკარგულება და ვიღაცებისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო,"** – ამბობს ვარძელაშვილი და დასძენს, რომ მათი მოწინააღმდეგე "მზიური ველის" ყოფილი დირექტორი ამირან ტყეშელაშვილია, რომელსაც ზურგს პარლამენტარები უმაგრებდნენ: **"მარტო ტყეშელაშვილი ამდენს ვერ გაბედავდა. მე ხელთ მაქვს ყველასთვის "საყვარელი" ვიტალი ხაზარაძის 2000 წლის დასკვნა. მაშინ იგი იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე იყო. მან საქმის კურსში არ ჩააყენა კომიტეტის თავმჯდომარე და დასკვნა ყალბ ბლანკზე გააკეთა. წესით, ბლანკზე გამოსახული უნდა ყოფილიყო პარლამენტის შენობა, რაც ამ ბლანკზე არ არის და იგი ჩვეულებრივ ფურცელს წარმოადგენს. დასკვნაში იგი "მზიური ველის" ჩვენთვის ჩამორთმევას უჭერს მხარს."**

ვარძელაშვილი აცხადებს, რომ ქონების მართვის ყოფილმა მინისტრმა მიხეილ უკლებამ არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება და მათი დეპარტამენტისთვის, უზურფუქტის წესით გადაცემული კომპლექსი, დეპარტამენტს წელიწადზე მეტ ხანს არ გადასცა. შემდეგ კი დოკუმენტები ძველი თარიღით გააფორმა. ამდენი ხნის განმავლობაში უპატრონოდ დარჩენილი "მზიური ველიდან" ბევრი რამე დაიკარგა. ვარძელაშვილმა ამ საქმეში ბორჯომის გამგეობა და მიწის მართვის სამმართველოც დაადანაშაულა: **"მაშინდელმა გამგებელმა მიწის ნაკვეთის გასხვისებასთან დაკავშირებით, ტყეშელაშვილის წერილის საფუძველზე, უკანონო გადაწყვეტილება მიიღო. მიწის ნაკვეთი, რომელიც "მზიურ ველს" ეკუთვნოდა, ჩამოჭრეს და რომელიღაც შპს-ს გადასცეს. ამაში მონაწილეობა მიწის მართვის სამმართველოს უფროსმაც მიიღო. როდესაც ჩვენ დავინტერესდით და მიწის მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს - გეგეჭკორს მივწერეთ, მან გვიპასუხა, ნუ ერევით ამ საქმეში, რაც ადგილობრივმა მიწის მართვის სამმართველომ გააკეთა, კანონიერი იყოო. არადა, საბუთები ცხადყოფს, რომ ეს არ არის კანონიერი გადაწყვეტილება. წესით, მიწის ჩამოჭრას და გასხვისებას გამგეობის ნებართვა და მთელი რიგი ინსტანციების გავლა სჭირდება, რაც გაკეთებული არ არის. ტყეშელაშვილმა მიიღო ერთპიროვნული გადაწყვეტილება. იგი ბორჯომის გამგეობასა და მიწის მართვის სამმართველოსთვის მიწერილ წერილში აღნიშნავდა, რომ ვერ აუდიოდა მიწის შენახვას, ამიტომ სურდა, ჩამოეჭრათ მისი დიდი ნაწილი და კონკრეტული შპს-სთვის გადაეცათ."**

"მზიურ ველთან" დაკავშირებული სასამართლო პროცესები 2000 წლიდან დაიწყო. უზენაეს სასამართლოში, ნაწილობრივ, დააკმაყოფილეს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის მოთხოვნები, მაგრამ მოწინააღმდეგე მხარეს უფლება ჰქონდა, ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში, საქმე თავიდან გაესაჩივრებინა. ვარძელაშვილის თქმით, მათ მოიპოვეს დოკუმენტები, რომლებიც ეჭვს იწვევს. **"მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ყალბია. 90-იანი წლების ბლანკზე 2000 წელია მითითებული და დარტყმული აქვს სსრკ-ს დროინდელი ბეჭედი. მე ვაპირებ გენერალურ პროკურატურას მივაწოდო ეს მასალები - გამოიძიონ ამ ადამიანების საქმიანობა. ასევე, ვამზადებთ საკასაციო სარჩელს უზენაეს სასამართლოში გასაჩივრებლად",** – ამბობს იგი.

ბათუმს თავშეფარებულ აკაკი ჩხაიძეს აჭარელმა სამართალდამცველებმა ვერ უშველეს

პირველი გვერდიდან

შევარდნაძის მმართველობის პერიოდში შექმნილი მითი აჭარულ სამართლებრივ სივრცეში ცენტრიდან ჩარევის შეუძლებლობის შესახებ, რაც არაერთხელ გამოცხადებულა არაერთი კანონდარღვევის მიზეზად, ერთი ხელის მოსმით დაინგრა.

დღისით - მზისით, დაახლოებით 2 საათზე, ბათუმის ცენტრში მდებარე საავადმყოფოში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული სამსახურების წარმომადგენლებმა ისე დააკავეს თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და გადასახადების დაფარვაში ეჭვმიტანილი "საქართველოს რკინიგზის" ყოფილი გენერალური დირექტორი აკაკი ჩხაიძე, რომ აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯემალ გოგიტიძემ მხოლოდ ჩოლოქის გადაკეტვის ბრძანების გაცემა მოასწრო.

აშკარაა, რომ აკაკი ჩხაიძეს ბათუმში ხელშეუხებლობა გარანტირებული ჰქონდა. მასზე ძებნის გამოცხადების შემდეგაც კი აჭარის ადგილობრივ სამართალდამცველ ორგანოებს არაფერი გაუკეთებიათ რკინიგზის ყოფილი შეფის დასაკავებლად. არადა, მისი ბათუმში ყოფნის თაობაზე კარგად ინფორმირებულები რომ იყვნენ, ამაზე ჩოლოქის სასწრაფო გადაკეტვისა და დაკავების ოპერაციაში მონაწილე ორი პოლიციელის დაპატიმრების შესახებ ჩხაიძის დაკავებისთანავე გაცემული გოგიტიძისეული ბრძანებაც მეტყველებს.

თუმცა, ჯემალ გოგიტიძის მიერ დაგეგმილმა ხელშემშლელმა ღონისძიებებმა ცენტრიდან წარგზავნილი სამართალდამცველების გეგმები მხოლოდ უმნიშვნელოდ შეცვალა. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე აკაკი ჩხაიძის დაკავების ოპერაციის მიმდინარეობისას სენაკში იმყოფებოდა, საიდანაც პირდაპირ დაუკავშირდა საქართველოს არჩეულ პრეზიდენტს:

"შინაგან საქმეთა მინისტრს ვთხოვე, ვერტმფრენით გადაფრენილიყო აჭარაში და ჩხაიძის თბილისში ჩამოყვანა უზრუნველეყო. იქაური ხელმძღვანელობის მხრიდან სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში კი თბილისში მობილიზებულ იქნა სპეცდანიშნულების რაზმი, რომელიც საჭიროებისთანავე გადაფრინდებოდა ბათუმში", - განაცხადა გუშინ სპეციალურად აკაკი ჩხაიძის დაკავებასთან დაკავშირებით გამართულ ბრიფინგზე საქართველოს არჩეულმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. თუმცა, პრეზიდენტის მიერ გათვალისწინებული განსაკუთრებული ზომების მიღება საჭირო აღარ გახდა. ქობულეთში დაშვებულმა ბარამიძის ვერტმფრენმა მშვიდობიანად ჩამოიყვანა აკაკი ჩხაიძე თბილისამდე. ჯემალ გოგიტიძემ კი, რომლის უშუალო ჩარევამდე აჭარელმა სამართალდამცველებმა დაკავებული პოლიციელები არ გაათავისუფლეს, ჩოლოქის გადაკეტვა გაუგებრობით ახსნა; კერძოდ, განაცხადა, რომ ჩხაიძის დაკავების ოპერაციის შესახებ იგი საქმის კურსში არავის ჩაუყენებია, მისმა თანამშრომლებმა კი მოახსენეს, რომ აკაკი ჩხაიძე საავადმყოდან გაიტაცეს. მისი თქმით, სწორედ ეს გახდა გზის გადაკეტვის მიზეზი.

რა მიზეზით არ გააცნო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ აჭარელ ხელქვეითებს თავისი გეგმები, ცხადზე ცხადია, წინააღმდეგ შემთხვევაში გუშინ აკაკი ჩხაიძე თბილისში, შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების საკანში ვერ მოხვდებოდა. არადა, გუშინ თბილისის აეროპორტიდან იგი სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს გზას გაუყენეს და იქ დაკითხეს კიდეც. დაკითხვის დეტალები ჯერჯერობით არ ხმაურდება, თუმცა აეროპორტში ჟურნალისტების შეკითხვებზე გაცემული პასუხების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რკინიგზის ყოფილი შეფი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და მისთვის წარდგენილ ბრალდებებს (ისევე, როგორც დაპატიმრებას) პოლიტიკურ შეკვეთას უწოდებს.

არადა, დანაშაულები, რომელთა ჩადენასაც ქართველი სამართალდამცველები აკაკი ჩხაიძეს ედავებიან, საკმაოდ დიდ თანხებში გამოიხატება. ყველაზე მცირე აქედან "საქართველოს რკინიგზასა" და ორ ჰესს - "ჩითახევ ბორჯომსა" და "ბჟილჰესს" შორის გაფორმებული ხელშეკრულებების შედეგად გადაცემული ქონებისათვის განკუთვნილი ერთჯერადი გადასახადის – 134 141 ლარის გადაუხდელობაა, რასაც სანქცია-საურავების სახით კიდევ 33 545 ლარი დაერიცხა. ამას ემატება რამდენიმე მილიონიანი ბრალდება, რომელიც აგრეთვე ორ ფირმასთან - "ალეგრა ტრანს ლიმიტედსა" და შპს "ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ"-სთან დადებულ ხელშეკრულებებს უკავშირდება. "საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობას" ამ ფირმებზე დაკისრებული გადასახადები შემოსავალში არ დაუფიქსირებია; შესაბამისად, არც ქონებასთან დაკავშირებულ ხარჯებზე დამატებითი ღირებულების გადასახადი გადაუხდია. შესაბამისად, ბიუჯეტის დანაკარგმა ამ შემთხვევაში 6 113 382 ლარი შეადგინა.

ქობულეთში დაშვებულმა ბარამიძის ვერტმფრენმა აკაკი ჩხაიძე თბილისამდე მშვიდობიანად ჩამოიყვანა.

გადასახადების დამალვის ბრალდებას ემატება მუშთაიდის ბაღში მდებარე "საბავშვო რკინიგზის" ოთხსართულიანი ადმინისტრაციული შენობის გასხვისება კერძო ფირმაზე, რომლის მფლობელიც აკაკი ჩხაიძის ახლო მეგობარია. ამასთან, აუქციონი დაჩქარებული წესით, ვარდების რევოლუციის გამარჯვებისთანავე, 24 ნოემბერს ჩატარდა და ოთხსართულიანი შენობა სულ რაღაც 60 ათას ლარად გაიყიდა.

გარდა ზემოთ თქმულისა, აკაკი ჩხაიძეს ტრანსპორტის პროკურატურაში ვაგონების უკანონოდ დაჭრისა და ჯართად გაყიდვის გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებშიც დაკითხავენ.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა ელით იმ აჭარელ სამართალდამცველებს, რომლებმაც აკაკი ჩხაიძის დაკავებისთვის ხელის შეშლა სცადეს – ამის თაობაზე გუშინდელ ბრიფინგზე მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა და გენერალურ პროკურატურას ამ საქმის ირგვლივ გამოძიების დაწყებისკენ მოუწოდა. სამაგიეროდ, ახალარჩეული პრეზიდენტის თქმითვე, სახელმწიფოს უმაღლეს ჯილდოზე წარდგენა ელით დაკავების ოპერაციის მონაწილე ყველა პოლიციელსა და თვით შინაგან საქმეთა მინისტრსაც.

გახმაურებული მკვლელობა, რომელსაც მოწმე არ ჰყავს

უზენაეს სასამართლოში დასასრულს უახლოვდება გახმაურებული მკვლელობის საქმის განხილვა. ცოტა ხანში საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს უფროსის - ლევან ტაბაღუას მკვლელობაში ბრალდებულს, ეროვნული გვარდიის საგანგებო სპეცფონდების სამსახურის უფროსს, თავის დროზე თავდაცვის მინისტრის - თენგიზ კიტოვანის დაცვის უფროსს, ვიცე-პოლკოვნიკ მიხეილ კერესელიძეს მართლმსაჯულება განაჩენს გამოუტანს.

ხათუნა ჭანგირაშვილი

როგორ მოკლა მიხეილ კერესელიძემ ლევან ტაბაღუა – აფექტის მდგომარეობაში, თუ განზრახ? ამ კითხვას სასამართლო მხარეებს შორის გამართული კამათისა და განსასჯელის ბოლო სიტყვის შემდეგ გასცემს პასუხს. ბრალდებისა და დაცვის მოწმეთა დაკითხვა სასამართლო პროცესზე უკვე დასრულებულია. სასამართლოს ჩვენი წლის წინ, იანვრის დასაწყისში გაუჩინარდა. მისი უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო სამართალდამცველებმა თავდაპირველად საქმე ადამიანის გატაცების მუხლით აღძრეს. თავდაპირველად ლევან ტაბაღუას გაუჩინარების მოტივად მიიჩნევდნენ მის სამსახურებრივ საქმიანობას ან ბიზნესდაპირისპირებას, თუმცა ერთი კვირის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა და სამართალდამცველებს მუხლის შეცვლა მოუხდათ. საქმე განზრახ მკვლელობად გადაკვალიფიცირდა და მომხდარ მკვლელობაში კონკრეტული ეჭვმიტანილიც დააკავეს – მიხეილ კერესელიძე, ტაბაღუას საქმიანი პარტნიორი.

სწორედ კერესელიძე გახლავთ ის, ვის მანქანაშიც უკანასკნელად ნახეს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის შენობიდან გამოსული და შემდეგ გაუჩინარებული ლევან ტაბაღუა. გამოძიების მიერ დანაშაულში ეჭვმიტანილად ცნობილმა თავადვე აღიარა, რომ ლევან ტაბაღუა მოკლა და მისი გვამი გადამალა. მანვე მიიყვანა სამართალდამცველები შემთხვევის ადგილას და გვამის ადგილსამყოფელიც მიუთითა. ტაბაღუა საკუთარი იარაღით მოკლული ნახეს. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს უფროსის დაცხრილული სხეული სოფელ ნიჩბისთან, დიდგორის ველის ტერიტორიაზე იყო ჩაფლული. გვამს პირველადი დათვალიერებით ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული სამი ჭრილობა აღმოაჩნდა. ლევან ტაბაღუას ორი ტყვია გულ-მკერდის არეში, ერთიც – თავში ჰქონდა მოხვედრილი.

"ტაბაღუა 10 იანვარსვე, მისი გაუჩინარების დღესვე მოვკალი. შეკამათება-შელაპარაკების შემდეგ დავარტყი. მან იარაღი ამოიღო და მესროლა. ამცდა და მისთვის იარაღის წართმევა მოვახერხე. არ ვიცი, არ მახსოვს, როგორ მოხდა ორი გასროლა. მკვლელობა თბილისში მოხდა, შემდეგ გვამი გადავიტანე და მიწაში ჩავმარხე", - ასეთი გახლავთ განსასჯელის ჩვენების მოკლე შინაარსი. მიხეილ კერესელიძემ მკვლელობის მიზეზად ლევან ტაბარუასთან არსებული ფინანსიური დავა დაასახელა.

მკვლელობა საკმაოდ სოლიდურ ვალს უკავშირდება, რომელიც, როგორც განსასჯელი ამბობს, ლევან ტაბაღუას მართებდა და არ უბრუნებდა. სასამართლო პროცესზე უკვე კარგა ხანია არკვევენ, ბოლოს და ბოლოს, ვის ვისი ვალი ჰქონდა, რადგან, გარდაცვლილის ოჯახის წევრებისა და ახლობლების მტკიცებით, თავად კერესელიძეს მართებდა ტაბაღუას ვალი, თანაც იმაზე ბევრად მეტი, რასაც განსასჯელი ასახელებს.

მოკლედ, განსასჯელი ირწმუნება, რომ მკვლელობა აფექტურ მდგომარეობაში მოხდა. მისი ადვოკატის განმარტებით კი, ტაბაღუა მასსა და კერესელიძეს შორის მომხდარი გაწევ-გამოწევის დროს გავარდნილი ტყვიების მსხვერპლი გახდა. **"გამოძიებას მყარი მტკიცებულებები გააჩნია, იმასთან დაკავშირებით, რომ მკვლელობა მართლაც განზრახ ჩადენილია",-** ასეთია პროკურორის პოზიცია.

ერთი სიტყვით, მხარეები - სასამართლო კამათისთვის, განსასჯელი - ბოლო სიტყვისთვის, მოსამართლე კი ვერდიქტის გამოსატანად ემზადება.

გენერალური პროკურატურა დღეს დავით მირცხულავას დაკითხავს

სემეკ-ის თავმჯდომარეს, ენერგეტიკის ექსმინისტრს დავით მირცხულავას კარდიოლოგთა ჯგუფი, ცხრა ექიმი, გუშინ მთელი დღის მანძილზე ექსპერტიზას უტარებდა.

წინასწარი მონაცემებით, კონსილიუმის ჯგუფის ოფიციალურ დასკვნაში დაიწერება, რომ დავით მირცხულავას გადატანილი ჰქონდა ინფარქტი და ინსულტი. სწორედ ექსპერტიზის პასუხზეა დამოკიდებული, მიიღებს თუ არა სემეკ-ის თავმჯდომარე საგამოძებო მოქმედებებში მონაწილეობას; შესაძლებელი გახდება თუ არა მისი დაკითხვა, რის შემდეგაც დავით მირცხულავას ბრალდებას წაუყენებენ. როგორც ცნობილია, გენერალურ პროკურატურას დიდი ოდენობით თანხების მითვისებაში ეჭვმიტანილი დავით მირცხულავასთვის ბრალის წაყენების ვადა 24 იანვარს ეწურება. თუ პროკურატურა ამ დრომდე მას ბრალს ვერ წარუდგენს, მირცხულავას ეჭვმიტანილის სტატუსიც ეხსნება და ბრალის წარდგენის ხელახალი საფუძველი ახლად აღმოჩენილი გარემოება უნდა გახდეს.

ექსპერტთა წინასწარი დასკვნით, მირცხულავას დაკითხვა მხოლოდ ექიმის მეთვალყურეობით შეიძლება. გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილის პაატა ჯაველიძის ინფორმაციით, სემეკ-ის თავმჯდომარის დაკითხვა და მასთან საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ ექიმის თანდასწრებით. პაატა ჯაველიძის განცხადებით, ექსპერტიზის ოფიციალური პასუხის ჩაბარების შემდეგ მათ ნებისმიერ დროს შეეძლებათ, ყოველგვარი ნებართვის გარეშე დაკითხონ ეჭვმიტანილი და ჩაატარონ სხვა საგამოძიებო მოქმედებები.

ჩვენი ინფორმაციით, გენერალური პროკურატურის გამომძიებელთა ჯგუფი დავით მირცხულავას დღეს დაკითხავს.

თუმცა, როგორც მირცხულავას ადვოკატი ეკა ბესელია აცხადებს, ის არ დაუშვებს, რომ დავით მირცხულავა პროკურატურამ ექიმის ნებართვის გარეშე დაკითხოს. ეკა ბესელიას განცხადებით, გენერალური პროკურატურა დავით მირცხულავას "აბსურდულ ბრალდებებს" უყენებს.

24 საათი

„საფოსტო ბანკის" ფილიალებს ყადაღა დაადეს

გუშინ თბილისიდან ზუგდიდსა და წალენჯიხაში ჩასულმა შსს-ს კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა "საფოსტო ბანკის" ფილიალებს ყადაღა დაადეს. როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ეკონომიკურ დანაშაულთან და კორუფციასთან მებრძოლები გუშინ, მთელი დღის განმავლობაში, "საფოსტო ბანკის" ზუგდიდისა და წალენჯიხის ფილიალებში დოკუმენტაციის ამოღებაზე მუშაობდნენ.

შეგახსებთ, ოთხი დღის წინ იმავე სამსახურმა 500 000 ლარის ოდენობით ლტოლვილთა შემწეობების მითვისებისა და 1 211 000 ლარის მითვისების მცდელობის ბრალდებით დააკავეს შს "საფოსტო ბანკის" საბურთალოს ფილიალის განყოფილების დირექტორი ზაურ ჯალაღონია. სხვისი ქონების დატაცების ბრალდებით დაკავებულ ჯალაღონიას 6-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

გამოძიება ჯალაღონიას, 2003 წლის ლტოლვილთა შემწეობების დატაცების გარდა, საბუღალტრო წიგნის წარმოების დარღვევასა და უკანონო სამეწარმეო საქმიანობაში ადანაშაულებს.

გუშინდელი "რეგიონული" ოპერაცია სწორედ ჯალაღონიას მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს უკავშირდება.

რა დარღვევებს აღმოაჩენენ სამართალდამცველები "საფოსტო ბანკის" ზუგდიდისა და წალენჯიხის ფილიალებში, ცოტა ხანში გახდება ცნობილი. "ჯერჯერობით, მხოლოდ დოკუმენტაციაა ამოღებული, მიმდინარეობს მოკვლევა", - ასეთი მოკლე პასუხებით იფარგლებოდნენ გუშინ "24 საათთან" საუბრისას კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი თბილისელი თუ ზუგდიდელი სამართალდამცველები.

24 საათი

ორი სიტყვით

ზუგდიდი. გუშინ, საღამოს, ზუგდიდის სტადიონზე დაეშვა რუსეთის სამშვიდობო ძალების კუთვნილი ვერტმფრენი, რომელმაც კოდორის ხეობიდან სოფელ გენწვიშის მკვიდრი, ბატალიონ "მონადირეს" წევრი კოტე პირველი ჩამოიყვანა. კოტე პირველი პატრულირებას ახდენდა კოდორის ხეობის სოფლებისა და მარუხის უღელტეხილის მიმართულებით. როგორც პირველის ახლობლები აცხადებენ, იგი ცეცხლსასროლი იარაღით არ არის დაჭრილი და მოტეხილობა მოყინული გზიდან გადავარდნის შედეგად მიიღო. რუსეთის სამშვიდობო ძალების ვერტმფრენი უამინდობის გამო ოპერატიულად ვერ გადაფრინდა ზუგდიდში, თუმცა ამჯერად კოტე პირველის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. ახლობლები შემდგომი მკურნალობისთვის მის გადაყვანას თბილისში გეგმავენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ტყიბული. ტყიბულის პოლიციამ 36 წლის ქალბატონი დააკავა, რომელიც მეზობლის პირადი ქონების განადგურებაშია ეჭვმიტანილი. ტყიბულის პოლიციის განცხადებით, დაკავებულმა მერი ჭანკვეტაძემ მეზობლური დავის ნიადაგზე გუშინ ელენე ხელოშვილის საცხოვრებელ სახლს ცეცხლი წაუკიდა. შენობა მასში არსებულ მთელ ქონებასთან ერთად დაიწვა. მომხდართან დაკავშირებით მოკვლევას ტყიბულის პროკურატურა ანარმოებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. 12 წლის შალვა წიკლაური და 13 წლის ზურაბ ზარიშვილი გლდანი-ნაძალადევის პოლიციის თანამშრომლებმა ქურდობის ბრალდებით დააკავეს, თუმცა ასაკის გამო მათი პასუხისგებაში ვერ მისცემენ. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, ბავშვებმა 14 იანვარს გაქურდეს ცოტნე დადიანის ქუჩაზე მდებარე თამარ ქურდაძის კუთვნილი სასურსათო მაღაზია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ძალოვანი უწყებების პენსიონერები ახალი ხელისუფლებისგან გასული წლის ნოემბრისა და დეკემბრის პენსიების დარიგებას მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციებითა და გზების გადაკეტვით იმუქრებიან. **"თუ ახალი ხელისუფლება ჩვენს მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, ჩვენ უკიდურეს ზომას მივმართავთ და გზების გადაკეტვას დავიწყებთ, ხოლო საპარლამენტო არჩევნებში ახალ ხელისუფლებას კი არა, არამედ მის ოპოზიციას მივცემთ ხმას,"** - აცხადებენ აქციის მონაწილეები. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ქუთაისი. რამდენიმე თვის წინ რუსთავის კოლონიიდან გაქცეულმა მსჯავრდებულებმა ქუთაისში ყაჩაღური თავდასხმა განახორციელეს. ინციდენტი რესტორან "ფიროსმანის" წინ მოხდა. სამხედრო ფორმაში გადაცმული სამი შეიარაღებული ბოროტმოქმედი თავს დაესხა 23 წლის ირაკლი ბუხაიძეს, რომელსაც ავტომანქანა "BMW" და პირადი ნივთები წაართვა. ბოროტმოქმედებს, რომლებიც ზუგდიდის მიმართულებით გაიქცნენ, პოლიცია დაედევნა და ერთ-ერთის დაკავება შეძლო. მოგვიანებით სამართალდამცველებმა დაკავებულისგან ორი თანამზრახველის ვინაობაც შეიტყო. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ქუთაისის პოლიციაში ბოროტმოქმედთა ვინაობას არ ასახელებენ. ცნობილია მხოლოდ, რომ სამივე ეჭვმიტანილი რუსთავის კოლონიიდან არის გაქცეული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. შიდა ქართლის სამხარეო პოლიციაში შესული შეტყობინება, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის სოფელ ნიქოზში, თეიმურაზ გიუნაშვილის საცხოვრებელ სახლთან ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო დამონტაჟებული, არასწორი აღმოჩნდა. პოლიციის სამმართველოს უფროსის ალექსანდრე სუხიტაშვილის განცხადებით, შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველებმა და გამნაღმველებმა მხოლოდ უვარგისი ტანსაწინააღმდეგო ნაღმის ნაწილი იპოვეს. სამართალდამცველები ჯერჯერობით ვერ აკონკრეტებენ, თუ საიდან მოხვდა იგი საცხოვრებელ სახლთან, თუმცა აცხადებენ, რომ კონფლიქტის ზონის სოფლებში, კერძოდ - მოსახლეობაში, ამ ტიპის ასაფეთქებელი საშუალებები ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით არსებობს. **მედია-ნიუსი**

ბედგება თუ არა პრემიერა?

ავთო ჯოხაძე

4 იანვრის არჩევნების შემდეგ გამართულ სახელდახელო პრესკონფერენციაზე ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ ახლო მომავალში ქვეყანას ძლიერ პრეზიდენტთან ერთად ძლიერი პრემიერი (ზურაბ ჟვანიას სახით) და ძლიერი პარლამენტიც ეყოლებაო.

განცხადება, რბილად რომ ვთქვათ, დამაფიქრებელია.

სააკაშვილის ამ განცხადების მიზანი ალბათ მსმენელისათვის იმის ჩაგონებაა, რომ ამ გზით სახელმწიფო გაძლიერდება და წესრიგი დამყარდება. აბა, უსუსური პარლამენტი, ან სუსტი პრემიერი, მით უმეტეს სუსტი პრეზიდენტი, ვის რაში სჭირდება, განსაკუთრებით ვარდების ბრწყინვალე რევოლუციის შემდეგ. მაგრამ ვეჭვობ, პრეზიდენტის ამ განცხადებას აღსრულება ეწეროს. ძლიერი პრეზიდენტი გამორიცხავს ძლიერ პრემიერს და პირიქით: ძლიერი პრემიერი - ძლიერ პრეზიდენტს.

მაშინ რატომ გახდა საჭირო ასეთი თავბრუდამხვევი განცხადება? პოპულისტურს და პროპაგანდისტულს მას ვერ დავარქმევთ, თუნდაც იმიტომ, რომ პროპაგანდისტულ განცხადებებს უფრო არჩევნების წინ აკეთებენ და არა არჩევნების შემდეგ. აშკარაა, ლიდერთა სამეული შეთანხმებულია და მტკიცედ აქვთ განზრახული, ცვლილებები შეიტანონ კონსტიტუციაში. საკითხი კი უაღრესად საპასუხისმგებლოა.

დავაკვირდეთ ჩვენი ქვეყნის ინსტიტუციონალური მოწყობის დინამიკას. რა სისტემა აღარ მოვსინჯეთ ამ ცამეტი წლის განმავლობაში?! თავდაპირველად *საპარლამენტო რესპუბლიკა*, თავისი პრემიერ-მინისტრის პოსტით, მალე მას *პრეზიდენტის ინსტიტუტიც* ზედ დავურთეთ და სწორედ ამ ორი ფიგურის: პრეზიდენტ გამსახურდიას და პრემიერ სიგუას გარშემო დარაზმულმა ადამიანებმა გააჩაღეს სამოქალაქო კონფლიქტი, რაც სახელმწიფო გადატრიალებით დამთავრდა. შემდეგ - სამხედრო საბჭო, სახელმწიფო საბჭო; 1992 წლის 11 ოქტომბრიდან *ისევ საპარლამენტო რესპუბლიკა* - ოღონდ საერთო-სახალხო კენჭისყრით არჩეული თავმჯდომარით, რომელმაც მალე "სახელმწიფო მეთაურის" ტიტული და უფლებამოსილებები მიიკერა; ეს საპრეზიდენტო მმართველობის აღდგენისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო; 1995 წლიდან დღემდე კი ისევ *საპრეზიდენტო მმართველობა* გვაქვს; დაპირებული პრემიერის ინსტიტუტის შემოტანით უკვე მესამედ მივდივართ იმავე მოჯადოებულ წრეზე!!!

საპარლამენტო მოდელიდან საპრეზიდენტო მმართველობისაკენ მთელი ეს წინაუკმო სრბოლა და ორომტრიალი რევოლუციების და სახელმწიფო გადატრიალებების ფონზე მიმდინარეობდა, რასაც თან ეთნოპოლიტიკური და სამხედრო კონფლიქტებიც ახლდა; ამ ხნის განმავლობაში არც კრიმინალურ და შეიარაღებულ დაჯგუფებათა თარეში, ფრთაგაშლილი კორუფცია, მასობრივი ემიგრაცია და სხვა სოციალური უბედურება დაგვკლებია...

პოლიტიკური სისტემის გახშირებული მონაცვლეობა ერთი მხრივ თვითონ აპროვოცირებდა ქაოსს და უწესრიგობას, მეორეს მხრივ ის გამოსავლის პოვნის სასოწარკვეთილ მცდელობადაც შეგვიძლია შევაფასოთ. მიხეილ სააკაშვილის ზემოხსენებული განცხადება ვითარებიდან გამოძრომის კიდევ ერთი ცდა და მორიგი გაბრძოლებაა; უკვე შეძენილი გამოცდილება კი გვიჩვენებს, რომ ამ წაჯექ-უკუჯექობით საქმის არსი არ იცვლება. მაინც რატომ?

რატომ და იმიტომ, რომ პოლიტიკურ სცენაზე მხოლოდ მსხვილი ფიგურების შემოყვანით და მსხვილი პოსტების დაწესებით არანაირი სასიკეთო შედეგი არ მიიღწევა, თუ ამავე დროს სხვა უაღრესად მნიშვნელოვანი კომპონენტებიც არ იქნა გათვალისწინებული:

პირველ რიგში გასარკვევია, როგორი იქნება სახელმწიფოს მართვის მეთოდიკა, და აწყვია თუ არა სამეულის სამუშაო მაგიდებზე სახელისუფლო შტოების ურთიერთქმედების დეტალურად დამუშავებული სქემები?

უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორ განსაზღვრავს ჩაფიქრებული მოდელი ადგილობრივი მმართველობის და ტერიტორიული მოწყობის სისტემას?

სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთქმედების რა მექანიზმებია ჩადებული შემოთავაზებულ მოდელში?

როგორი იქნება ხელისუფლების შტოებში პოლიტიკურ პარტიათა განლაგება და ა.შ.

ერთი სიტყვით, *ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის მოდელი სისტემურ მთლიანობაში უნდა ითვალისწინებდეს ყველა ამ და სხვა აუცილებელ კომპონენტს.* კონკრეტული უფლებამოსილებები და სქემები სწორედ ამ კომპონენტების შეხამებით უნდა ისაზღვრებოდეს. ასეთ რამ კი აქამდე არ გაკეთებულა. მეტიც, ასეთი მიდგომა თვით კონსტიტუციის მიერ იზღუდება. კონსტიტუციის მე-2 მუხლის თანახმად ტერიტორიული მოწყობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრული აღდგენის შემდეგ უნდა განისაზღვროს. კი მაგრამ, მანამდე?!

მანამდე გვერდები არ აგიდგათო! - ფიქრობდა ალბათ ყოფილი პრეზიდენტი.

ზემოთ ჩამოთვლილი აუცილებელი კომპონენტების გარეშე იმაზე მსჯელობა, რას გვარგებს ესა თუ ის პოლიტიკური მოდელი, ფუჭია და იმ უშედეგო კამათს ემსგავსება, ფეხბურთის ქომაგებს შორის რომ იმართებოდა: რომელი სათამაშო სისტემა სჯობია: ძველი, ბრიტანული 4-3-3, თუ ახალი, ჰოლანდიური 4-4-2? - გააჩნია სხვა მონაცემებს -შემსრულებლებს ამ შემთხვევაში.

ისე, თავისთავად, შემსრულებლების და სხვა უმნიშვნელოვანესი კომპონენტების გარეშე, თავისი უპირატესობები საპარლამენტო მოდელსაც გააჩნია და საპრეზიდენტოსაც. სწორედ ამ წმინდა თეორიული, იდეალური მიდგომის საფუძველზე მიიჩნევს ბევრი ექსპერტი, რომ ავტორიტარიზმიდან დემოკრატიისაკენ გარდამავალი ქვეყნებისათვის საპარლამენტო მმართველობა უფრო უპრიანია, მაგრამ ჩვენი დღევანდელი რეალობა იდეალური არჩევანის უფლებას აღარ გვიტოვებს, ჩვენთან საპრეზიდენტო მმართველობა ან, უფრო ზუსტად, მმართველობის ამერიკულთან მიახლოებული მოდელი უკვე დამკვიდრებულია და საჭიროა არა მისი მორიგი უკუგდება, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სრულყოფა, იმავე ამერიკულ მოდელთან კიდევ უფრო მიახლოება.

თუ რაიმე ნაკლი აქვს არსებულ სისტემას, ეს, უპირველეს ყოვლისა, არის არა პრემიერ მინისტრის ინსტიტუტის, არამედ *დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების* არარსებობა. ამერიკული მოდელი ძლიერ, ანუ ფართო უფლებამოსილებების მქონე პრეზიდენტს და ასევე ძლიერ პარლამენტსაც გულისხმობს. ეს ორი ძლიერი ინსტიტუტი კი მესამემ, სასამართლო სისტემამ უნდა გააწონასწოროს.

4 იანვრის არჩევნებში ხალხმა სრული ნდობა გამოუცხადა მიხეილ სააკაშვილს, ანუ პრეზიდენტს და ეს იმ იმედით, რომ ის მინიჭებულ უფლებამოსილებებს შევარდნაძის მსგავსად ქვეყნის ინტერესების საზიანოდ კი არა, სასარგებლოდ გამოიყენებს. დიახ, არსებულ სისტემაში პრეზიდენტმა შეიძლება ბოროტად გამოიყენოს მინიჭებული უფლებები და ამ გადაცდომისაგან მას პიროვნული ღირსებები ვერ დააზღვევს - "ყოველგვარი ძალაუფლება გამრყვნელია" და იმიტომ; მაგრამ ამის გამო პრეზიდენტს უფლებები კი არ უნდა შეეკვეცოს, არამედ მისი მუდმივი კონტროლი და დაბალანსება უნდა გახდეს შესაძლებელი. ჩვენთან დამკვიდრებულ მოდელში პარლამენტი რამდენადმე აწონასწორებს პრეზიდენტის ძალაუფლებას, მაგრამ დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის არსებობა მაინც სრულიად აუცილებელია.

სულ სხვა ვითარებას შექმნის პრემიერის პოსტის შემოტანა. ეს გადაწყვეტილება სახელისუფლო შტოებს შორის არსებულ მყიფე ბალანსს პარლამენტის სასარგებლოდ დაარღვევს და, ამას გარდა, სადღეისოდ მოქმედ სისტემაზე პრემიერის პოსტის დამატება მოდელს ერთიან სახეს დაუკარგავს და ეკლექტურს გახდის; დომხალი ისედაც არ გვაკლდა.

უაღრესად პრობლემურია აგრეთვე სახელისუფლო შტოების "პირადი შემადგენლობის" საკითხიც; ვინ, რომელი პოლიტიკური პარტია მოიპოვებს უმრავლესობას პარლამენტში?

ამერიკაში ჩვეულებრივი ამბავია ერთი მხრივ რესპუბლიკელი პრეზიდენტის და მეორე მხრივ დემოკრატებისაგან შემდგარი პარლამენტის (ან პირიქით) თანამშრომლობა. ამერიკელების მაღალი პოლიტიკური კულტურა სახელისუფლო შტოების კონკურენტული პარტიებით დაკომპლექტებას არამც თუ რაიმე ნიშნით პრობლემატურს, არამედ მიმზიდველსაც კი ხდის, - კონკურენტები იქ თანამშრომლობენ კიდეც. მაგრამ ჩვენი სამოქალაქო კულტურის პირობებში, თუ პრეზიდენტს პარლამენტში თანაპარტიელთა უმრავლესობა არ ეყოლა, გადაულახავ პრობლემებს გადააწყდება და პარლამენტი გადაწყვეტილებების წამდაუწუმ დაბლოკვის ანდა ძალაუფლებისთვის გაუთავებელი ბრძოლის არენად გადაიქცევა. ეს მით უფრო ასე იქნება არათანაპარტიელი პრემიერის ქოლგის ქვეშ შეყუჟული სადეპუტატო კორპუსის არსებობისას.

პრემიერის აღთქმული ინსტიტუტის შემოტანით ჩვენ ქვეყანას სერბეთის შეცდომის გამეორების საფრთხე ემუქრება. იქ პრემიერი და პრეზიდენტი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, რაც სერბეთში დემოკრატიის მშენებლობის პროცესის კრახით დასრულდა. კარგი იქნება, თუ ჩვენი ხელისუფლება გაიხსენებს: ჭკვიანი ადამიანები სხვის შეცდომებზე სწავლობენ, ხოლო საკუთარ შეცდომებზე - მხოლოდ სულელები. ამ უსიამოვნო ბრალდების თავიდან აცილების მიზნით გამსახურდია-სიგუას ტრაგიკულ პრემიერას და სიგუა-შევარდნაძის გაყრის დრამას საკუთარი გამოცდილების შესაძენად აღარ გაიმეორებენ.

ზოგი ალბათ შეგვედავება, ჟვანიას და სააკაშვილის შემთხვევაში საქმე თანამოაზრეებთან გვაქვს და სერბეთის საფრთხე აქ არაფერ შუაშიაო. ჯერ ერთი, პოლიტიკურმა სისტემამ ამ ორი ფიგურის მერეც უნდა იმუშაოს და არავითარი გარანტია არ არსებობს, რომ სხვა ორიც მუდამ თანამოაზრე იქნება. გარდა ამისა, თანამოაზრეობა და თუნდაც პირადი მეგობრობა საქმეს არ შველის, რადგან **ლაპარაკი აქ ძალაუფლებების გაყოფაზეა და არა შრომის დანაწილებაზე**!!! როგორც არ უნდა განაწილდეს უფლებები ამ ორ ფიგურას შორის, ქვეყანას მაინც არასრულუფლებიანი (ანუ უფლებრივად არასრულყოფილი) პრეზიდენტი და ასევე არასრულუფლებიანი პრემიერი ეყოლება. **ორი არასრულყოფილების ჯამი კი ერთ სრულყოფილებას როდი უდრის**. ის, რომ ორივე პერსონას აშკარად გამოკვეთილი რეფორმატორული ნება აქვს, ბევრს არაფერს ნიშნავს. ჯერ ერთი, ხედვები შეიძლება სხვადასხვა იყოს და მათი შეჯერება ყოველთვის არ მოხერხდეს, და, რაც მთავარია, ძალაუფლებისათვის ბრძოლის კომპონენტი, რაც ასეთ კომბინაციაში გარდაუვალია, ყველაფერს წაახდენს.

რაც არ უნდა შეხმატკბილდნენ "ნაციონალები" და "ბურჯანაძე- დემოკრატები", მათი შემაკავშირებელი პოლიტიკური მოწინააღმდეგის დასუსტების კვალობაზე სულ უფრო რეალური გახდება ამ ორ პოლიტიკურ სუბიექტს შორის კონკურენციის გაღრმავება; გადამეტებული თვითდაჯერებაა იმაზე ფიქრი, რომ თუნდაც ერთ საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული ორი სახელისუფლებო პარტია პარლამენტში უპრობლემოდ ითანამშრომლებს. *ქართული გამოცდილება გვაფრთხილებს, რომ პარლამენტში მოხვედრა პარტიებისთვის უკუჩვენებას შეიცავს: პარტიები იშლება პარლამენტში მისვლის მერე* და *დეპუტატები გადაჯგუფება-გადმოჯგუფების გაუთავებელ პროცესში ებმებიან.* ასე რომ, საეჭვოა ნაციონალების და დემოკრატების *რევოლუციულმა ამხანაგობამ* დიდხანს გასტანოს. არც იმის დავიწყება გვმართებს, რომ "ნაციონალები" არ არიან თანაპარტიელები - სად ზვიადისტები და სად რესპუბლიკელები?! შევარდნაძის რეჟიმმა ისინი შეაკავშირა, მაგრამ შევარდნაძე წარსულს ჩაბარდა და ანტიპოდების ერთად ყოფნა მხოლოდ ინერციით გრძელდება. გაზაფხულზე ყინული გალღვება და ახალ პარლამენტში გადაჯგუფება-გადმოჯგუფების პროცესი დაიწყება. ამასობაში კი პრეზიდენტი და პრემიერი თავ-თავიანთ საპარლამენტო გუნდებს დაეყრდნობიან და პარლამენტიც, ეს მრავალჭირგადანახადი დაწესებულება, რინგს დაემსგავსება.

რა მაღალიც არ უნდა იყოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის და ახლანდელი სახელმწიფო მინისტრის, ზურაბ ჟვანიას მოქალაქეობრივი შეგნება და პირადი ღირსებები, გართულება მაინც გარდაუვალი მგონია. გეპყრას პოლიტიკური მართვის რეალური ბერკეტები და, ამავე დროს, იყო პარტიის ლიდერი, ნიშნავს პერმანენტულად იბრძოლო და იშრომო - და ამაში უზნეო არაფერია - პოლიტიკური მომავლის უზრუნველყოფისათვის: არა პირადი, არამედ პარტიის მომავალი ძალაუფლებისათვის. მაგრამ რომელი პარტიის? პრეზიდენტი და შესაძლო პრემიერი თანაპარტიელები რომ არ არიან?! ძალაუფლებისათვის ბრძოლის გამძაფრებული კონკურენცია პრემიერის და პრეზიდენტის ყოველდღიურ საქმიანობაშიც კი დაარღვევს თანაფარდობას ქვეყნის პოლიტიკური ინტერესების სამსახურსა და პარტიის სასარგებლოდ გარჯას შორის. შეიქმნება ვითარება, სადაც პასუხისმგებლობები მეტისმეტად გაბუნდოვანდება.

გაუგებარია, რატომ აჩქარდა პრეზიდენტი? დაპირებული ცვლილების უსარგებლობა იმდენად აშკარაა, რომ ის ამ ნაბიჯზე თითქოს არ უნდა წავიდეს. გამოდის მისი საჯარო განცხადება იძულებითი კომპრომისის ნაყოფი ყოფილა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ხელოვნურად იქმნება თანამდებობა ზურაბ ჟვანიას რევოლუციური დამსახურებისთვის? სახელმწიფო პოსტის პიროვნების თარგზე მოჭრის შევარდნაძისეული პრაქტიკის გაგრძელება სრულიად შეუფერებელია ისეთი მორალური ღირსებების მატარებელი პიროვნებებისათვის, როგორებიც სამეულის წევრები არიან. იმაზე აღარ ღირს ლაპარაკი, რომ ასეთი გადაწყვეტილება საზოგადოების გაწბილებას და იმედგაცრუებასაც მოიტანს, რაც დიდი ძალისხმევით დაგროვილ ნდობის კაპიტალს ერთბაშად გაანიავებს და ქვეყანაში მორიგ პოლიტიკურ კრიზისს დაუდებს დასაბამს.

ყურად იღებს თუ არა ხელისუფლება ამ შეშფოთებას და გაითვალისწინებს თუ არა მწარე ისტორიულ გამოცდილებას, ამას მალე გავიგებთ, ჯერჯერობით კი ქართულ პოლიტიკურ სცენაზე მორიგი პრემიერა იგეგმება. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ კომედია ის არ იქნება.



უმაღლესი დონის ადმინისტრაციული მომზადება საფრანგეთში

საფრანგეთის ადმინისტრაციის ეროვნული სკოლა (ENA) სთავაზობს ქართველ მოხელეებსა და სტუდენტებს გაიარონ უცხოელი სტუდენტებისათვის გათვალისწინებული სასწავლო კურსი.

შემოთავაზებულია სწავლების სამი ციკლი:

- გრძელვადიანი საერთაშორისო ციკლი 18 თვის განმავლობაში (2004 წლის სექტემბრიდან 2006 წლის თებერვლამდე), რომელიც მიმდინარეობს ფრანგ სტუდენტებთან ერთად საწყისი სწავლების სახით, და გათვალისწინებულია 35 წელზე ნაკლები ასაკის ახალგაზრდა საჯარო მოხელეებისა და დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისათვის.
- მოკლევადიანი საერთაშორისო ციკლი 9 თვის განმავლობაში (2004 წლის ნოემბრიდან 2005 წლის ივლისის ბოლომდე), რომლებიც გათვალისწინებულია 30 წელზე მეტი ასაკის მქონე საჯარო მოხელეებისთვის, რომლებსაც უკვე აქვთ საკმაო გამოცდილება.
- საჯარო ადმინისტრაციის საერთაშორისო ციკლი 6-თვენახევრის განმავლობაში (2005 წლის იანვრიდან 2005 წლის ივლისის შუა რიცხვებამდე ფრანგულენოვანი მსმენელებისთვის და 2004 წლის დეკემბრიდან 2005 წლის ივლისის შუა რიცხვებამდე ფრანგული ენის არმცოდნე მსმენელებისთვის), რომელიც გათვალისწინებულია 25 წელზე მეტი ასაკის მქონე საჯარო მოხელეებისთვის, რომელთაც სურთ გაიღრმავონ თავიანთი პროფესიული გამოცდილება.

კანდიდატებმა საბუთები (მოტივაციის წერილი და ავტობიოგრაფია) უნდა წარმოადგინონ საფრანგეთის საელჩოში თბილისში, მისამართზე: გოგებაშვილის 15 (ტელ: 93 42 10) 2004 წლის 23 იანვრამდე. შესარჩევი გამოცდები ჩატარდება საელჩოში 2004 წლის 26 და 27 იანვარს. გამოცდები, რომლებიც თითო საათს გაგრძელდება, შემდეგი სახისაა:

- ფრანგული ენის ტესტი;
- ესსე;
- ზოგადი ცოდნის ტესტი.

კანდიდატებს შეუძლიათ მიიღონ დეტალური ინფორმაცია ადმინისტრაციის ეროვნული სკოლის შესახებ ინტერნეტ-გვერდზე: http://www.ena.fr

www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

ირაკლი რეხვიაშვილი: "ჩვენ არა მარტო ერთმანეთს, სხვებსაც უნდა ვაჯობოთ"

ეკონომიკის ახალი, 28 წლის მინისტრი "24 საათს" პირველი სამუშაო დღის ბოლოს, საღამოს ათი საათისთვის ესტუმრა. დაღლილი ჩანდა. "ასეთ დღის რეჟიმს ჩვეული არ ვარო," - გამოგვიტყდა.
მის განათლებაზე არ გვისაუბრია - ირაკლი რეხვიაშვილის "სერიოზული დასავლური განათლების" და ახალგაზრდა კაცისთვის მართლაც შთამბეჭდავი დასავლური სამსახურებრივი გამოცდილების დეტალები ამ დღეებში უკვე არაერთხელ დატრიალდა საინფორმაციო საშუალებებში. მინისტრს ისევ ის კოსტიუმი ეცვა, რომელიც პარლამენტში - დამტკიცების დღეს, გულზე ისევ ის გულსაბნევი ეკეთა - რევოლუციის სიმბოლო, დღეს უკვე - საქართველოს დროშა, ცოტა აჟიტირებული გახლდათ - ორ თვეში შედეგების მიღწევის შესაძლებლობაზე საუბრობდა და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ამბობდა, რომ თავი შაბათ-კვირას "შეთავსებით" მუშაობით უნდა ირჩინოს.

თამარ ხორბალაძე

- ეს გულსაბნევი ამ დღეებში გაიკეთეთ თუ ადრეც გეკეთათ?

- ეს?.. კენჭისყრის შემდეგ გამიკეთეს.

- უტაქტო შეკითხვა უნდა დაგისვათ - ხელფასი რა გექნებათ?

- მინისტრის ხელფასი, როგორც მე დღეს გავიგე, არის საკმაოდ დაბალი. იმედი მქონდა, რომ ჩემი კვლევითი საქმიანობის შედეგად მექნებოდა შემოსავალი, თუმცა, როგორც დღეს გაირკვა, საჯარო მოხელისგან განსხვავებით, მინისტრს ამის უფლებაც არა აქვს. ჩემთვის ეს ძალიან დიდი პრობლემაა და ამიტომ ეს საკითხი უნდა შევათანხმო და გავარკვიო იურისტებთან. ეს უნდა შეთანხმდეს, რა თქმა უნდა, რადგან დაგეგმილი მქონდა, რომ ჩემი ძირითადი შემოსავალი ჩემი მეცნიერული სამუშაოდან უნდა ყოფილიყო - მე ვგულისხმობ გარკვეულ კვლევებს საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის, ეს იქნება მსოფლიო ბანკი თუ "ღია საზოგადოება - საქართველო". მე ამის საკმაოდ დიდი გამოცდილება მაქვს, მთელი ცხოვრება ამას ვაკეთებდი უცხოეთში ყოფნისას და, სიმართლე გითხრათ, ჩემი სამომავლო შემოსავლის გეგმები სწორედ ამაზე იყო აწყობილი.

- და თუ ეს გეგმები ჩაიშალა?

- ამ ეტაპზე ამაზე ფიქრიც არ მინდა. ერთადერთ გამოსავალს ვხედავ, რომ ვთხოვო ხელისუფლებას, შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს კანონმდებლობაში, რომელთა მიხედვითაც მინისტრს სამეცნიერო მუშაობის და ლექციების წაკითხვის უფლება ექნება.

- ამ სამეცნიერო კვლევების განხორციელების დრო გექნებათ? საუბარია ისეთი მეცნიერული პროდუქტის შექმნაზე, რომელიც მსოფლიო ბაზარზე გაიყიდება?

- მე ამაზე არასამუშაო დღეებში ვიმუშავებ. რა თქმა უნდა, არა მგონია, მინისტრს, მით უმეტეს, ჩვენს ქვეყანაში სერიოზული სამეცნიერო ნაშრომის დაწერის დრო ჰქონდეს, რომელიც გამოქვეყნდება და გაიყიდება. მე მაქვს საუბარი შეკვეთილ კვლევებზე, რომელიც აინტერესებს მსოფლიო ბანკს, საერთაშორისო ფონდს და სხვებს - თემები შეიძლება ეხებოდეს იმ ეკონომიკურ პროცესებს, რომელიც საქართველოში მიმდინარეობს; ან საქართველოს და მეზობელი ქვეყნების ეკონომიკური პროცესების შედარებით ანალიზს და ასე შემდეგ. სხვათა შორის, ეს ნაშრომები, შესაძლოა, თავად საქართველოშიც გამოადგეთ.

- და მაინც, ანალიზაურება დაბალია, ეკონომიკური სიტუაცია - საკმაოდ მძიმე... რამ შეიძლება "თბილ ქვეყნებში" მცხოვრები ქართველი პროფესიონალები საქართველოში დააბრუნოს. რატომ ჩამოხვედით?

- მე ჩემზე ვიტყვი. დღეს ყველა ასე ფიქრობს, რომ საქართველოს ბოლო შანსი მიეცა, საკუთარ თავსაც და ყველას დაუმტკიცოს, რომ რაღაცის გაკეთება შეგვიძლია. თუ ასეთ დროს არ ჩამოხვედი, როდის უნდა ჩამოხვიდე? არ ვაპირებდი მთელი ცხოვრება უცხოეთში ცხოვრებას. ახლა ნამდვილად საუკეთესო დროა საქართველოში დასაბრუნებლად.

რაც შეეხება, ზოგადად, პროფესიონალებს - უნდა ითქვას, რომ ბევრი ქართველი უცხოეთში მოღვაწეობით უფრო ბევრს უკეთებს საქართველოს. ერთი რამეც უნდა ვიცოდეთ - ხელისუფლება, საერთოდ, სახელმწიფო აპარატი - ეს არ არის ეფექტურად მომუშავე ორგანიზაცია იმიტომ, რომ იგი ქვეყნის მართვის პრინციპებზეა დამყარებული და არა თავისუფალი კონკურენციის საფრთხეზე, როგორც კერძო ბაზარი. არ არის აუცილებელი, რომ უცხოეთიდან პროფესიონალები მაინცდამაინც სახელმწიფო სექტორში სამუშაოდ ჩამოვიდნენ. თუ ტალანტის და პროფესიონალების სამთავრობო სექტორში დენა მოხდა, მაშინ სიმდიდრე ვინ უნდა შექმნას?

- ამ დღეებში თქვენ ბრძანეთ, რომ სამინისტროში გჭირდებათ ბიუროკრატები და არა პროფესიონალები. სხვათა შორის, ეს განცხადება საკმაოდ არაერთგვაროვნად იქნა აღქმული.

- ბიუროკრატი არის საკმაოდ დადებითი ცნება, მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვა დადებითად არ აღიქმება. ნამდვილი ბიუროკრატი არ ნიშნავს მექრთამეს, არ ნიშნავს ბანდიტს. ბიუროკრატი არის არამომგებიან სფეროში მომუშავე ადამიანი. საქართველოს მმართველობას უნდა ახორციელებდნენ ბიუროკრატები, ადამიანები მიდიან და მოდიან, სისტემა უნდა დარჩეს.

პროფესიონალი ეკონომისტის მთავარი საქმიანობა არის კვლევა და სწავლება. პროფესიონალმა ეკონომისტმა უნდა შეძლოს, მთავრობას გაუწიოს კონსულტაცია, რომ მთავრობამ განსაზღვროს ეკონომიკური პოლიტიკა. ვფიქრობ, საქართველოსთვის გაცილებით მეტი გაკეთდება იმით, რომ უნივერსიტეტში პროფესიონალი ეკონომისტი ასწავლიდეს და კარგი ანალიზაურება ჰქონდეს, აკეთებდეს კვლევას და მზად იყოს, დაეხმაროს სახელმწიფოს ანალიტიკური ნიჭით, ვიდრე იგი მუშაობდეს სამთავრობო სტრუქტურაში და იქიდან მართავდეს ეკონომიკას.

ეკონომიკის მართვა, საერთოდ, ძალიან ძნელია. ეკონომიკაში შენ, უბრალოდ, ქმნი ეკონომიკური განვითარების პირობებს და ამ პირობებზე დაყრდნობით ხალხი თავად ვითარდება, თავისუფალი ბაზარი ვითარდება.

მე არ ვამბობ, რომ პროფესიონალები საერთოდ არ უნდა იყვნენ სახელმწიფო სამსახურში, მაგრამ ჩვენთან იმდენი მრჩეველია, იმდენი პროფესიონალია, რომელიც დაკავებულია ბიუროკრატიული საქმიანობით, იმდენი ადამიანის ნიჭი აკლდება ბიზნესს, რომ ეს ნამდვილად ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს.

- დღემდე საქართველოში ბიზნეს-წარმატება ნაკლებად გახლდათ დაკავშირებული ნიჭიერებასთან და პროფესიონალიზმთან. საქმის ასაწყობად სხვა ფაქტორები უფრო გადამწყვეტი იყო. რა უნდა გააკეთოს, კონკრეტულად, ეკონომიკის სამინისტრომ, რომ პროფესიონალებს მიეცეთ საკუთარი ნიჭის კერძო ბიზნესში დახარჯვის საშუალება?

- ჩვენ უნდა შევქმნათ თავისუფალი კონკურენტული გარემო და ამის შემდეგ გამოჩნდება, რამდენად საკმარისია საქართველოში მოღვაწე ადამიანების პროფესიონალიზმი წარმატების მისაღწევად, რამდენად მომზადებულნი არიან ისინი იმ სფეროში, რომელშიც მოუწევთ მოღვაწეობა. მე ყოველთვის ვარ და ვიქნები თავისუფალი ბაზრის და კონკურენციის მომხრე. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს კონკურენცია არ ხდება მარტო საქართველოს შიგნით. ჩვენ ვართ ერი, ჩვენ საერთაშორისო საზოგადოების წევრი ვართ და ამიტომ, ჩვენ მარტო ერთმანეთს კი არ უნდა ვაჯობოთ, უნდა ვაჯობოთ სხვებსაც.

- დღევანდელი ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი თავისი განწყობით მემარცხენე მისწრაფებისაა. ხომ არ ფიქრობთ, რომ საზოგადოება დღევანდელი ხელისუფლებისგან მოითხოვს არა კონკურენტულ გარემოს, არამედ - ხელფასს, პენსიას, კარგ ცხოვრებას... და თუ ეს ყველაფერი ვერ მიიღო, არ დააცდის ხელისუფლებას რადიკალური და სოციალურად მტკივნეული ცვლილებების განხორციელებას.

- მე ამ ეტაპზე საქართველოში ე.წ. შოკური თერაპიის განხორციელების მომხრე არა ვარ. მიმაჩნია, რომ ეკონომიკის განვითარება უნდა მოხდეს სტაბილურად. მაგრამ არის გარკვეული მომენტები, რომლებიც ეხება კორუფციას, ეხება მაკონტროლებელ ორგანოებს, რომლებიც ქვეყნის განვითარებას აფერხებენ. ამის აღმოფხვრა სწორედ რომ იმ ინერციით, რომელიც დღეს ჩვენ გვაქვს, სასწრაფოდ უნდა მოხდეს.

- დავუბრუნოთ საქართველო ხალხს - როგორ წარმოგიდგენიათ ეს პროცესი? როგორ უნდა მოხდეს უკანონოდ პრივატიზებული ქონების დაბრუნება სახელმწიფოსთვის? არის თუ არა საჭირო დღეს რევიზია?

- ეს ისეთი საკითხია, რომელიც სხვადასხვა უწყებასთან ერთად უნდა გადაწყდეს. ქონების დაბრუნება ეკონომიკის სამინისტროს გადასაწყვეტი არ არის.

- გასაგებია, მაგრამ როგორია თქვენი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით?

- მე ვთვლი, რომ საქართველოში წლების განმავლობაში მოხდა სერიოზული ძარცვა. შეძლებისდაგვარად, ყველაზე დიდი ფაქტები ჩვენ უნდა აღმოვაჩინოთ და, მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივი ნორმების გამოყენებით, მათ დაბრუნებას შევეცადოთ. ვნახოთ, რა გამოგვივა, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ მთავრობას კერძო ქონების ჩამორთმევის უფლება არ აქვს. ჩვენ ვცხოვრობთ დემოკრატიულ სახელმწიფოში და ეს არის სასამართლოს პრეროგატივა. მე შეიძლება ხვალ ვნახო, რომ ვიღაცამ აბსოლუტურად უკანონოდ შეისყიდა ქონება, მაგრამ მე ვერ მივალ და მას ამ ქონებას ვერ ჩამოვართმევ. მე შემიძლია ვუჩივლო მას სასამართლოში და მივცე საშუალება, რომ თავისი სიმართლე ამტკიცოს. ამიტომ ასე, ერთი ხელის მოსმით, საკითხის მოგვარება შეუძლებელია. ეს საკითხი საქართველოში რაღაც პერიოდია, დგას და, ალბათ, კიდევ იდგება დღის წესრიგში, თუმცა, ვფიქრობ, რომ ჩვენ მომავალს უნდა ვუყუროთ და წარსულზე ვიფიქროთ მხოლოდ იმ ფარგლებში, რის საშუალებასაც კანონი მოგვცემს.

- სასამართლოს იმედი გაქვთ?

- მე, სხვათა შორის, ერთხელ უკვე ვთქვი, რომ, იქნებ, ეკონომიკური და ბიზნეს-საკითხების გარჩევა ჩაებაროს მოსამართლეებს, რომელთაც ეს საკითხები ესმით. ესმით, ბიზნესი როგორ მუშაობს.

- კანონების ცოდნა არ არის ამისთვის საკმარისი?

- მხოლოდ კანონების ცოდნა არ არის საკმარისი - სწორედ ამის თქმა მინდა. სხვათა შორის, უცხოეთში არიან ადამიანები, მათ შორის - ქართველებიც, ვისაც ამ ტიპის განათლება აქვთ მიღებული. აი, ამ პროფესიონალების მოზიდვა საქართველოში მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა, რადგან მათ ქვეყნისთვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ.

- სხვათა შორის, საქართველოში საკმაოდ სკეპტიკურად უდგებიან უცხოეთიდან ჩამოსულ კადრებს, მიაჩნიათ, რომ ისინი საქართველოში შექმნილ სიტუაციას არ იცნობენ.

- მე, პირადად, მუდმივად არ ვყოფილვარ წასული უცხოეთში - ორი წელი იქ ვიყავი, მერე აქ ვმუშაობდი, მერე ისევ წავედი. როცა უცხოეთში ვიყავი, ყოველთვის ვმუშაობდი საქართველოს განვითარების პრობლემატიკაზე სხვადასხვა სფეროში. ამიტომ, ასე თუ ისე, ვიცნობ საქართველოში შექმნილ სიტუაციას. მე ვიცი, რა ცუდი მდგომარეობაა და ველოდები უარესს. ხოლო თუ რამე უკეთესი დამხვდა, იმას ჩავებღაუჭები, დანარჩენი უნდა გავანადგურო.

- თუ დაგხვდათ სამინისტროში პრობლემა, რომელიც გარედან არ ჩანდა, წინაღობა, რომლის გადალახვაც საკმაოდ ძნელია.

- ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც მე დღეს ვნახე, არის ის, რომ სამინისტროს ძალიან ბევრი ფუნქცია აქვს დაკისრებული. მას რამდენჯერ მოემატა და დააკლდა ფუნქციები. ამიტომ, მათი საბოლოოდ დალაგება და დღევანდელ მთავრობაში სამინისტროს როლის განსაზღვრა ძალიან ძნელია.

- სხვათა შორის, ეკონომიკის სამინისტრო ბოლოდროინდელ საქართველოში არასოდეს არ იყო აღქმული რეფორმისტულ უწყებად. ამ სამინისტროს ყოველთვის უყურებდნენ, როგორც საწარმოების მმართველობითი ფუნქციებით დატვირთულ სამინისტროს, სადაც საკმაოდ დიდი კლანური ინტერესები ტრიალებდა. ამიტომ, საზოგადოება ელის რადიკალურ რეფორმებს. აპირებთ ასეთი რეფორმის გატარებას? თქვენი აზრით, საჭიროა რადიკალური ცვლილებები?

- ეკონომიკის სამინისტროში კორუფციის შესახებ მე არაერთხელ მსმენია. მაგრამ, თვითონ სამინისტროს აპარატზეა საუბარი თუ სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებზე, უნდა დავაზუსტო, როცა მუშაობას შევუდგები. სამინისტროზე მიმაგრებულია რამდენიმე მაკონტროლებელი ორგანო. ამ ორგანოებს დღეს, ძირითადად, ახალი ხელმძღვანელები ჰყავს. ჩვენ მათთან ერთად მოგვიწევს მუშაობა, რომ კორუფცია აღმოვფხვრათ.

ჩემი ერთ-ერთი მთავარი მიზანი, რაც ეკონომიკის სამინისტროში უნდა გავაკეთო, მაკონტროლებელი ორგანოების შემცირება-გაერთიანებაა. კორუფციის აღმოფხვრა მემარჯვენე იდეებით ძნელი იქნება, მაგრამ რაც შეეხება ქვეყნის განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრას, ამას დინჯი მიდგომა სჭირდება. მე, მაგალითად, მიმაჩნია, რომ არ შეიძლება კანონმდებლობა საქართველოში ისეთი სისწრაფით იცვლებოდეს, როგორც დღეს ხდება. ადამიანი როცა გეგმავს ბიზნესს, გეგმავს არა ერთ, არამედ რამდენიმე წელზე გათვლით, თუ მთელ ცხოვრებაზე არა. ამიტომ აუცილებლად შესაქმნელია სტაბილური საკანონმდებლო გარემო.

საბოლოო ჯამში, ეკონომიკის მინისტრის მთავარი მიზანია, რომ საზოგადოება გამდიდრდეს, რაც, თავის მხრივ, იქნება ქვეყანაში სტაბილურობის საფუძველი.

- ეკონომიკის სამინისტროზე საუბრისას, ალბათ, ყველას ახსენდება ხუთწლიანი ინდიკატორული გეგმები, რომელსაც, როგორც სახელისუფლებო კულუარებში ამბობდნენ, არავინ კითხულობდა. აპირებთ თუ არა ასეთი გეგმების შექმნას მომავალში?

- ძალიან ცუდია, თუ ამ გეგმებს არავინ კითხულობდა, რადგან ამას კითხულობენ სავალუტო ფონდში, მსოფლიო ბანკში. ეკონომიკა, გარკვეულწილად, არის მომავლის გეგმა და ამ გეგმების მეშვეობით ჩვენ უნდა დავინახოთ მომავალი.

- რეალური სტატისტიკა პრაქტიკულად რომ, არ არსებობს ქვეყანაში?

- ეს არის უდიდესი პრობლემა. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ძირითადი ფუნქცია არის ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრა, ეს კი ციფრების საფუძველზე ხდება. იმედი მაქვს, რომ ამ სფეროში მოხდება სერიოზული ინვესტიციების შემოსვლა უცხოეთიდან, თუ ჩვენ შევძელით დავარწმუნოთ ისინი, რომ ასეთი დახმარება აუცილებელია. აქვე აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ჩვენ საკმაოდ კარგი სტატისტიკოსები, მათემატიკოსები გვყავს და ეს დიდი რესურსია.

- სახელმწიფო საწარმოებზე გკითხავთ - ეს საკითხი უშუალოდ თქვენს სამინისტროს ეხება. სულ ერთ თვის წინ სახელმწიფო მინისტრმა მოახდინა რკინიგზის მმართველობის ახალი მოდელის პრეზენტაცია, რომელიც სხვა საწარმოებზეც უნდა გავრცობილიყო. რკინიგზის მაგალითმა აჩვენა, რომ ამ გამოცდილებამ, ყოველ შემთხვევაში, დირექტორის არჩევამ ტენდერის გზით, არ გაამართლა. საერთოდ, თქვენი აზრით, როგორ უნდა იმართებოდეს სახელმწიფო საწარმოები და უნდა მოხდეს თუ არა, მაგალითად, რკინიგზის, ფოთის პორტის და სხვა მსგავსი საწარმოების პრივატიზება?

- სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა და ამ გზით სახელმწიფო საწარმოების გამჭვირვალობის მიღწევა, ჩემი აზრით, აბსოლუტურად მისაღებია. რაც შეეხება მართვის მოდელებს - ვფიქრობ, რომ ცალკეულ შემთხვევებში მიდგომა შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი. მე ვესაუბრე სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოს ხელმძღვანელს და ჩვენ ამთავითვე გავუგეთ ერთმანეთს. ამ საკითხებზე ერთად ვიმუშავებთ. დღეს, ჯერჯერობით, ვერ გაგცემთ პასუხს კითხვაზე, რომელი საწარმო შეიძლება გაიყიდოს და რომელი - არა. ეს საკითხი შესასწავლია. ამასთან, ჩემთვის მთავარია, როგორ მოხდება პრივატიზაცია. სხვათა შორის, ტენდერი არის კორუფციის უდიდესი წყარო. ხშირად, უცხოეთში კერძო კომპანიებს, თავიანთი ძლიერი ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ხელში ჰყავთ მომწყვდეული. სტრატეგიული ობიექტების პრივატიზება ადვილად არ უნდა მოხდეს, მე ამაზე მაქვს საუბარი - ეს უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც საკითხი განხილული იქნება საჯაროდ, გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა მოდელი.

- თუ იცნობთ დღევანდელი მთავრობის წევრებს და რამდენად შეძლებთ, თქვენი აზრით, გუნდური პრინციპით მუშაობას?

- გუნდური პრინციპით მუშაობის გარეშე არაფერი გამოვა. ჩვენ თუ ახლა ერთმანეთთან დაპირისპირება დავიწყეთ, საქმეს ნამდვილად ვერ გავაკეთებთ. ყველა გადაწყვეტილება ეკონომიკური გუნდის ყველა წევრთან უნდა იყოს შეთანხმებული.

- საზოგადოება დღეს სწრაფ შედეგს ელის. მოლოდინი ძალიან დიდია, მხარდაჭერა - 97 პროცენტი, ანუ დღევანდელ ხელისუფლებას კარტ-ბლანში აქვს მიცემული. ასეთი მხარდაჭერისა და სახელისუფლებო ნების არსებობის პირობებში, რამდენ ხანში შეიძლება კონკრეტული შედეგების მიღწევა?

- მე შემიძლია გითხრათ, რომ კორუფციასთან მიმართებაში რადიკალური რეფორმების განხორციელება აუცილებელია მოკლე ვადაში, სანამ ჩვენ ჯერ კიდევ ასეთი ენთუზიაზმი გვაქვს - მე ერთ-ორ თვეზე ვსაუბრობ.

- როდის იქნება მიღწეული ეფექტი?

- ეფექტი სახეზე იქნება, თუ ჩვენ შევძლებთ კორუფციის აღმოფხვრას საწყის ეტაპზე...

- ორ თვეში?

- კორუფციას მთლიანად ვერ დაამარცხებ, მაგრამ თუ მაკონტროლებელ ორგანოებს შეამცირებ, თუ რამდენიმე ადამიანს დასჯი იმისთვის, რომ მან დაარღვია კანონი, დარწმუნებული ვარ, შედეგი სახეზე იქნება. ეს შედეგი არ იქნება ისეთი, რომ ამით დამთავრდება ყველაფერი. ეს იქნება კარგი დასაწყისი. ამასთან ერთად, ჩვენ მუდმივად ჩვენს მომავალზე უნდა ვიფიქროთ. მიუხედავად იმისა, რომ შექმნილი სიტუაციის სიმძიმეს ვაცნობიერებ, მიმაჩნია - ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობით, სწორი პოლიტიკის გატარების პირობებში, ბევრის მიღწევა შეიძლება.

ᲐᲤᲘᲨᲐ

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული
აკა მორჩილაძე "ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები"
რეჟისორი: დავით ანდღულაძე.
დას: 18:00 სთ

თავისუფალი თეატრი
"პროვოკაცია 2"
დას: 19:00 სთ.

ᲙᲘᲜᲝ

რუსთაველი
"ნემოს ძიებაში" (ქართულ ენაზე)
დას: 12:00; 16:00; 18:00 სთ.

ამირანი
"ფრედი ჯეისონის წინააღმდეგ"
დას: 13:00; 20:00; 22:00 სთ.

"რეალური სიყვარული"
დას: 15:00; 17:00 სთ.
ფასი: 5-8 ლარი

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

შარდენი
სამხატვრო აკადემიის სტუდენტების ნამუშევართა გამოფენა

"ქარვასლა"
გეგა ქუთათელაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
III სართული

თანამედროვე ხელოვნების გალერეა
საახალწლო საშობაო გამოფენა "50 ახალგაზრდა მხატვრის საახალწლო სიუპრიზი"

ჰობი
თენგიზ მირზაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა "ფიროსმანის მოტივები" II დარბაზი

"საშობაო გამოფენა" I დარბაზი

ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲢᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲦᲘᲐ ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲘᲐ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲡᲝᲑᲐᲓ ᲥᲪᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲛᲔᲑᲘ

ᲕᲔᲠᲐ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ძალიან ძნელია დაწერო ისეთ ფოტოებზე, რომელიც ისედაც ამბობს თავის სათქმელს. ეს ყველაფერი კი მაშინ უფრო რთულია, როდესაც ფოტოები შესანიშნავი პოეზიის თანხლებით, აბსოლუტურად მეტყველია. საუბარია ნათელა გრიგალაშვილისა და ოთარ ჭილაძის შემოქმედებათა თანხვედრაზე. ერთ ლექსსა და თორმეტ კადრში ჩატეულია მთელი ცხოვრება. და ამის შემდეგ, უბრალოდ, გასაკვირია, რატომ აღნიშნავენ ხოლმე, რომ ნათელა გრიგალაშვილის ფოტოები მძიმეა?

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲮᲐᲠᲘᲢᲝᲜᲘᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ნათელა გრიგალაშვილი პრეზენტაციაზე

საბედნიეროდ, გამოსავალი მაქვს – ახლა მე შემიძლია ვისაუბრო მხოლოდ გუშინდელ პრეზენტაციაზე, რომელიც გამსახურდიას გამზირზე "წიგნის სახლში" გაიმართა. პრეზენტაციის დიასახლისი "დილის გაზეთის" რედაქტორი მანანა კარტოზია იყო. სხვათა შორის, უკანასკნელ ხანებში, ამ ქალბატონმა უკვე მეორე კარგი ღონისძიება მოაწყო – ორივე წიგნის სახლში. თუმცა, ამ ღონისძიებათა სიკარგე, პირველ რიგში, თავად მათი მთავარი გმირების დამსახურებაა. წინა ჯერზე ეს იყო ერლომ ახვლედიანის წიგნად აკინძული, "დილის გაზეთში" გამოქვეყნებული წერილების პრეზენტაცია. ამჯერად იგივე სივრცეში იმ საზოგადოების მცირე ნაწილი შეიკრიბა, ვინც გულგრილი ვერ არის ნათელა გრიგალაშვილის შემოქმედებისადმი. ასეთთა რიცხვი კი, დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრია. უბრალოდ, ვერ წარმომიდგენია, ვინმემ, ვისაც მეტ-ნაკლებად მაინც აღელვებს ფოტოგრაფია, შეიძლება დაათვალიეროს ნათელას ფოტოები და არ აღელდეს.

მე პირდად ფოტოგრაფი ნათელა გრიგალაშვილი ჟურნალ "სტუდიაში" მარინა ვაშაყმაძის პუბლიკაციითა და იქვე დაბეჭდილი რამდენიმე ფოტოთი აღმოვაჩინე. როგორც მოგვიანებით გავარკვიე, მარინა ვაშაყმაძე ყოფილა ნათელას შესახებ დაწერილი პირველი სტატიის ავტორი. ეს სტატია ადრე ჟურნალ "კალთაში" დაბეჭდილა. ძალიან კარგად მახსოვს "სტუდიაში" ნანახი იმ ფოტოებისგან მიღებული შთაბეჭდილება, რომელიც ნათელას "სოფლის ცხოვრების" (პირობითად ასე შეიძლება ეწოდოს ფოტოსერიას) ყოველი ნახვისას მიჩნდება: ეს ყველაფერი ხომ მინახავს? ზუსტად ასეთი დედაკაცი; ზუსტად ასეთი ბავშვები, ბუნება და საერთოდ, ყველაფერი, რაც მის კადრშია ჩატეული. დარწმუნებული ვარ, ყველა ადამიანს იგივე განცდა ეუფლება, რამდენადაც ისიც ამ ქვეყნის ცოცხალი შვილია. მოგვიანებით, თავად ავტორი, ნათელა გრიგალაშვილიც გავიცანი (ერთად ვმუშაობდით ერთ-ერთ გაზეთში) და მხოლოდ მაშინ მივხვდი, რატომაა ნათელას გადაღებული ფოტოები ასეთი. და აქვე, კიდევ ერთი დეტალი ამ ფოტოგრაფის პორტრეტისთვის: გუშინ ყველაზე უხერხულად წიგნის სახლში სწორედ ნათელა გრიგალაშვილი იჯდა და "შურდა" იმ კოლეგების, რომლებიც სამუშაოდ იყვნენ პრეზენტაციაზე მისულნი.

გუშინ წიგნის სახლში ძირითადად, ფოტოგრაფები და ლიტერატორები იყვნენ. ყველა მათგანი, მათთვის ძალიან კარგად ნაცნობი ნათელა გრიგალაშვილისა და ოთარ ჭილაძის შემოქმედების ახალ ფორმატში გადატანამ დააინტერესა. მანანა კარტოზიას იდეით, ჭილაძის 1976 წლის ლექსით – "ვშორდებით" გაფორმდა ნათელა გრიგალაშვილის ფოტოებით აკინძული ღია ბარათები "პა-სეანსი". "ყველაფერი დაიწყო იქედინ, რაც ამ კედლებზეა გამოფენილი. იმის შემდეგ, ნელ-ნელა მოქმედი პირები გაუჩნდა ამ ყველაფერს, რაც უკვე აკინძულია ღია ბარათების სახით. მეორე მოქმედი პირი მე ვარ - მოვინდომე ნათელასა და ოთარ ჭილაძის ერთად წარმოდგენა; მესამე პირია ნინო სანადირაძე – რომელმაც რაღაც ჩარჩო მოუძებნა და გამოვიდა ასეთი სასაჩუქრო რამ. ჩვენ არ ვიცით, ამის ანალოგია თუ არსებობს. ჩვენ ეს მექანიკურად, არსაიდან არ გადმოგვიტანია. ერთად დავარქვათ სახელი, რა არის ეს ყველაფერი", - თქვა იდეის ავტორმა მანანა კარტოზიამ. წიგნის სახლში შეკრებილი საზოგადოებიდან არავის უცდია, ღია ბარათებისთვის სხვა სახელი შეერჩია. უბრალოდ, მაშინვე დავეთანხმე ლევან ღვინჯილიას, რომელმაც გვითხრა: "მე ვერ გავიმეტებდი, ვინმესთვის გამეგზავნა, როგორც ღია ბარათი. ის მეტია, ვიდრე ღია ბარათი. მაგრამ, არის ისეთი ეპიზოდებიც, რომელიც გარკვეულ განწყობას აღძრავს და თუკი ადრესატი იმ განწყობას, რომელიც ფოტოზეა გამოსახული, მიმიხვდება, მაშინ მე დიდი სიამოვნებით გავუგზავნიდი მათ. თვითონ ფორმა ჩემთვის ცოტა უჩვეულოა, მაგრამ მისაღები". შედარებით, როგორც სჩვევიათ, სიტყვებს ერიდებოდნენ ნათელა გრიგალაშვილის კოლეგები. მაგრამ, მათი იქ ყოფნა უკვე ამბობდა მათ სათქმელს. კოლეგათა ჩვეულება ისევ გურამ წიბახაშვილმა დაარღვია და ძალიან მოკლედ ნათელას შესახებ თქვა: "ნათელა განსაკუთრებული ფოტოგრაფია საქართველოში. დანარჩენები, ჩემი ჩათვლით, სხვანაირები ვართ"...

"ᲥᲣᲘᲜᲘ" - "ᲒᲠᲔᲛᲘᲡ" ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ

"გრემის", ამერიკის ხმისჩამწერი აკადემიის დიდების დარბაზი, რომელიც 1973 წელს დაარსდა, ამ დღეებში 33 კლასიკური სიმღერითა და ალბომით შეივსება. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ოცდაათი წლის განმავლობაში დარბაზში 639 დასახელების ჩანაწერი დაბინავდა, მაშინ ახლანდელი შენაძენი დარბაზისთვის საკმაოდ მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ.

სხვა "კლასიკურთან" ერთად, წელს ამ კატეგორიას შეემატა: Bohemian Rhapsody, რომელიც ჯგუფმა "ქუინმა" 1976 წელს ჩაწერა; ასევე მერვინ გეის 1973 წლის ალბომი Let's Get It On და საიმონისა და გარფანკელის შესრულებული სიმღერა Sounds of Silence.

"ყველაზე ახალი ჩანაწერები 90-იან წლებს მოიცავს და სხვადასხვა ჟანრს წარმოადგენს – კლასიკიდან ბლუზის ჩათვლით, გვაქვს ჯაზიცა და როკ-ენ-როლიც, - ამბობს აკადემიის პრეზიდენტი ნილ პორტნოვი, - ყველა მათგანი ჩვენი კულტურის ყველაზე ნათელი ნიმუშია და გარკვევით გამოხატავს იმ ეპოქის განწყობას, როდესაც ისინი შეიქმნა".

დარბაზის დანარჩენ შენაძენს შორის ვხვდებით: ბი ბი კინგს, "ბითლზს", ჯონი ქეშს, მაილს დევისს, "ლედ ზეპელინსა" და ფრენკ სინატრას.

Pixies ᲛᲐᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲓᲔᲑᲐ

ჯგუფი Pixies-ის წევრებმა ოფიციალურად დაადასტურეს შარშან ჭორის დონეზე გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც თითქმის წელიწადნახევარი მოსვენებას არ აძლევდა ლეგენდარული კოლექტივის თაყვანისმცემლებს – ჯგუფი გაერთიანდება ფესტივალ "კოუჩელაზე" გამოსასვლელად. მათთან ერთად კი ფესტივალში მონაწილეობას მიღებენ: თანამედროვეობის ყველაზე თვალსაჩინო კოლექტივი "რეიდიოჰედი" და გერმანული ელექტრონული როკის პიონერი "კრავტვერკი".

თუკი მანამდე არაფერი დაიგეგმა, მაშინ პირველი მაისის ფესტივალზე Pixies-ის პირველი საკონცერტო გამოსვლა იქნება უკანასკნელი თერთმეტი წლის განმავლობაში. ჯერჯერობით უცნობია, ჯგუფის ორიგინალური შემადგენლობის ოთხივე წევრი თანახმაა გაერთიანებაზე, თუ არა. თუმცა, როგორც ჩანს, საქმე უკეთესადაა, რადგანაც ჯერ კიდევ ერთ თვის წინათ მენეჯერი კენ ჰოუზი უარს ამბობდა ამ ინფორმაციის კომენტარზე.

კოუჩელას ხეობის მუსიკის და ხელოვნების ფესტივალი მისი ორგანიზატორების თქმით, ბრიტანული "გლასტონბერის" მსგავსი ღონისძიებაა, რომელიც კალიფორნიაში იმართება. შარშან ამ ფესტივალზე გამოვიდნენ ისეთი სუპერ-ჯგუფები და ვარსკვლავები, როგორებიც არიან: "ბისტი ბოისი", "რედ ჰოთ ჩილი პეპერსი", "ვაით სტრაიპსი" და იგი პოპი თავის ჯგუფთან, "სტუჯისთან" ერთად.

ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲖᲔ

ᲛᲘᲰᲔᲘᲚ ᲥᲕᲚᲘᲕᲘᲫᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

ᲐᲜᲐ ᲙᲝᲠᲫᲐᲘᲐ-ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

კოსტავას ქუჩაზე სულ ცოტა ხნის წინათ გახსნილი და უკვე ერთობ პოპულარული "ლიტერატურული კაფე" გუშინ პოეტ მიხეილ ქვლივიძეს მასპინძლობდა.

გამომცემლობა "თობალისის" მიერ დაბეჭდილი პატარა კრებული ცნობილი პოეტის მიერ სხვადასხვა წლებში დაწერილ ლექსებს შეიცავს. მიხეილ ქვლივიძის "ლექსები სამშობლოზე" ანუ პატრიოტული ლირიკა, როგორც ჩანს, ისედაც საკმაოდ პოპულარულია, ყოველ შემთხვევაში, ბატონ მიხეილს მსმენელი მრავლად ჰყავდა, მათ შორის უფროსი თაობის წარმომადგენლებიც იყვნენ და მათთვის უჩვეულოდ გამოწყობილი თინეიჯერებიც.

მათ, ვინც წინასწარ დაიჭირეს თადარიგი და მაგიდებთან ჩამოსხდნენ, ძალიან გაუმართლათ – პოეტსაც ხედავდნენ და მისი საინტერესო ნაამბობიც ესმოდათ. აი, კიბეზე მსხდომები კი ზემოთ, წიგნის მაღაზიაში ამავალმა სტუმრებმა ალბათ ძალიან შეაწუხეს.

კრებულის სახელწოდებაა "სხვა საქართველო სად არი? (- შენ, ეი, "ხმელეთ-ზურმუხტო", გამოიხედე აქეთ!). უნდა ვაღიარო, რომ "ხმელეთ-ზურმუხტის" მიმართ ასეთმა ფამილარულმა დამოკიდებულებამ თავიდან ცოტა შეგაკრთო, მაგრამ, მეორეს მხრივ, ერთი ჩემი საყვარელი პოეტი ზეცას შესძახოდა, თქვენ, ეიო, და საერთოდ, თუ სამშობლო მართლა დედაა, დედას თქვენობით ხომ არავინ მიმართავს.

ᲑᲘᲢᲚᲘᲡᲚᲐᲕ ᲑᲣᲠᲩᲣᲚᲐᲫᲔᲡ ᲤᲝᲢᲝ

მიხეილ ქვლივიძე "ლიტერატურული კაფეს" სტუმარი

"ჩემთვის, ვინც 35 წელი რუსეთის ემიგრაციაში გავატარე," წერს მიხეილ ქვლივიძე კრებულის წინასიტყვაობაში, "სამშობლო" ყოველთვის მონატრებული განცდა იყო, ერთგვარი "ნოსტალგიური შოუ", რომელშიც ვმონაწილეობდი და, მგონი, ახლაც ვმონაწილეობ. ამის დასტურია სხვადასხვა დროს დაწერილი ეს ლექსებიც..." დასანანია, რომ კრებულში ამ ლექსების შექმნის თარიღები მეტწილად მითითებული არაა – ვფიქრობ, საინტერესო დეტალი იქნებოდა.

ავტორი მკითხველს მიანდობს იმის განსჯას, რამდენად შეესაბამება მისი ნაწერი ქართული პატრიოტული ლირიკის კლასიკურ ტრადიციას. ის კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ "ლიტერატურულ კაფეში" გამართული შეხვედრების ტრადიცია გუშინდელმა შეკრებამ საუკეთესოდ გააგრძელა – ძალიან სასიამოვნო საღამო იყო.

500 ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ

ყველა დროის საუკეთესო ალბომები საკმაოდ ძველი ყოფილა, "ბითლზი" ლამის ყველაზე ნორჩი აღმოჩნდა. ლეგენდარული ოთხეული მუსიკალური ჟურნალის, "როლინგ სტოუნის" მიერ შედგენილი "ყველა დროის 500 საუკეთესო ალბომის" ნუსხის პირველ ათეულშივე ოთხგზისაა დასახელებული. ეს პატივი ბობ დილანს ორგზის ხვდა წილად, "ბიჩ ბოისი", მერვინ გეი და "ქლეში" კი თითოჯერ არიან მოხსენებული.

"ნირვანას" 1991 წელს ჩაწერილი ალბომი პირველ ასეულში ერთადერთია, რომელიც 90-იან წლებში შეიქმნა. ის მე-17 ადგილზეა გასული. საერთოდ, სიის კითხვა გარდასულ დროთა მოგონებებს აღძრავს.

როკ-ენ-როლის მეფე, ელვის პრესლი, მეთერთმეტე ადგილს დასჯერდა, ხოლო ჯიმი ჰენდრიქსი, რომელსაც თავად "როლინგ სთოუნმა" გასულ წელს ყველა დროის საუკეთესო გიტარისტის წოდება მიანიჭა, მე-15 ადგილზე აღმოჩნდა.

პირველ ასეულში ვერ მოხვდნენ ერიკ კლეპტონი, "ქუინი", "ჯენესისი", "აბბა" – ევროპული პრესა ამას ჟურნალის ამერიკულობას აბრალებს. "პინკ ფლოიდი", რომელიც 70-80-ანი წლების საკულტო ჯგუფი იყო, 43-ე ადგილზე აღმოჩნდა (Dark Side Of The Moon).

თუკი ამ სიას გასული წლის მაისში გერმანულ ჟურნალ "ფოკუსში" გამოქვეყნებულ ნუსხას შევადარებთ, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩება, რომ გამომცემელთა გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონია. თუკი "ფოკუსისთვის" "სექს პისტოლსის" Never Mind the Bollocks გარკვეულ ფასეულობას წარმოადგენდა, აშშ-ს გმირები, ცხადია, The Ramones იყვნენ – მათი ამავე სახელწოდების დებიუტი ინგლისელებზე რვა ადგილით წინ, 41-ე ადგილზე აღმოჩნდა.

ერთი რამ კი ნათელია: "როლინგ სთოუნის" რედაქციამ დიდი გულმოდგინება გამოიჩინა: თუკი გამოცემის ინტერნეტ-ვერსიას იხილავთ, იქ ყოველი, ანუ ხუთასივე ალბომის გარეკანსაც ნახავთ და რეცენზიის წაკითხვასაც შეძლებთ. იქვე გაყიდული ეგზემპლიარების რაოდენობაცაა მითითებული, და ეს ნათელი დასტურია იმისა, რომ სიის შემდგენლებს მხოლოდ კომერციული კრიტერიუმები არ გაუთვალისწინებიათ. ასე, "გამარჯვებული" Sgt. Pepper's-ის ეს მაჩვენებელი 11,7 მილიონი გაყიდული დისკია, მეორე ადგილზე გასული Pet Sounds-ისა კი – მხოლოდ 1,6 მილიონი ცალი. მიუხედავად იმისა, რომ მაიკლ ჯექსონის ბესტსელერი, Thriller, 26 მილიონმა ადამიანმა შეიძინა, 1982 წელს გამოშვებული ეს ალბომი მე-20 ადგილზეა გასული.

პირველ ადგილზე გასული ალბომის გარეკანი

რასაკვირველია, მრავალი მიზეზების, თუნდაც განსხვავებული ჟანრების ერთ სიაში განთავსების გამო, ამგვარი გამოკვლევები ყოველთვის გაცხარებული დისკუსიების საგანი ხდება ხოლმე. მაგრამ 500 ალბომის სია, ნებისმიერ შემთხვევაში, კარგი ორიენტირია მათთვის, ვინც თავიანთ მუსიკიალურ კოლექციას "ისტორიული" თვალსაზრისით ადგენენ.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲠᲝᲘᲡ 500 ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲐᲚᲑᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲗᲔᲣᲚᲘ:

Sgt. Pepper's Lonely Hearts Club Band, "ბითლზი"
Pet Sounds, "ბიჩ ბოის"
Revolver, "ბითლზი"
Highway 61 Revisited, ბობ დილანი
Rubber Soul, "ბითლზი"
What's Going On, მერვინ გეი
Exile on Main Street, "როლინგსტოუნზი"
London Calling, "ქლეში"
Blonde on Blonde, ბობ დილანი
The Beatles (The White Album), "ბითლზი"

პეკინი თანამედროვე არქიტექტურის ევროცენტრი ხდება

ნინო ჭანიშვილი

პეკინი ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება

ძველი საიმპერატორო ქალაქი, 1949 წლიდან კი "გაწითლებული" ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქი პეკინი, 2008 წლისთვის თანამედროვე არქიტექტურის უახლესი ტენდენციებით გაჯერდება. 2008 წლის წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის ახალ გიგანტებს გლობალიზმის ავანგარდისტები ააშენებენ.

ცნობილ შვეიცარულ არქიტექტურულ კომპანიას Herzog & de Meuron-ს უკვე მზად აქვს პროექტი, რომლის მიხედვითაც პეკინში ოლიმპიური სტადიონი აიგება. პეკინის სტადიონი ყველაზე მასშტაბური სპორტული პროექტი იქნება 1972 წელს ლეგენდარული გერმანელი არქიტექტორის გიუნტერ ბენიშის მიერ აშენებული მიუნჰენის ოლიმპიური სტადიონის შემდეგ.

ბიურო, რომელიც Herzog & de Meuron-ის სახელს ატარებს, ორი შვეიცარელი არქიტექტორის ჟაკ ჰერცოგისა და პიერ დე მერონის დაარსებულია. თუმცა, არქიტექტორული თვალსაზრისით, მათ პროექტებზე ერთი ავტორი ითქმის. ორივენი 1950 წელს დაიბადნენ, ერთად გაიზარდნენ ბაზელში და ერთადაც სწავლობდნენ. 2001 წლის არქიტექტურული ნობელის – პრიცკერის ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო, როცა ორ არქიტექტორს ერთად გადასცეს მთავარი პრემია. შვეიცარიელების არქიტექტურული ბიოგრაფია საკმაოდ მდიდარია, მათი ბოლო დროინდელი პროექტებია "ტეიტ მოდერნის" მუზეუმი და ლაბანის საცეკვაო ცენტრი ლონდონში, "პრადას" ცენტრი მაღაზიებითა და ოფისებით ტოკიოში. ჰერცოგისა და დე მერონის თავშეკავებული არქიტიტექტურა - პირველ რიგში, უმაღლესი ხარისხი და ტექნოლოგია არის, ისევე როგორც Pathek Philip-ის საათების მექანიზმი. ჰერცოგისა და მერონის ნაგებობებში იუველირის სიზუსტით მუშავდება ყოველი არქიტექტურული დეტალი. ერთი არქიტექტურის კრიტიკოსის თქმით, მათი შენობები, შორიდან თუ შეხედავ, ჩვეულებრივია, "ახლოდან თვალიერებისას კი გონებისთვის მიუწვდომელია". მაგრამ ამჯერად სტადიონი, რომელსაც Herzog & de Meuron პეკინში ააგებს, შორ მანძილზეც "გონებისთვის მიუწვდომელი" იქნება. პეკინის სტადიონის აგება Herzog & de Meuron-სთვის ყველაზე გრანდიოზული პროექტია, რაც ოდესმე განუხორციელებია კომპანიას.

სტადიონის სუპერთანამედროვე ნაგებობა უჩვეულო დიზაინითა და უახლესი ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებით, 100 ათას ადამიანს დაიტევს. სტადიონის მოყვანილობა ჩიტის ბუდეს ჰგავს. სტადიონის მასიური კონსტრუქცია სახურავის ჩათვლით წნულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ურთულეს კონსტრუქციაში არცერთი ვერტიკალური ბოძი არ არის გამოყენებული. ჟაკ ჰერცოგს იმედი აქვს, რომ სტადიონი თანამედროვე ჩინეთის სახედ იქცევა.

პეკინში მსოფლიო არქიტიტექტურის კიდევ ერთი კაშკაშა ვასკვლავი, ბრიტანელი სერ ნორმან ფოსტერი გაიბრწყინებს. ფოსტერი, ცნობილი როგორც მინის მომუმენტური და ტექნოგენური სამყაროების ავტორი, ჩინეთის დედაქალაქში აეროპორტს ააშენებს. პეკინის აეროპორტი კერძო კომპანიას წარმოადგენს, თუმცა მიუხედავად ამისა სახელმწიფომ 1,93 მილიარდი დოლარი გამოჰყო ახალი ტერმინალის ასაშენებლად. გამოცხადებულ ტენდერში კომპანიამ Foster and Partners-მა გასული წლის სექტემბერში გაიმარჯვა. ახალი აეროპორტის გიგანტური ნაგებობა მფრინავ არსებას წააგავს და ამასთან ნორმან ფოსტერის ახალ პროექტში ტრადიციული ჩინური არქიტექტურის ელემენტებიცაა ჩართული. კომპანიის ვებ-გვერდზე ნათქვამია, რომ პეკინის ახალი ტერმინალი სუპერკომფორტისა და ფუნქციონალიზმის თვალსაზრისით, 21-ე საუკუნის აეროპორტის ნიმუშად იქცევა. Foster and Partners პეკინის ახალი აეროპორტის მშენებლობას ბრიტანულ სამშენებლო კომპანია ARUP-თან ერთად განახორციელებს. სწორედ მათი ერთობლივი თანამშრომლობით აიგო 1997 წელს ჰონ კონგის აეროპორტი.

კიდევ ერთი გლობალისტი არქიტექტორი, ჰოლანდიელი რემ კოლხასი, რომელსაც შეუძლია რეალობა ვირტუალურ სამყაროდ აქციოს, პეკინში სახელმწიფო ტელერადიოკომპანიისთვის ახალ შენობას ააგებს. ხოლო ფრანგი არქიტექტორი პოლ ანდრე კი ტიანმენის მოედანთან ოპერის ახალ შენობას ააგებს.

ასე, რომ 2008 წლიდან პეკინში მოხვედრილი ადამიანები უძველეს აღმოსავლურ კულტურასთან ერთად თანამედროვე გლობალისტების შედევრებითაც დატკბებიან. ასეთები კი ბევრნი იქნებიან. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პროგნოზით 2010-12 წლებისთვის ჩინეთი ყველაზე პოპულარული ქვეყანა გახდება ტურისტებისთვის.

მათ იცვიან, რა მოსწონთ...

რას გვიამბობენ კერძო კოლექციები

ამ თემით ორიოდე დღის წინ გაზეთი "გარდიანი" დაინტერესდა და მკითხველს ფრიად საინტერესო კვლევა შესთავაზა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ვარსკვლავების ბუნებაზე მსჯელობა მათი კერძო კოლექციების მიხედვით.

მაგალითად, ირკვევა, რომ ჯეკ ნიკოლსონი შოტლანდიელი მხატვრის ჯეკ ვეტრიანოს შემოქმედების დიდი თაყვანისმცემელია. ეს უკანასკნელი კი, ძირითადად, 50-იანი წლების ტანსაცმელში გამოწყობილ წყვილებს ხატავს პლაჟებზე და ტილოებს ყალბი სენტიმენტალიზმითა და ბანალური ეროტიკით ავსებს. რატომ მოსწონს ნიკოლსონს ვეტრიანოს შემოქმედება? ალბათ, იმიტომ, რომ უბრალო ადამიანია და აქვს შეცდომის დაშვების უფლება, მით უფრო, რომ ის იდეალურ როლებს ხშირად ვერც საკუთარი თავისთვის არჩევს, - ვარაუდობს "გარდიანი".

თუმცა, მას, ისევე, როგორც ყველა სხვა ვარსკვლავს, მოჭარბებული ფული აქვს, ეს კი შესანიშნავი მიზეზია იმისთვის, რომ ხელოვნების ნიმუშების კოლექციონერი გახდე. ერთი სიტყვით, "გარდიანი" კითხვას ასე სვამს – რას აგროვებენ ცნობილი ადამიანები და მიგვანიშნებს თუ არა მათი არჩევანი რამეზე. ნახეთ ბრიტანელი ჟურნალისტის ვარაუდები.

ვიქტორია ბექჰემი

ვინ არის? ჩამავალი პოპ-ვარსკვლავი.

რას აგროვებს? ფლობს ცნობილი თანამედროვე მხატვრის დემიენ ჰირტის გულის ფორმის ნახატს, რომელზეც მკვდარი პეპლებია მიკრული. ეს სურათი მას ქორწინების იუბილეზე დევიდმა აჩუქა. ჰირსტი კი უკვე წლებია, ფერად-ფერად პეპლებზე ნადირობს და მათ, როგორც სიყვარულის სიმბოლოს, შემდეგ ტილოების შექმნისთვის იყენებს. "ყველას უყვარს პეპლები", - გვიხნის მხატვარი.

რას ნიშნავს ეს? მიყვარხარ, ვიქტორია.

ელიზაბეტ მეორე

ვინ არის? ბრიტანეთის დედოფალი, ქალი, რომელიც ხშირად არ-თმევს ხელს ცნობილ ადამიანებს.

რას აგროვებს? ისეთი მდიდრული ხელოვნების ნიმუშების კოლექციის მფლობელია, რომ სხვა ვარსკვლავები შურით სკდებიან. მის საცავებში ინახება რემბრანდტის, რაფაელის, მიქელანჯელოს, ლეონარდო და ვინჩის, მანტენიასა და ბრეიგელის შედევრები. თუ მართალია ის ჭორი, რომ დედოფალს ჯეკ ვეტრიანოც ძალიან მოსწონს, მაშინ გამოდის, რომ მას სამეფო კოლექციამ ვერაფერი ასწავლა.

რას ნიშნავს ეს? არაფერსაც არ ნიშნავს – მას ეს ყველაფერი მემკვიდრეობით ერგო, ხალხის სახელით.

ელტონ ჯონი

ვინ არის? პანაშვიდების მომღერალი.

რას აგროვებს? ის მე-20 საუკუნის ფოტოგრაფიის უდიდესი კოლექციის მფლობელია. ელტონ ჯონი ხშირად ტკბება დაიან არბუსის, ანრი კარტიე-ბრესონის, ბერენის ებოტის, მენ რეის, ჰელმუტ ნიუტონისა და ალფრედ შტაიგლიცის შესანიშნავი ფოტოებით, რომლებიც მისი საკუთრებაა. ასევე აგროვებს ვიდეო და ფოტოხელოვან სემ ტეილორ-ვუდს და მატისისა და პიკასოს ნამუშევრებსაც.

რას ნიშნავს ეს? როგორც თავად კოლექციონერი ამბობს: "ხელოვნების ნიმუშები ჩემი მეგობრები არიან".

ბილ გეიტსი

ვინ არის? უგემოვნოდ ჩაცმული მილიარდერი.

რას აგროვებს? 1994 წელს ლეონარდო და ვინჩის "ლეისტერის კოდექსი" 30.8 მილიონ დოლარად იყიდა. 1998 წელს კი – უინსლოუ ჰომერის Lost on the Grand Banks – 36 მილიონ დოლარად. "ლეისტერის კოდექსს" მანამდე ინგლისელი არისტოკრატები და ამერიკელი მილიონერი არმანდ ჰამერი ფლობდა. ის ლეონარდოს ჩანაწერების მნიშვნელოვანი რვეულია და შეიცავს დაკვირვებებს მზეზე, მთვარესა და დედამიწაზე.

რას ნიშნავს ეს? მეც, რენესანსის ადამიანი ვარ.

სტივენ სპილბერგი

ვინ არის? რეჟისორი და კაცი, რომელიც ბავშვებს ართობს.

რას აგროვებს? ნორმან როკველს – მხატვარს ამერიკის ერთი პროვინციული ქალაქიდან. მისი ნამუშევრები ძალიან სენტიმენტალურია. სპილბერგი კი მისი მუზეუმის (სტოკბრიჯი, მასაჩუსეტსის შტატი) ახალი შენობის ყველაზე დიდი დონორია. მან როკველის ფონდს 4.3 მილიონი დოლარი შესწირა.

რას ნიშნავს ეს? სპილბერგი თავისი შედევრით "ყბებით" როკველის პროვინციულ ამერიკას ემუქრება, უკვე სხვა ფილმში – Close Encounters-ში კი რიჩარდ დრეიფუსი სწორედ ამ გარეუბნებისა და პატარა ქალაქების ცხოვრებას გაურბის და უცხოპლანეტელებს მიჰყვება. როგორც ჩანს, სპილბერგს რაღაც მართლაც აწუხებს.

სტივ მარტინი

ვინ არის? ველური და გიჟი კაცი.

რას აგროვებს? ძალიან სერიოზული და ამბიციური კოლექციონერია (ის ასევე გახლავთ პიესის Picasso at the Lapin Agile ავტორი). მარტინის კოლექციაში ინახება ცნობილი ამერიკელი მოდერნისტების ჯორჯია ო'კიფის, ვილემ დე კუნინგის, ფრანც კალინის, როი ლიხტენშტეინის და, რაღა თქმა უნდა, პიკასოს ნახატებს. მან თავისი კოლექცია 2001 წელს ლას ვეგასშიც გამოფინა.

რას ნიშნავს ეს? გულის სიღრმეში სერიოზული კაცია.

ჩარტლონ ჰესტონი

ვინ არის? მსახიობი და იარაღის მოყვარული.

რას აგროვებს? ის დიდხანს აგროვებდა რეალისტი მხატვრის ენდრიუ ვიტის ნახატებს. ის თეთრწვერა, კონსერვატორული ამერიკის მხატვარია, მაგრამ მისი ნახატები სავსეა ძალადობითა და სისასტიკით. მაგალითად, ერთ-ერთ ნახატზე ხეზე ჩამომხრჩვალი ძაღლია ასახული.

რას ნიშნავს ეს? ძალიან ბევრ რამეს.

ათეულები

თანამედროვე როკის საუკეთესო ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით

შემსრულებელი	სიმღერა	ნინა კვირის პოზიცია	შემსრულებელი
"লিংকিন პარკი"	Numb	1	"লিংকিন পার্ক"
"ოფსპრინგი"	Hit That	2	"ოფსპრინგი"
3 Days Grace	I Hate Everything About You	4	3 Days Grace
"ჯეი"	Are You Gonna Be My Girl	3	"ჯეი"
Switchfoot	Meant to Live	5	Switchfoot
"ბლინკ-182"	Feeling This	6	"ბლინკ-182"
Incubus	Megalomaniac	7	Incubus
"აუდიოსლეივ"	I am the Highway	9	"აუდიოსლეივ"
Puddle of Mud	Away From Me	8	Puddle of Mud
Red Hot Chili Peppers	Fortune Faded	10	Red Hot Chili Peppers

კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინო-თეატრების მიხედვით

ფილმი	რეჟისორი	მსახიობი	უიკენდის შემოსავალი $	საერთო შემოსავალი $
ბეჭედების მბრძანებელი: მეფის დაბრუნება	პიტერ ჯექსონი	ელივ გაილერი, ორლანდო ბლუმი, ვიგო მორტენსენი, ენდი ვეთერ, ალან �ლი	14,209,098	312,320,936
დიდი თევზი	ჯონ ოსტერი	ეუან მაკგრეგორი, ალბერტ ფინი, ჯესიკა ლანგი, ჯენი დე ვიტო	13,811,191	23,386,775
დუენინი იაფი	მონ ლეიკი	ს�დ მარტინი, ბონი ჰანტი, ჰილარი დაფი	11,751,349	101,147,842
ცოცი მია	ენტონი მინგელა	ნიკოლ კიდმანი, ჯუდ ლოუ, რენე ზელვეგერი	7,881,729	55,340,445
რაღაც უნდა გასცე	ნენსი მაიერსი	დიანან კიტონი, ჯეკ ნიკოლსონი, ნიკოლას კეიჯი	7,727,359	92,515,314
ჩემი ბავშვის დედა	მერილ დეიმი	ედი გრიფინი	7,548,819	7,548,819
ოცვინუფლების ძაღბანი	ენდი კიდიდი	მენდი მერი	6,081,483	6,081,483
ქეთანი	ჯონ ეკ	ბენ ადლეკეი, უმა თურმანი, ერონ ეკჰარტი	5,146,278	46,443,104
უკანასკნელი სამურაი	ედ ზვიკი	ტომ კრუზი, ბილ კონტი	4,550,419	97,181,327
მონა ლიზას ღიმილი	მაიკ ნიუელი	ჯულია რობერტსი, კირსტენ დანსტი, ჯენიფერ სტაილსი	4,383,072	56,883,304

კვირის ბესტსელერები გაზეთ "დეილი ტელეგრაფის" მიხედვით

წიგნი	ავტორი	გამომცემლობა	ფასი გირვანქა სტერლინგებში	გაყიდული წიგნების რაოდენობა
King of Torts	ჯონ გრიშემი	"ვინტაჟ"	6.99	20,348
Holy Fools	ჯიმი ბარნსი	"ბლეკ სვანი"	6.99	15,435
Spellbound	ჯეინ გრეი	"პინგვინი"	6.99	10,906
საყვარელი ძალები	ჯეინ სიმონდი	"პიკადორი"	7.99	10,893
პირველი ლეგენდის ობიექტიური საიდუმლო	ალექსანდერ მაკქოლ სმიტი	"აბაკუსი"	6.99	9,958
პის ცხოვრება	იან მარტელი	კანონგეიტ ბუქსი	7.99	9,283
ყველაფერი რაც მის სიყვარული	ანიტა შრიერი	"აბაკუსი"	6.99	7,629
დაკარგული სიმაღლე	მაიკლ კონელი	"ორიონი"	6.99	7,268
ლამაზი გოგონების მორალი	ალექსანდერ მაკქოლ სმიტი	"აბაკუსი"	6.99	7,212
ცოცი მია	ჩარლზ ფრეზიერი	"სტეგერი"	7.99	6,990

ფეხბურთი

ვალდანომ "ბარსელონას" დავიდსი დაუწუნა

ხორხე ვალდანო: "დავიდსი "გალაქტიკურ მოთამაშეთა" რიცხვს არ მიეკუთვნება"

მადრიდის "რეალის" სპორტულმა დირექტორმა, ხორხე ვალდანომ გამართა მორიგი პრესკონფერენცია, რომელზეც ჟურნალისტებისთვის საინტერესო უამრავი საკითხი გაახმოვანა. ცხადია, ვალდანომ ვერც მორიგი ტრანსფერის თემას აუარა გვერდი და შეეცადა, პრესის ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა. სამეფო კლუბის ტექნიკურმა დირექტორმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ "რეალის" მომავალი ტრანსფერი ამ ზამთარს არ განხორციელდება და მორიგ ვარსკვლავს კლუბი მომავალ ზაფხულს შეიძენს. ვალდანომ ჟურნალისტებს სთხოვა, ამ თემაზე ყოველგვარი მითქმა-მოთქმა შეწყვიტონ. ესპანური პრესა გამუდმებით ავრცელებს ახალ-ახალ ჭორებს და "რეალის" მომავალი ხმაურიანი ტრანსფერის ობიექტად სხვადასხვა ფეხბურთელს ასახელებს. ვალდანომ განაცხადა, რომ კლუბის მომავალი შენაძენის შესახებ თავადაც არ იცის. "ამ თემაზე ჯერ არ გვიმსჯელია. ვის შევიძენთ ზაფხულში, ჯერ არ ვიცით. ახლა სულ სხვა საქმეებით ვართ დაკავებული. გასულ წლებში ტრანსფერის საკითხებს გაზაფხულზე ვწყვეტდით. რონალდოს შემთხვევაში კი ეს გადაწყვეტილება კიდევ უფრო გვიან მივიღეთ, რადგან არ ვიცოდით, როგორ ფორმაში იყო ის. მსოფლიოს ჩემპიონატმა დაგვანახა, რომ რონალდო ჩინებულ ფორმაში იყო", - ამბობს ვალდანო.

"რეალის" ტექნიკურმა დირექტორმა არაფერი თქვა საკუთარი კლუბის ტრანსფერზე, თუმცა, საკმაოდ დიდი დრო დაუთმო "ბარსელონას" ახალ შენაძენს, ჰოლანდიელ ედგარ დავიდსს. ვალდანოს აზრით, დავიდსი სულაც არ ეკუთვნის "გალაქტიკურ მოთამაშეთა" რიცხვს, იმ მოთამაშეებს, ვინც "რეალის" ინტერესის სფეროში შედიან. ვალდანო თვლის, რომ დავიდსი ფუტკარივით მშრომელია, მაგრამ არა მაღალი კლასის მოთამაშე, "...რონალდინიოსგან განსხვავებით, რომელიც, მართლაც, "გალაქტიკური მოთამაშეა". ბევრს მიაჩნია, რომ დავიდსი ადვილად დაიმკვიდრებს ადგილს "ბარსელონას" შემადგენლობაში. მე კი ვფიქრობ, რომ ის ვერ შეძლებს გარკვეულ პოზიციაზე თამაშს, რადგან ამისთვის ოსტატობა არ ეყოფა".

პრესკონფერენციაზე ვალდანოს უსიამო კითხვებზეც მოუხდა პასუხის გაცემა. უკანასკნელ ხანს ბევრს საუბრობენ იმის თაობაზე, რომ ვალდანო უხეშად ერევა "რეალის" პორტუგალიელი მწვრთნელის, კარლოს კეირუშის კომპეტენციაში. ვალდანომ თავი იმართლა: "ეს სიცრუეა. მე არასოდეს მიმიცია მითითებები კეირუშისთვის და არც მომავალში ვაპირებ ამას. კარგად ვიცი, სად გადის ზღვარი მწვრთნელსა და ტექნიკურ დირექტორს შორის".

ვალდანო იძულებული გახდა, ისიც ეღიარებინა, რომ ბოლო დროს "რეალი", მართლაც, ველარ დგას მოწოდების სიმაღლეზე. სამეფო კლუბის ტექნიკურმა დირექტორმა აღნიშნა, რომ გუნდს სუსტ მეტოქეებთან უფრო უჭირს თამაში, ვიდრე სახელოვან გუნდებთან. საუბარი კი მაინც ოპტიმისტურ ნოტზე დაასრულა: "ბევრ ფეხბურთელს სუსტ მეტოქესთან მატჩში კონცენტრირება უფრო უჭირს. მაგალითისთვის რაულიც გამოდგება. მას სახელოვანი მოწინააღმდეგის კარში უფრო იოლად გააქვს გოლი, ვიდრე დაბალი დონის გუნდების კარში. ასე რომ, "ბაიერნის" წინააღმდეგ მატჩებში ეს პრობლემა ნამდვილად აღარ გვექნება".

ინფორმაცია

ფეხბურთი. ბრაზილიის ნაკრებისა და იტალიური "რომას" ყოფილი მცველი, ამჟამად კი თურქული "ბეშიქთაშის" ფეხბურთელი ზაგო, შესაძლოა, მოსკოვის "სპარტაკში" გადავიდეს. ამის შესახებ თურქული პრესა იუწყება. მიმდინარე სეზონის ბოლოს ზაგოს "ბეშიქთაშთან" კონტრაქტი უმთავრდება და ის შეძლებს, თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდეს ახალ კლუბში. "სპარტაკის" გარდა, ზაგოს გადაბირებით იტალიური "ფიორენტინაც" ყოფილა დაინტერესებული.

▪ ▪ ▪

ფეხბურთი. ლონდონის "ჩელსი" ახლა დორტმუნდის "ბორუსიას" ჩეხი ნახევარმცველის, ტომაშ როსიცკის შეძენით დაინტერესდა. ეს ინფორმაცია თავად ფეხბურთელმაც დაადასტურა. მიუხედავად იმისა, რომ "ბორუსიასთან" როსიცკის კონტრაქტი 2008 წლამდეა ძალაში, ფეხბურთელს კლუბის მიტოვება სურს. დასავლური პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, როსიცკის შეძენა ტურინის "იუვენტუსსაც" სურს. "ბორუსიას" ხელმძღვანელობა ფეხბურთელთან განშორებას არ გეგმავს, თუმცა, აცხადებს, რომ როსიცკის მსურველ კლუბებთან მოლაპარაკებებს გამართავს.

▪ ▪ ▪

ფეხბურთი. ინგლისის ნაკრების შვედმა მწვრთნელმა, სვენ-გორან ერიქსონმა განაცხადა, რომ რომან აბრამოვიჩის მხრიდან წინადადების მიღების შემთხვევაში "ჩელსის" მწვრთნელის პოსტის დაკავებას არ გამორიცხავს. "ოფიციალური წინადადება არ მომსვლია, მაგრამ თუ ასეთი იქნება, სიამოვნებით განვიხილავ", - ამბობს ერიქსონი. შვედი მწვრთნელის "ჩელსიში" გადასვლის შესახებ ინფორმაცია მას შემდეგ ვრცელდება, რაც ლონდონური კლუბი რომან აბრამოვიჩმა შეიძინა. ინგლისური პრესის მტკიცებით, რუსი მილიარდერი კლაუდიო რანიერის დათხოვნას და მის ადგილზე ერიქსონის მოყვანას თავიდანვე გეგმავდა.

▪ ▪ ▪

ფეხბურთი. "მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი, ნიკი ბატი, შესაძლოა, "ნიუკასლში" გადავიდეს. ინგლისური პრესის ინფორმაციით, 28 წლის ბატი 35 წლის გარი სპიდის შემცვლელად მოიაზრება. საქმე ის არის, რომ "ნიუკასლის" ვეტერანი სპიდი სეზონის ბოლოს კარიერას ამთავრებს. ნიკი ბატის შეძენით, "ნიუკასლის" გარდა, ლონდონის "ტოტენჰემიც" არის დაინტერესებული.

▪ ▪ ▪

ფეხბურთი. "ნიუკასლი" იუვენტუსელი მარკო დივაიოს შეძენასაც გეგმავს. 27 წლის თავდამსხმელმა განაცხადა, რომ, "იუვენტუსთან" არსებული სამწლიანი კონტრაქტის მიუხედავად, სხვა ქვეყნის კლუბში თამაში სურს. მას შემდეგ, რაც დივაიომ ეს სიტყვები წარმოთქვა, მის გადაბირებას ერთდროულად ორი კლუბი - კატალონიური "ბარსელონა" და ზემოთ ნახსენები "ნიუკასლი" ცდილობს.

▪ ▪ ▪

ფეხბურთი. თანამეგობრობის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ტურნირს, რომელიც დღეს აიღებს სტარტს, შესაძლოა, ინგლისური "ვესტ ჰემის" წარმომადგენლები დაესწრნენ. საქმე ის არის, რომ ამ კლუბს ტაშკენტის "ფახთაქორისა" და უზბეკეთის ახალგაზრდული ნაკრების მეკარე ეგნატე ნესტეროვის გადაბირება სურს. ცოტა ხნის წინათ "ვესტ ჰემი" ინგლისის ნაკრების მეკარე დევიდ ჯეიმსმა დატოვა. კლუბის ხელმძღვანელობა ჯეიმსის შემცვლელად სწორედ უზბეკ ნესტეროვს განიხილავს.

▪ ▪ ▪

ფეხბურთი. იტალიური "რომას" ნორვეგიელი თავდამსხმელი, იონ კარეუ თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში თამაშზე უარს აცხადებდა. ეს ბოიკოტი მაშინ გამოცხადდა, როდესაც თანაგუნდელ იონ არნე რიისესთან წაკამათების გამო, ნორვეგიის ნაკრების აწ უკვე ყოფილმა მწვრთნელმა, ნილს-იოჰან სემბმა კარეუ პორტუგალიის წინააღმდეგ მატჩში არ ათამაშა. კარეუს ეწყინა და განაცხადა: ნაკრებში მანამ არ ითამაშებდა, სანამ გუნდის მწვრთნელი სემბი იქნებოდა. დრო შეიცვალა, ნორვეგია ევროპის ჩემპიონატზე ვერ გავიდა და სემბი გადადგა. ნაკრების ახალი მწვრთნელი, ოგე ხარეიდე, იტალიაში ჩაფრინდა და კარეუს შეხვდა. ეს უკანასკნელი ნორვეგიის ეროვნულ გუნდში დაბრუნებაზე დათანხმდა.

▪ ▪ ▪

ფეხბურთი. იტალიური ფეხბურთის 32 წლის ვეტერანი, დინო ბაჯო კარიერის გაგრძელებას სამშობლოში აპირებს. ბაჯო რომის "ლაციოს" საკუთრებაა, თუმცა, იჯარის წესით ინგლისურ "ბლექბერნში" თამაშობს. ბაჯოს ამ კლუბში თამაში აღარ სურს და სერია ა-ს კლუბ "ანკონასთან" აწარმოებს მოლაპარაკებას. "ბლექბერნის" მწვრთნელის გრემ სუნესის განცხადებით, დინო ბაჯოსთან განშორება კლუბსაც სურს.

კრიკეტი

ცზიუ - მიჩელი: ბრძოლა არ შედგება

7 თებერვალს მოსკოვში უნდა გამართულიყო მატჩი ქვემსუბუქი წონის მოკრივეებს შორის. მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი კონსტანტინ ცზიუ ამერიკელ შარმბა მიჩელს უნდა შეხვედროდა. თუმცა, ცზიუმ ბრძოლა გადაიტანა. ამის მიზეზი გახდა მხრის ტრავმა, რომელიც გაავსტრალიელებულმა რუსმა ვარჯიშზე მიიღო. ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ ცზიუ ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა:

"მთავარია, ბრძოლის მომენტისთვის ჩემი ფიზიკური, მორალური და ფსიქოლოგიური განწყობა სათანადო იყოს. ამიტომ ავტომატურად გამოირიცხება ნებისმიერი ხელშემშლელი მომენტები". სამწუხაროა, მაგრამ ცზიუს მორალური განწყობა (ის მატჩისწინა ინტერვიუებში გაუთავებლად ირწმუნებოდა, რომ მიჩელს დაამარცხებდა) არ აღმოჩნდა მისი ფიზიკური შესაძლებლობების ადეკვატური.

ბრძოლის გადადების შესახებ ინფორმაცია გაავრცელა კონსტანტინ ცზიუს მენეჯერმა მეტიუ უოტმა. მისი თქმით, სპორტსმენი, რომელიც ავსტრალიაში ცხოვრობს და ვარჯიშობს, ბოლო ვარჯიშზე სერიოზულად დაშავდა. მოკრივემ მხარი დაიზიანა. ექიმების დასკვნით, ტრავმა სერიოზულია და მას ქირურგიული ჩარევა სჭირდება.

ცზიუს ოპერაციას დღეს გაუკეთებენ. თუმცა, ვარჯიშს რამდენიმე თვის შემდეგ დაიწყებს. როდის იჩხუბებს ცზიუ პირველად, ეს ჯერ არავინ იცის.

7 თებერვალს დანიშნული მატჩი ცზიუსა და მიჩელს შორის მსოფლიო კრივის სამყაროში ღირსშესანიშნავი დღე უნდა ყოფილიყო. მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს, 63,5 კგ წონით კატეგორიაში კონსტანტინ ცზიუს ამერიკელ პრეტენდენტ შარმბა მიჩელთან უნდა ეჩხუბა. სწორედ მიჩელთან ბრძოლაში 2001 წელს შეავსო ცზიუმ თავისი ტიტულების კოლექცია და მას WBA-ის ჩემპიონის ქამარი დაათმობინა.

თუმცა, იმ წარუმატებლობის შემდეგ მიჩელმა ზედიზედ ხუთი მატჩი მოიგო და გამოთქვა მზადყოფნა, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის კვლავ შეებრძოლოს ცზიუს. 2003 წლის ივნისში ცზიუსა და მიჩელის მენეჯერები, აგრეთვე, ამერიკული საკაბელო ტელევიზიის არხი Showtime, რომელთანაც ცზიუს პერსონალური კონტრაქტი აკავშირებს, მივიდნენ ჯენტლმენურ შეთანხმებამდე, ბრძოლა მოსკოვში გაემართათ, რაც ცზიუს დიდი ხნის ოცნება იყო. თავიდან მატჩის გამართვა 2003 წლის 27 სექტემბერს სურდათ, მაგრამ მოგვიანებით ბრძოლა 7 თებერვლისთვის გადაიდო.

მატჩმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის, რომელსაც სპორტკომპლექსი "ლუჟნიკები" მასპინძლობდა, რუს გულშემატკივრებში უდიდესი ინტერესი გამოიწვია. ბუნებრივიცაა, რადგან მანამდე რუსეთს ასეთი მაღალი რანგის მოკრივეთა სატიტულო ბრძოლისთვის არასოდეს უმასპინძლია. საინტერესოა, რომ დიდ წინაღობას წააწყდნენ "გაზეტა რუს" კორესპონდენტები, რომლებიც ამ მატჩზე აკრედიტაციის მიღებას ცდილობდნენ.

ახლა კი სუპერჩხუბი გაურკვეველი დროით გადაიდო. მომხდარით შეწუხებულია თვითონ ცზიუც, რომელიც უკვე დიდი ხანია, სამშობლოში სატიტულო ბრძოლის გამართვაზე ფიქრობდა. გუშინ მოკრივის მენეჯერმა, იმის გარდა, რომ ცზიუს ტრავმის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა, საჭიროდ ჩათვალა, ცზიუს სახელით მატჩის ჩაშლის გამო ქომაგებისთვის ბოდიში მოეხადა.

ბოლოს უოტმა გამოთქვა რწმენა, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ კონსტანტინ ცზიუ აუცილებლად მოახერხებს სატიტულო მატჩის მოსკოვში გამართვას.

კალათბურთი

ვინ არის საუკეთესო სნაიპერი?

სანდრო ნავერიანი

NBA-ს ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერი - პრედრაგ სტოიაკოვიჩი

კითხვა, თუ ვინ არის ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის საუკეთესო სნაიპერი, მწვავე დისკუსიას იწვევს. ზოგი ფიქრობს, რომ საუკეთესო სნაიპერი არის ის, ვინც ყველაზე მეტ ქულას აგროვებს და, შესაბამისად, ასახელებენ ისეთ სახელებს, როგორებიცაა: ალენ აივერსონი, კობი ბრაიანტი, ტრეისი მაკგრეიდი და ვინს კარტერი.

დარჩენილი ხალხის პატარა ნაწილი ფიქრობს, რომ, თუ სნაიპერულ თვისებებზე ვსაუბრობთ, მაშინ საუკეთესო სნაიპერად უნდა ჩავთვალოთ ის, ვინც სამქულიან ტყორცნებს უზადოდ ასრულებს. ასეთები კი რეჯი მილერი, რეი ალენი, რაშარდ ლუისი და ჩონსი ბილაფსია.

მე მომიწევს გაჩვენოთ, თუ რა განსხვავებაა ჩამგდებ და გამორჩეულ სნაიპერებს შორის. ჩამგდები კალათბურთელი თამაშში საშუალოდ 20 ქულას აკეთებს. ის არ ფიქრობს იმაზე, თუ რამდენ ტყორცნას განახორციელებს და რამდენად ეფექტური იქნება მის მიერ ჩაგდებული ბურთი. უბრალოდ, მისი მიზანია, გააკეთოს 20 ქულა და მორჩა. ჩამგდები კალათბურთელი ასევე არ ახდენს დემონსტრირებას იმ სამი სტატისტიკური კატეგორიისა, რომელიც სნაიპერს უნდა ახასიათებდეს. ეს კატეგორიებია: თამაშიდან შედეგიანი ტყორცნების, სამქულიანი ტყორცნებისა და საჯარიმო ტყორცნების პროცენტურა.

მაგალითისთვის ავიღოთ უკანასკნელი წლების ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი ალენ აივერსონი. მას შეუძლია, თამაშში დაახლოებით 30-ჯერ შეუტიოს ფარს და საშუალოდ 25-30 ქულა გააკეთოს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თამაში არ წაუვიდა. ამის გამო ის შედეგიანობით ლიდერობს ლიგაში და მისი პროცენტურა თამაშში 27 ქულაა, თუმცა, მაინც ვერ ხვდება იმ 50 მოთამაშის სიაში, რომლებიც საუკეთესონი არიან შედეგიანობით. ალენი იყენებს თამაშიდან ნასროლი ბურთების 39%-ს, სამქულიანი ტყორცნების 31 და საჯარიმო ტყორცნების 75%-ს.

ასეთი შედეგიანობა გამოწვეულია არა იმით, რომ ის ძალიან ზუსტად ისვრის, არამედ იმით, რომ ყველაზე მეტ ტყორცნას ასრულებს იმ 48 წუთის განმავლობაში, რომელსაც ის საშუალოდ ყოველ მატჩში მოედანზე ატარებს.

აივერსონის მსგავსი სიტუაციაა სხვა შედეგიანი კალათბურთელების შემთხვევაშიც. კობი ბრაიანტი, ვინს კარტერი, ბაირონ დევისი, ტიმ დანკანი, კევინ გარნეტი, პოლ პირსი და ტრეისი მაკგრეიდი. ამ კალათბურთელებიდან ყველაზე შედეგიანები მაინც კევინ გარნეტი და ტიმ დანკანი არიან. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩამოთვლილი კალათბურთელებიდან ისინი ყველაზე ნაკლებს ტყორცნიან.

და მაინც, სნაიპერთა კონკურსში ბადალი და კონკურენტი არ ჰყავს "საკრამენტო ქინგზის" ფორვარდს პეჟა სტოიაკოვიჩს. ის უნიკალური კალათბურთელია და მომავალში მასზე შედეგიანი, ალბათ, ვერავინ იქნება. ამ ყველაფერთან ერთად, მას არაჩვეულებრივი მონაცემები აქვს ზემოთ აღნიშნულ სამ კატეგორიაში.

სერბი კალათბურთელი მესამე პოზიციაზეა შედეგიანობით - მისი შედეგი თამაშში 25 ქულაა; მესამე პოზიციაზეა საჯარიმო ტყორცნების რეალიზაციაშიც. მისი შედეგიანობა 91%-თ აღინიშნება; სამქულიანი ტყორცნების გამოყენებაში მერვე ადგილი უჭირავს და მისი შედეგიანობა 43%-ს აღწევს; თამაშიდან გამოყენებული ტყორცნების პროცენტურა 49,4%-ია და ამ მაჩვენებლით ამ კატეგორიაში მე-13 ადგილზეა.

ცოტა ხნის წინ პრედრაგ "პეჟა" სტოიაკოვიჩი კინაღამ ყველაზე შედეგიან კალათბურთელად დაასახელეს, მაგრამ ამას რაღაცამ ხელი შეუშალა. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ხელი შეუშალეს. მაგრამ ციფრები ადასტურებენ, რომ დღევანდელ ლიგაში ყველაზე შედეგიანი სერბი კალათბურთელია.

ფორმულა 1

"იმედი მაქვს, წლევანდელი სეზონი რალფის არ იქნება!"

მიხაელ შუმახერის პირველი ინტერვიუ ახალი წლის შემდეგ

ნინო პირველი

მადონა დი კამპლიო - ჩრდილოეთ იტალიის ერთ-ერთი საუცხოო ზამთრის კურორტი. აქ მხოლოდ ზღაპრულად მდიდრები და სახელგანთქმულნი მოდიან ხოლმე თხილამურებზე სასრიალოდ და თოვლით დაფარული მთების განუმეორებელი ეგზოტიკის შესაგრძნობად. ამ ბოლო დღეებში აქაურობა განსაკუთრებით გამოცოცხლებულია – მადონა დი კამპილიოს საპატიო სტუმრები ჰყავს: მსოფლიოს ნომერ პირველი საჯინიბოს, იტალიური "ფერარის" პილოტები მიხაელ შუმახერი და რუბენს ბარიკელო არდადეგების უკანსაკნელ დღეებს მთებში ატარებენ და ბარში ჩასვლამდე თოვლში თამაშით ერთობიან. "ფერარიმ" თავს ზედმეტი ფუფუნების უფლება მისცა. სხვა გუნდებმა უკვე ოთხი ტესტრბოლის ჩატარება მოასწრეს, იტალიური საჯინიბოს ბოლიდები კი ჯერ არ გასულან ტრასაზე. შუმახერსა და ბარიკელოს ეს დიდად არ ადარდებთ. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ვარჯიშის დაგვიანებით დაწყების შემთხვევაშიც მშვენივრად მოასწრებენ სეზონის პირველი რბოლისთვის მომზადებას. "შუმისა" და "რუბინიოს" არდადეგები შაბათს დასრულდება. ბარსელონაში გამოსაცდელი რბოლები დაიწყება, თუმცა, "ფერარის" ტესტ-პილოტებს ისევ ძველი ბოლიდით მოუწევთ ტრასაზე გასვლა: ახალი მანქანის გამოყვანას იტალიელები 26 იანვარს გეგმავენ.

მიხაილ შუმახერი წელს მეშვიდე ტიტულს უმიზნებს

როგორი განწყობით ხვდება მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი ახალ სეზონს? რა თქმა უნდა, მიხაელ შუმახერი მეშვიდე ტიტულზე ოცნებობს. უფროსი "შუმი" ისე მობილიზებული და შემართულია, თითქოს ექვსი ჩემპიონატი და 70 გრანპრი კი არ ჰქონდეს მოგებული, არამედ დამწყები, დიდებაზე მეოცნებე, ამბიციური პილოტი იყოს. მეტოქეთა გულის გასახეთქად, ჩემპიონი აცხადებს, რომ, შესაძლოა, 2006 წლის მერეც არ წავიდეს აქტიური სპორტიდან. "თუ ორი წლის შემდეგაც ისე კარგად ვიგრძნობ თავს, როგორც ახლა, იქნებ კიდევ გავაგრძელო კონტრაქტი", - სიცილით ამბობს "შუმი". მაგრამ უმცროსი ძმა, რალფი, რომელიც უკვე დიდი ხანია "ფერარიში" მოხვედრაზე ოცნებობს? მიხაელი კატეგორიულად გამორიცხავს იტალიურ საჯინიბოში რალფის გადასვლის შესაძლებლობას: "როგორც ძმები კლიჩკოები არ ჩხუბობენ ერთმანეთის წინააღმდეგ, ისე ჩვენც არ ჩავსხდებით ერთი და იმავე გუნდის ბოლიდში. რალფი რომ ჩემს საჯინობოში იყოს, მაშინ ერთმანეთს გული უნდა დავწყვიტოთ, რადგან რბოლის დროს ერთი გაიმარჯვებს, მეორე კი დამარცხდება. ჩვენ კი ეს არ გვინდა", - ასე ახსნა "ფერარის" ლიდერმა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ამ საკითხის ირგვლივ. პატივმოყვარე რალფი, რომელიც მუდამ უფროსი ძმის დაძლევაზე ოცნებობს, მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონს არაფერში სჭირდება. მისთვის ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო იდეალური პარტნიორია - მორჩილი "რუბინიო" არასოდეს ცდილობს შუმახერზე წინ წასვლას, მუდამ იმას აკეთებს, რასაც უბრძანებენ და ძალღონეს არ იშურებს მიხაელის დასახმარებლად. ასე სრულყოფილად, ალბათ, სხვა ვერავინ შეძლებდა "ფერარის" მეორე პილოტის როლის შესრულებას. სწორედ ამიტომ გაუხარდა მიხაელ შუმახერს ბარიკელოსთვის კონტრაქტის გაგრძელება. მისი აზრით, ეს საუკეთესო გადაწყვეტილება იყო.

მოკლედ, სკუდერიაში შესანიშნავი ატმოსფეროა. ორივე პილოტი ჩინებულად გრძნობს თავს და დამდეგ სეზონს იმედით უყურებს. "ფერარის" წლევანდელი მთავარი ამოცანა ხომ ისევ ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაა. რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ იტალიური საჯინიბო უკვე არაერთხელ გახდა მსოფლიოს საუკეთესო გუნდი? გამარჯვებით დაკმაყოფილება ხომ შეუძლებელია. სწორედ ასე მიაჩნია უფროს შუმახერს, რომელმაც გუშინ წლის პირველი ინტერვიუ მისცა პრესას:

- როგორ ფიქრობთ, შეძლებთ ამ სეზონში მეშვიდე ტიტულის მოპოვებას?

- ეს ჩემი უმთავრესი მიზანია, თუმცა, კარგად ვიცი, რომ ძალიან ძნელი იქნება. შეიძლება შარშანდელზე მეტად გაგვიჭრდეს. "მაკლარენი" და "უილიამსი" საუკეთესო ფორმაში არიან. მათ გასულ სეზონში სულ ცოტა დააკლდათ გამარჯვებამდე. წლეულს ორმაგად მოტივირებულნი გამოვლენ ტრასაზე, მაგრამ ეს ჩვენ არ გვაშინებს. მე მზად ვარ დიდი ბრძოლისთვის.

- რალფის მენეჯერი ვილი ვებერი ფიქრობს, რომ 2004 წელი თქვენი უმცროსი ძმის წელი იქნება...

- იმედი მაქვს, ასე არ მოხდება. სეზონის ბოლოს გამარჯვებულის საპატიო კავრცხლბეკზე ისევ "ფერარი" უნდა იდგეს და არა "უილიამსი". თუ მე არ გავხდები ჩემპიონი, მაშინ ბარიკელო გაიმარჯვებს.

- ბარიკელოს 2006 წლამდე გაუგრძელეს კონტრაქტი. მის ნაცვლად თქვენს ძმას ხომ არ ისურვებდით "ფერარის" მეორე პილოტად?

- არავითარ შემთხვევაში. რუბენს ბარიკელო საუკეთესო პარტნიორია. რალფი რომ ჩემს გუნდში იყოს, მაშინ ერთი შუმახერი აუცილებლად უნდა დამარცხდეს. ჩვენ ისევე არ გვინდა პიდაპირი დუელი, როგრც ძმებ კლიჩკოებს.

- როგორ ემზადება "ფერარი" ახალი სეზონისთვის?

- ძალიან კარგად. მომავალ კვირას მე თვითონ გავალ ტრასაზე, 26 იანვარს კი უკვე ახალი ბოლიდი გვეყოლება, რომლითაც მელბურნში სტარტს ავიღებთ.

- რა იცით ახალი ბოლიდის შესახებ?

- ახალი "ფერარი" აუცილებლად იქნება ძველზე ძლიერი და სწრაფი. ამ მანქანით ჩვენ ბევრს მივაღწევთ.

- ექვსი ტიტულის მოპოვების შემდეგ კიდევ გაქვთ ტრასაზე გასვლის მოტივაცია?

- რა თქმა უნდა, მოტივაცია დიდია. ისე ვარ მონდომებული, რომ საშინლად მინდა ბოლიდში ჩაჯდომა. ერთი საჭე და ოთხი ბორბალი - ესაა ის ყველაფერი, რაც მე მჭირდება, რაც ძალიან მიყვარს.

მოკლედ

ლუისი კლიჩკოსთან იჩხუბებს

ასეთ კადრებს კიდევ ვნახავთ

ბრიტანელი მოკრივის ლენოქს ლუისის მწვრთნელი სტიუარტი დარწმუნებულია, რომ მისი "აღსაზრდელი" ვიტალი კლიჩკოსთან აუცილებლად იჩხუბებს, - იუწყება გაზეთი "მირორი".

სტიუარტის თქმით, ლუისი პროფესიულ კრივს მანამდე არ დაემშვიდობება, ვიდრე უფროს კლიჩკოს არ შეხვდება და მასთან ბრძოლაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს არ დაიცავს. მწვრთნელი აცხადებს, რომ ლუისი წონას აკვირდება და მზად არის, დაადასტუროს რინგზე თავისი ბრძოლისუნარიანობა.

"ფრიად გაოცებული დავრჩი, როცა ამას წინათ ლენოქსი ვნახე. ის შესანიშნავად გამოიყურებოდა, - აღნიშნა სტიუარტმა. - მანამდე ლუისს ნიუ-იორკში შევხვდი და, ცოტა არ იყოს, სათანადოდ ვერ გამოიყურებოდა. ახლა ჩემთვის სრულიად ნათელია, რომ ის კარგ ფორმას ინარჩუნებს".

თავის მხრივ, ლუისს საბოლოოდ არ უთქვამს, შეხვდება კლიჩკოს თუ დიდ კრივს დაემშვიდობება. იმ შემთხვევაში, თუ ბრიტანელი სპორტულ კარიერას დაასრულებს, უფროსი კლიჩკო ჩემპიონის ვაკანტური ტიტულისთვის სხვა მოკრივეს გაეჯიბრება. თავისი გადაწყვეტილება ლუისმა კრივის სამყაროს უახლოეს მომავალში უნდა აცნობოს.

შეგახსენებთ, რომ ლენოქს ლუისი რინგზე უკანასკნელად 2003 წლის 21 ივნისს ლოს-ანჯელესში გამოვიდა და ვიტალი კლიჩკო დაამარცხა. მაშინ WBC-ის ვერსიით ბრიტანელმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაიცვა. ამას გარდა, ლუისმა თავისი სპორტული კარიერის განმავლობაში უძლიერესი მოკრივეები დაამარცხა. კერძოდ: მაიკ ტაისონი და ევანდერ ჰოლიფილდი.

ბლატერი ქალებს ჭკუას არიგებს

ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა გამოთქვა სურვილი, ქალთა ფეხბურთი უფრო ესთეტიკური გახდეს. ამისთვის, პრეზიდენტის აზრით, კარგი იქნება, თუ ფეხბურთელთა სპორტული ტანსაცმლის კომპლექტი შეიცვლება. კერძოდ, ბლატერი ქალბატონებს სთავაზობს მოირგონ შემოტკეცილი შორტები, რაც, მისი აზრით, ქალებს ბუნებრივ იერს შესძენს და გულშემატკივართა ყურადღებასაც მიიპყრობს.

"დე, ქალებმა ფეხბურთი ქალურ ტანსაცმელში ითამაშონ, როგორც ამას ფრენბურთელები აკეთებენ - განაცხადა ბლატერმა – თვალს ვერ მოწყვეტთ, თუ, ვთქვათ, შემოტკეცილ შორტებს მოირგებენ. ქალთა ფეხბურთის წესები ხომ განსხვავდება მამაკაცებისგან. მათ ბურთიც მსუბუქი აქვთ. ყველა ეს დათმობა იმისთვის მოიგონეს, რომ ქალი ფეხბურთელები უფრო ქალურად გამოიყურებოდნენ. რატომ არ უნდა მივცეთ მათ უფლება, ჩაიცვან ისე, როგორც სურთ?"

თუმცა, როგორც გაირკვა, ბლატერმა არ იცის, რა სურთ ქალებს, - აცხადებს "გარდიანი". ფიფას პრეზიდენტის წინადადებამ ფეხბურთელები შეურაცხყო. ინგლისის ნაკრების მეკარემ, პაულინ კოპმა ამ წინადადებებს "წმინდა მამაკაცური" უწოდა. "მან, უბრალოდ, არ იცის, რას ლაპარაკობს, - განაცხადა კოპმა. - ჩვენ მსუბუქ ბურთებს არ ვიყენებთ, ხოლო მისი წინადადება შემოტკეცილ შორტებზე, უბრალოდ, სასაცილოა".

"ფულჰემის" მწვრთნელმა მარიანა სპეისიმ პრეზიდენტის წინადადებას ახალი ფორმის შესახებ "მავნე" უწოდა, რადგან პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს ფეხბურთელის შესაძლებლობებს და არა გარეგნულ მდგომარეობას. "შემოტკეცილი შორტებით 10 წლის წინათ უკვე ვთამაშობდით და მაშინ ამას ყურადღება არავინ მიაქცია", - განაცხადა სპეისიმ.

ნორვეგიელმა ფეხბურთელმა ლიზ კლევნესმაც მოუწოდა საზოგადოებას, ქალს მინდორზე უფრო სერიოზულად მოეკიდოს: "თუ გულშემატკივარს ნახევრად შიშველი მოდელების ცქერა მოსწონს, ჟურნალი "ფლეიბოი" იყიდოს".

ოლიმპიზმი

2012 წლისთვის რბოლა დაიწყო

გიგა გურასაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა ქვეყანას რამდენიმე მილიარდი დოლარი უჯდება, მასპინძლობის მსურველთა რაოდენობაზე ეს არავითარ გავლენას არ ახდენს. მეტიც, ზოგიერთი ქვეყნები მასპინძლობის პატივისთვის ერთმანეთს ექიშპებიან და საკუთარ უპირატესობებზე ხმამაღლა გაჰყვირიან. თუმცა, რამდენიც არ უნდა ამტკიცონ საკუთარი უპირატესობა, განაჩენი ოლიმპიზმის მამებმა უნდა გამოიტანონ. ქიშპობა და სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება უკვე 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მსაპინძლობის მსურველთა თუ ამბიციის მქონეთა შორის გაჩაღებულია. თითოეულმა მათგანმა ამის შესახებ ოფიციალურად განაცხადა. ერთი სიტყვით, ხუთშაბათს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის მსურველთა ოფიციალური განცხადებების მიღების ვადა ამოიწურა. თამაშების საკუთარ კედლებში ხილვის ამბიცია კი ცხრა ქალაქს – პარიზს, ლონდონს, ნიუ იორკს, მოსკოვს, რიო დე ჟანეიროს, მადრიდს, ლაიფციგს, ჰავანასა და სტამბოლს აღმოაჩნდა.

ფრანგები მზად არიან ოლიმპიადისთვის ეიფელის კოშკი სპორტულ დარბაზად აქციონ

საგულისხმოა, რომ ჩამოთვლილ კანდიდატთაგან ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის გამოცდილებით სამი მათგანი - პარიზი (1900 და 1924), ლონდონი (1908 და 1948) და მოსკოვი (1980) დაიკვეხნიან.

ბუნებრივია, კანდიდატთა რბოლაში არიან ფავორიტებიც. ბუკმეიკერთა გათვლებით, მასპინძლობის ყველაზე მეტი შანსი აქვთ საფრანგეთისა და ინგლისის დედაქალაქებს. კერძოდ, პარიზისა და ლონდონის გამარჯვების შანსი 7-4-თან ფასობს.

ერთ-ერთი ინტერნეტ-საიტი gamebids.com, რომელმაც თავის დროზე 2008 წლის თამაშების მასპინძლად პეკინის კანდიდატურა იწინასწარმეტყველა, მიიჩნევს, რომ 2012 წელს მასპინძლად პარიზი დასახელდება. იმავე საიტის თანახმად, მეორე პოზიციაზე აღმოჩნდება რიო დე ჟანეირო, ლონდონი კი მესამე იქნება.

სხვათა შორის, პარიზთან დაკავშირებით ქალაქის მერი ბერტრან დელანო უჩვეულო წინადადებით გამოვიდა. უფრო სწორად, დელანოს განცხადებას ერთგვარი სარეკლამო ტრიუკის დატვირთვა აქვს. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ პარიზი 2012 წლის ოლიმპიადის დედაქალაქად დასახელდება, ფრანგები ერთ-ერთ საასპარეზო არენად ოლიმპიელებს ქვეყნის სადარბაზო ბარათს – ეიფელის კოშკს დაუთმობენ. ოლიმპიელები კი პლაჟის ფრენბურთის წარმომადგენლები იქნებიან.

და მაინც, რატომ ანიჭებენ პარიზს უპირატესობას? საქმე ისაა, რომ საფრანგეთის დედაქალაქი 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვისაც იბრძოდა და ერთ-ერთი გამორჩეული კანდიდატთაგანიც გახლდათ. ამასთან, ფრანგებს მაშინ დაგროვილი გამოცდილებაც ზურგს უმაგრებს. 2012 წლისთვის პარიზის ბიუჯეტიც დამტკიცებულია. ის 27,6 მილიონ ევროს შეადგენს. გარდა ამისა, 32 მნიშვნელოვანი თუ აუცილებელი სპორტული ნაგებობებიდან 16 უკვე მწყობრშია. კიდევ ერთი რამეა გასათვალისწინებელი. იმის შანსს, რომ ოლიპიადის მასპინძლობის უფლება ევროპის რომელიმე ქალაქს მიაკუთვნონ, ზრდის ის ფაქტორიც, რომ 2008 წელს თამაშების მასპინძელი აზიაა. ანუ, სოკ-ში მიაჩნიათ, რომ ოლიმპიადებს ერთმანეთის მიყოლებით ერთი და იგივე კონტინენტმა არ უნდა უმასპინძლოს. ყოველ შემთხვევაში, ამ ფაქტორს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. მაგრამ თუ ამ ლოგიკით ვიმსჯელებთ, მაშინ არც სამხრეთ ამერიკაა აზია. მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიური თამაშები არასდროს გამართულა სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე, რეალურად ნაკლებად სავარაუდოა, რომ რიო დე ჟანეიროს ან ჰავანას რაიმე შანსი ჰქონდეთ. არც ერთი მათგანი არ განეკუთვნება ბობოლა ქვეყანათა რიგს.

საერთო აზრით, მასპინძლობის უფლება ბებერ კონტინენტს უნდა დარჩეს.

ახლა კი იმ ხანგრძლივ და რთულ პროცესზე, რომლის დაკმაყოფილებაც მოუწევს ზემოხსენებულ ცხრა პრეტენდენტს. თავდაპირველად თითოეულმა მათგანმა უნდა შეიმუშაოს წინასწარი გეგმა, რასაც შემდეგ სოკ-ში წარადგენენ. დროთა განმავლობაში პრეტენდენტებს კიდევ რამდენჯერმე მოუწევთ საბუთების სრულყოფა. სოკ-ის კომისია თითოეულ პრეტენდენტ ქალაქს ეწვევა. ამ ვოიაჟების შემდეგ შედგება მოხსენება, რომელსაც გულდასმით გაეცნობიან სოკ-ის წევრები...

2005 წლის 6 ივლისს, სოკ-ის 117-ე სესიაზე, სინგაპურში, 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძელი დედაქალაქიც გაცხადდება.

TV–სპორტი

შაბათი. 17 იანვარი

НТВ+ФУТБОЛ
07:30 NBA TV – NBA შიგნიდან
08:00 NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1981. აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალი. "BOSTON CELTICS " - "WASHINGTON BULLETS". მე-5 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2003-2004. "ინტერი" – "დინამო" (უკრაინა)
15:10 "გამჟღავნება"
15:40 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
16:10 თავისუფალი დარტყმა
18:20 განვლილი სეზონის საუკეთესო მატჩები. ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. "რივერ პლეიტი" (არგენტინა) – "კორინთიანსი" (ბრაზილია). პირველი მატჩი
20:05 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
20:35 "დარტყმა გოლისთვის"
20:55 თავისუფალი დარტყმა
21:10 სახვალიო ტელეპროგრამა
21:20 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2003-2004. "ლოკომოტივი" (რუსეთი) – "არსენალი" (ინგლისი)
23:20 "ევროფანკლუბი" – "იუვენტუსი"
23:50 "FUTBOL MUNDIAL"
00:25 ესპანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (01:15) – თავისუფალი დარტყმა
02:20 02:20-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: სპად უები
05:30 NBA TV. დღიური
06:00 NBA TV. "UTAH JAZZ" - "CLEVELAND CAVALIERS". პირდაპირი ტრანსლაცია

НТВ+СПОРТ
11:00, 13:35, 17:00, 21:00 პრესცენტრი
11:15, 21:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჭადრაკი. სუპერტურნირი ვეიკ-ანზეეში
12:25 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი ჩეხეთში. ქალები. 10კმ. პირდაპირი ტრანსლაცია
13:55 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი ჩეხეთში. ვაჟები. 15კმ. პირდაპირი ტრანსლაცია
15:00 "ყინულის ხანა". პროგრამა ჰოკეიზე
15:30 "ფრისტაილი". ტელეჟურნალი
16:00 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
16:30 "სპორტული გლობუსი"
17:15 ამერიკული ფეხბურთი. კვირის მოვლენა
17:45 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატის წინ
18:45 ფარიკაობა. რუსეთის ღია ჩემპიონატი
20:00 სამთო სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. ქალები. სწრაფდაშვება
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 დიდი რინგი. პროგრამა პროფესიულ კრივზე
23:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი პოლონეთში
01:15 ახალი ამბები
01:30 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
02:00 "სპორტის აკვატორია"
02:30 02:30-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "TORONTO MAPLE LEAFS" - "PHILADELPHIA FLYERS". პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT
11:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
12:00 რალი – რეიდ დაკარი
12:30 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი ჩეხეთში
13:45 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი ჩეხეთში
15:30 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი შვეიცარიაში
17:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი გერმანიაში
19:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ავსტრალიაში
20:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი პოლონეთში
22:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
22:30 ფეხბურთი. ეფეს პილსის თასი
00:30 კრივი. მძიმეწონოსანთა ჩხუბი აშშ-ში
01:30 რალი – რეიდ დაკარი
02:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:30 ახალი ამბები
02:45 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ავსტრალიაში
04:15 რალი – რეიდ დაკარი
04:45 ახალი ამბები

ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

"შენ აფრენ"

საქართველოში მომხდარი რევოლუცია ყველამ თავისებურად აღიქვა. ზოგიერთი მაგისტრალებს კეტავს და კანონიერი ქურდების გათავისუფლებას ითხოვს, ზოგიერთი გენპროკურორის ან აფხაზეთის ხელისუფლების გადადგომას, ბატონი გურამ შარაძე ახალარჩეულ პრეზიდენტს ულტიმატუმს უყენებს და წინააღმდეგ შემთხვევაში გვერდზე გადგომით ემუქრება, რაც, თავისთავად, ძალიან სახიფათო და პრეზიდენტის მხრიდან დასაფიქრებელია. მოკლედ, ზოგი ასე უბერავს, ზოგიც ისე უბერავს...

რევოლუციისადმი გულგრილი, ბუნებრივია, არც ახალგაზრდა მხატვრები დარჩნენ და ავანგარდული გამოფენა-გამოძახილი-პერფორმანსი მოაწყვეს ცისფერ გალერეაში, რომელიც ავანგარდულ გამოფენას ავანგარდული გაყინულობა-გაუბედურებით მასპინძლობდა.

ერთ-ერთი პირველი, ვინც გალერეაში შესვლისთანავე შემხვდა, ირაკლი ჩარკვიანი იყო და უეცრად გამახსენდა ერთი ფრაზა მისი ძველი სიმღერიდან, თავის დროზე ასე წყობიდან რომ გამოიყვანა პოეტი რეზო ამაშუკელი, რომელმაც, ეტყობა, თავის თავზე მიიღო - "შენ აფრენ".

მე არ ვიცი, შეიძლება მეც ვაფრენ, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ გალერეაში მოწყობილი აქციის როგორც ავტორების, ისე სტუმრების უმეტესობა, მართლაც, ცოტა აფრენდა, ოღონდ ამ სიტყვის არა "ბუკვალური", არამედ ასოციაციური მნიშვნელობით.

ექსპოზიცია ცისფერი გალერეის ორივე დარბაზში იყო განლაგებული და ნიჭიერ მხატვარ მამუკა მიქელაძის ველოსიპედზე შემომჯდარი, ახალი სახელმწიფო დროშით შეიარაღებული ანგელოზით იწყებოდა (ძალიან მომეწონა), მფრინავი ლურჯი სკამებით გრძელდებოდა და გადადიოდა ბევრ ცელოფანში იატაკზე, ცოცხებში, ნიჩბებში, ჩაქუჩებში კედლებზე, მფრინავ ირმებში, დამტვრეულ სარკეებში, ფოტოებში, ვერცხლის ქაღალდიდან გაკეთებულ ბერძნულ პორტრეტებში, ფუტურისტულ წარწერებში კედლებზე და მთავრდებოდა პოსტამენტზე შემოდებული პატარა ლურჯი გაზის ბალონით, რომელზედაც ჩაიდანი იდგა, დუღდა და უსტვენდა. თუმცა, მალე პოსტამენტზე მდგომი მსტვენარა ჩაიდანი არანაკლებ დასტვენილი პოეტებით შეიცვალა. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ავანგარდი კი კარგია, თუნდაც გაუგებარი, მაგრამ ცისფერი გალერეის ავანგარდული სიციცე კი სრულიად აუტანელია და აქციის მომწყობების მხრიდან ბევრად უკეთესი ჩანაფიქრი იქნებოდა, ცხელი ჩაიც რომ ჩამოერიგებინათ და ასეთი საჭირო, სითბოგამომყოფი, ფუნქციური ცხელი ჩაიდანი სრულიად უფუნქციო პოეტებით არ შეეცვალათ.

ინსტალაციისგან გაყინულმა გალერეის მეორე დარბაზში გადავინაცვლე, იმის იმედით, რომ ფერწერა მაინც გამათბობდა, მაგრამ ამაოდ, კიდევ უფრო გავიყინე.

ამ, ასე ვთქვათ, პერფორმანსის მომწყობები იყვნენ ნამდვილად ძალიან ნიჭიერი მხატვრები - იურა ტიმჩენკო, ნიკუშა შენგელაია, მამუკა მიქელაძე, გელა წულაძე და სხვები. სტუმრების ჩამოთვლა კი ძალიან შორს წაგვიყვანს და ამიტომ, მოკლედ გეტყვით, რომ იყვნენ მართლა ძალიან გაფრენილები, ტყუილად გაფრენილები, საშუალოდ გაფრენილები და სრულიად არაგაფრენილები. მეტიც, მიწაზე მყარად, ორივე ფეხით და ზოგჯერ, ხელებითაც მდგომნი.

რთული გასაგები არაფერი იყო ამ აქციაში, თუ არ ჩავთვლით იმ უცხო სიტყვებს, რომლებიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ისმოდა. აშკარა იყო რევოლუციური ეპატაჟი, რომელიც ნაციონალების დროშის გამოსახულების სიხშირეში, მეამბოხე განწყობაში და დოგმების პროტესტში იგრძნობოდა.

"ზოგი ასე უბერავს, ზოგიც ისე უბერავს".

ზოგიერთი ნიჭიერად უბერავს, ზოგიერთი უნიჭოდ, ზოგიერთი მართლა უბერავს, ზოგიერთი კი პოზისთვის, იმიჯისთვის. ქართველი მხატვრები კი ასე უბერავენ, რაც, თავისთავად, ძალიან კარგია, თუნდაც პოსტრევოლუციურ ხანაში, თუნდაც ცოტა დაგვიანებით და თუნდაც ზოგიერთისთვის გაუგებრად.

ალტრუიზმი თუ ბიზნესი?

ალბათ, ყველას გახსოვთ, ბატონი გურამ შარაძის მიერ რამდენიმე წლის წინ წარმოებული, მისი ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური პოპულისტურ-სარეკლამო კამპანია მაკდონალდსის წინააღმდეგ. ალბათ, ისიც გახსოვთ, რომ ბავშვების უსაყვარლესი მაკდონალდსის მაგივრად, ბატონი გურამი "ვეფხისტყაოსნის" მუზეუმის გაკეთებას მოითხოვდა. საბედნიეროდ, კამპანია მალე დასრულდა. არ ვიცი, შარაძის ინტერესების ცვლილებების გამო თუ, უბრალოდ, დეპუტატმა ბიგ მაკი გასინჯა და მოეწონა. მახსოვს, მაშინ ძალიან დამაინტერესა სხვადასხვა ენაზე გამოცემული "ვეფხისტყაოსნის" წიგნების და მათი ილუსტრაციების გარდა, რის გამოფენას აპირებდა ბატონი გურამი ამ მუზეუმში - ვეფხვის ტყავის, ნესტანდარეჯანის ნერილის ხელნაწერის, პოემის რომელიმე პერსონაჟის კოსტიუმის თუ შოთა რუსთაველის კალმის და აპირებდა თუ არა ამ მუზეუმის გვერდზე მე-12 საუკუნის ქართული კერძებიდან შემდგარი მენიუს მქონე რესტორნის გახსნას, შესაბამისი ინტერიერით.

არ მესმის, რა საჭიროა ახალი, მოგონილი, თითიდან გამოწოვილი, ხელოვნური მუზეუმები მაშინ, როდესაც არსებულები და მათში მოთავსებული უნიკალური ექსპონატები სრულიად საგანგაშო მდგომარეობაშია. სწორედ ამიტომ, არ შემეძლო რეაგირების გარეშე დამეტოვებინა ის ახალი ავანტიურა, რომლის გეგმა ამ დღეებში ტელევიზიით მოვისმინე. თუ "ვეფხისტყაოსნის" მუზეუმის გახსნა იყო პოლიტიკური რეკლამა, ბატონ ელგუჯა ბუბუტეიშვილის იდეა - რიყეზე ააშენოს ღვინის და ვაზის მუზეუმი+სასტუმრო, რესტორანი, ბარი, სავაჭრო ცენტრი, სამორინე და ა.შ., არაფერია, გარდა ფინანსური ავანტიურისა.

ნუთუ არასდროს დამთავრდება ის განუკითხაობა, რომელშიც ზაზა სიორიკიდურებს, როგორც უჰაერო სივრცეში მოხვედრილი, უნდა იცვამდე, როგორც ზანგი ან ლათინოსი ღარიბი ნარკომანი, უნდა იცინოდე, როგორც დასაქოქი თოჯინა და მღეროდე, როგორც ვირი. რაც მთავარია, შენი მუსიკალური გემოვნება არ უნდა აღემატებოდეს ლექს სუნს (შეიძლება, მეშლება "მომღერლის" სახელი) და აჩი მეფარიძეს. თუ, ღმერთმა დაიფაროს და ქეთა თოფურია მაინც მოგწონს, დაიღუპე, დარჩი უსამსახუროდ.

ვინ არის წუნა, სალი, კატო, ლუკა, კოსტა?.. ვინ არიან და ვის იგდებენ მასხრად? უნიჭოდ რატომ ლაყბობენ, ღლაბუცობენ, უსაქციელობენ, იმანჭებიან, იტყლარჭებიან ტელეეკრანიდან და პერიოდული, იდიოტური შეკივლებებით, წაცინებებით და წამღერებებით, თავისი ჭკუით, MTV-ის მაგვარ "თავისუფალ" განწყობას ქმნიან.

ძალიან მაინტერესებს კიდევ ერთი, ზოლებიან ხალათში გამოწყობილი ბიჭის ვინაობა და ფუნქცია. ნუთუ ვინმე ფიქრობს, რომ მას ან ნიჭი აქვს, ან იუმორი, ან გარეგნობა, ან რაიმე სხვა პლუსი. რატომ უნდა ეწყებოდეს დილა ნებისმიერ ქართველ ბავშვს ამ ბინძურ ხალათში გამოწყობილი მახინჯი ბიჭით, რომელიც, რას ბოდავს, თვითონაც ვერ გაუგია.

საერთოდ არ მესმის, რა გადაცემები აქვს I ST-ს. რა როდის იწყება, რატომ და როდის მთავრდება, რაზე ან ვიზეა გათვლილი.

მოეღება თუ არა ბოლო ამ უნიჭო ძეს უფლება აქვს, ექვთიმე თაყაიშვილის სახლში რესტორანი გახსნას, რიგით დეპუტატს შეუძლია ქალაქის ულამაზესი ცენტრალური ქუჩის ნაწილი შეისყიდოს და "შუშის სახლი" აგვიშენოს, სადაც ქალის ნაირფეროვან კოლგოტკებს გაყიდის, როდესაც ძველ, სატახტო ქალაქში უნიკალური ძეგლების პარალელურად "უნიკალური" რესტორნების მთელი ქსელი გაიხსნება, სხვათა შორის, იმავე ბუბუტეიშვილის ხელდასმით.

ნუთუ არ დამთავრდება ის დრო, როდესაც ძეგლთა დაცვას, უბრალოდ, იგნორირებას უწევდნენ, ხელოვნებათმცოდნეებს და ისტორიკოსებს კი გადმონაშთებად მიიჩნევდნენ და ყველაფერი იმ აგრესიული პროვინციალიზმის ელფერს ატარებდა, რომლითაც ასე გამოირჩეოდა ჩვენი ხელისუფლება.

ნუთუ არ მოვა ის დრო, როდესაც ბატონი ბუბუტეიშვილი, ის კი არა, რომ ვერ ააშენებს, რასაც უნდა, სადაც უნდა და როგორც უნდა, არამედ, ვერც გაბედავს იმის გაფიქრებას, რომ თავისი მატერიალური ინტერესისთვის შეუძლია თვითნებურად თბილისის, მცხეთის ან ნებისმიერი სხვა ქალაქის უკონტროლოდ დამახინჯება.

ნუთუ არ მოვა ის დრო, როდესაც ძეგლთა დაცვას, სპეციალისტებს ექსანახაობების კასკადს არხზე, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, პატრონი არ ჰყავს და, უბრალოდ, თავისუფალ ვარდნაშია. პატრონი რომ ჰყავდეს, რეჟისორიც ხომ ეყოლებოდა, მხატვარიც, რომელიც რამე ეტაპზე მაინც გასცდებოდა პაპიემაშესგან გამოჭრილ ღრუბლებს და გვირილებს ფონად, ვინმე მაინც გააკონტროლებდა ტექსტის მინიმალურ შინაარსს და სლენგს, ხუმრობებს და წუნას, ან ნებისმიერი სხვა წამყვანის, გონებრივ-ინტელექტუალური უგემოვნებობების ანაბარა არ იქნებოდა მთელი არხი, თუ I ST-ს, საერთოდ, შეიძლება არხი ვუწოდოთ.

ჩემი შვილები ნამდვილად არ უყურებენ I ST-ს, კატეგორიულად არ უსმენენ აჩი მეფარიძეს და წუნასავით არ ლაპარაკობენ. ამით, ნაწილობრივ მაინც, მშვიდად ვარ, მაგრამ არსებობს უამრავი ბავშვი, რომელიც არხსაც უყურებს, რეკავს, SMS-ებს აგზავნის და ჯილდოდ მომწამვლელ, მეფარიძის კლიპს "მშვიდობით" ღებულობს.

აჩი+წუნა - ეს უკვე საგანგაშოა, დამიჯერეთ. თუ ამ ბავშვებს მშობლები ჰყავთ, არხს კი პატრონი, ან ერთმა გააკონტროლოს თავისი შვილების ჩამოყალიბების პროცესი, ან მეორემ მიხედოს თავის დებილ "შვილობილს". თორემ, ერთ დღეს, შეიძლება ბავშვთა დაცვის კომიტეტმა მიაკითხოს არხს და აჩი მეფარიძის საშუალებით ბავშვების შეშინებისთვის და წუნას საშუალებით, ბავშვების გაუზრდელობისთვის, პასუხი მოსთხოვოს.

აჩი + წუნა = ?

აი, უკვე რამდენიმე თვეა, რაც გაზეთ "24 საათში" დავიწყე მუშაობა და ასე ვთქვათ, ჩემი აზრების თქვენდამი გულახდილად გაზიარება.

ვერ გეტყვით, რომ თემატიკის, შესაქებ-გასაკრიტიკებელი ობიექტების ნაკლებობას განვიცდი, მაგრამ მუშაობის პირველივე დღიდან ერთი თემა მაწუხებს, მინდა გაგიზიაროთ, მაგრამ ვერაფრით გავუგე თავი და ბოლო, რითი უნდა დავიწყო და როგორ გადმოგცეთ სრულად ჩემი აზრი ქართული ტელევიზიის ერთ-ერთ არხზე, რომელსაც I ST ჰქვია და რომელიც, არც ვიცი, ვისია ან რისია.

ერთი კი ვიცი, რომ ეს არხი ახალგაზრდებისთვის არის გათვალისწინებული, უფრო სწორად, მათი გემოვნების დასაქვეითებლად, ლექსიკის გასაბინძურებლად, აზროვნების მოსაწამლად და ღირებულებების დასაკარგად.

"Что такое хорошо, что такое плохо?"

აი, სწორედ I ST არის плохо, თანაც, ძალიან плохо!

საინტერესოა, რა კრიტერიუმების მიხედვით იღებენ ამ არხზე სამსახურში? ალბათ, არ უნდა გქონდეს წაკითხული არც ერთი წიგნი, არ უნდა გქონდეს 8 კლასის ზემოთ მიღებული განათლება, ჯდომა წოლას უნდა ნიშნავდეს და როდესაც დგახარ, ყველას უნდა ეგონოს, რომ ზიხარ. უნდა იყო "თავისუფალი", ამ სიტყვის I ST-ეული გაგებით, უნდა ფლობდე თბილისის გარეუბნების ლექსიკონს, უნდა აქნევდე

სახლი

30-იანი წლების თბილისის ერთ-ერთი გარეუბანი - ფიქრის გორა, შეყვარებული წყვილების სასეირნო ადგილი იყო.

სწორედ 30-იანი წლების დასაწყისში, სწორედ აქ - ფიქრის გორაზე, მიშა ჭიაურელმა პირველად აკოცა თავის შეყვარებულს - ვერიკო ანჯაფარიძეს და სიტყვა მისცა, რომ პირველი კოცნის ადგილზე სახლს აუშენებდა და მას აჩუქებდა.

შეყვარებულები დაქორწინდნენ, დანაპირები შესრულდა და დღეს ფიქრის გორაზე, აი, უკვე 70 წელზე მეტია, დგას სახლი, რომელშიც ქართული კინოსა და თეატრის კორიფეები ცხოვრობდნენ და რომელშიც მათი ქალიშვილი, სოფიკო ჭიაურელი დაიბადა.

სახლს, რომელიც ყოველთვის სტუმრებით იყო სავსე და საიდანაც ქართული სიმღერის, რუსული რომანსის (ბატონი მიშა შესანიშნავად მღეროდა), სიცილისა და მხიარულების ხმა გამოდიოდა, არასდროს ეტყობოდა განსაკუთრებული ფუფუნება, ნივთების კულტი, მაგრამ ყოველთვის იყო ის სულიერება, რომელსაც მხოლოდ ძალიან დიდი ხელოვანი თუ შექმნის.

სახლის მთავარ, მისაღებ ოთახში ანტრესოლით, იდგა დიდი ბუფეტი, ცენტრში სასადილო მაგიდა, ბევრი ნახატი კედლებზე, მათ შორის ფიროსმანებიც. ბატონი მიშას სამუშაო კაბინეტი - შემინული წიგნის თაროებით, ფოტოებით, თავისი გამოძერწილი პორტრეტებით, დიდი, ღრმა სავარძლებით, სხვადასხვა თარიღთან დაკავშირებული სამახსოვრო საჩუქრებით და სულით, რომელიც ამ სახლის მთავარი სიმდიდრე იყო.

დღეს სახლის პირველ სართულზე, სწორედ იქ, სადაც მიხეილ ჭიაურელი და ვერიკო ანჯაფარიძე ცხოვრობდნენ, თეატრია, "ერთი მსახიობის თეატრი". ინტერიერი შესაბამისად შეიცვალა, ნივთების დიდი ნაწილი ახალაშენებულ ზედა სართულზე აიტანეს, სადაც დღეს სოფიკო ჭიაურელი ცხოვრობს. მაგრამ დარჩა მთავარი, რაც ამ სახლს ახასიათებდა - თეატრი, კინო და ზოგადად ქართული კულტურა, რომელსაც ამ სახლის ყველა თაობის მაცხოვრებელი ასე წარმატებით ემსახურებოდა და ემსახურება დღესაც.

ევროპული კინოს ახალი ვარსკვლავი

ალექსანდრა მარია ლარა

გერმანული ჟურნალი "შტერნი" ალექსანდრა მარია ლარას ასე ახასიათებს: "კალმით ნახატი. სუპერწარმატებული. უზომოდ სიმპათიური. ეს ქალი ნამდვილი კატასტროფაა."

ეს "კატასტროფა" ძალიან ბევრ კოკა-კოლას სვამს. ის მართვის უფლებისთვის გამოცდაზე უკვე სამჯერაა გასული – და ყოველ ჯერზე იჭრება. მან უკვე 30-ზე მეტ კინო და სატელევიზიო გადაღებაში მიიღო მონაწილეობა და თვალნათლივ წარმოაჩინა, რომ ძალიან ნიჭიერი, შრომისმოყვარე და მრავლისშემძლეა. არადა, ლარა 25 წლისა მხოლოდ ახლა გახდა.

ერთ-ერთ ყველაზე დიდ რეკლამაზე, "ფლეიბოისთვის" სურათების გადაღებაზე ლარამ უარი განაცხადა: "ბედნიერებისთვის გახდა სულ არ მჭირდება". მისი ეს განცხადება არავის გაჰკვირვებია, თუნდაც იმის გამო, რომ ვარსკვლავების პირადი ცხოვრებით დაინტერესებულმა საზოგადოებამ მისი ზნეობრივი მდგრადობის ამბავი კარგად იცის. ლარა, უკვე შვიდი წელია, თავის შეყვარებულთან, ფლორიანთან ერთად ცხოვრობს, "რადგან ჩვენი შეხვედრა საბედიწერო იყო". ლარას თავისი მშობლები უყვარს, თავმდაბლობა დიდ ღირსებად მიაჩნია და მოწევასაც კი დაანება თავი, მოკლედ, ყოჩაღი ალექსანდრაა, კარგი ბავშვი. და როცა მთელ ამ სიკეთეს გედივით ყელი და ხავერდოვანი, წაბლისფერი თვალები აგვირგვინებს, სულ არაა გასაკვირი, რომ მსახიობისგან ახალი ოდრი ჰეპბერნის შექმნას ცდილობენ – პატარა გოგონასავით სახისა, ნებისმიერ ასაკში შვლის ნუკრს რომ ჰგავს.

მართალია, ალექსს (ამ სახელით მას მეგობრები მიმართავენ) ეს იმიჯი უკვე ნერვებს უშლის. მას გამუდმებით უწევს იმის მტკიცება, რომ უწმაწური ანეკდოტებისგან არ წითლდებდა, და როცა ჩხუბობს, მის რისხვას სერიოზულად არავინ იღებს.

გასული წელი ალექსანდრასთვის საკმაოდ მძიმე და დაძაბული იყო. კინოკომედია Cowgirl-ის გადაღების შემდეგ მან ბრუნო განცსს დაუმშვენა გვერდი და ჰიტლერის მდივნის, თრაუდლ იუნგეს როლი შეასრულა დრამატულ ფილმში "დაისი". ფიურერის მიერ ბუნკერში გატარებული უკანასკნელი დღეების აღმწერი ეს სურათი ეკრანებზე მხოლოდ სექტემბერში გამოვა.

ლარა არც ტელევიზიას ივიწყებს: არხ ARD-ს სამნაწილიან ფილმში - "ნატვრის ხე" - მან მთავარი გმირის სახე შექმნა – საპნის ფაბრიკის მფლობელის ფუფუნებაში გაზრდილი ქალიშვილისა. მამამისმა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს მთელი თავის ქონება სამორინეში დატოვა, და ახალგაზრდა ქალს თავდაუზოგავად უწევს შრომა მშობლების ავლა-დიდების დასაბრუნებლად. "გადაღებების ეს 70 დღე ძალიან მძიმე იყო," ჩივის ლარა, "და თუ რამე გამომივიდა, საქმე მართლაც საამაყოდ მქონია".

როგორც კი ალექსანდრა თავის სამუშაოზე იწყებს ლაპარაკს, ნათელი ხდება, რომ მისთვის მეორეხარისხოვანი როლი არ არსებობს. "მამაჩემისგან მშვენიერი და ძალიან მნიშვნელოვანი რამ ვისწავლე – თამაშის დროს სიამოვნებას განვიცდი, მიხარია, როცა კამერის წინ ვდგავარ. მე სიამოვნებით ვიცინი მაშინაც, როცა ეს შეკვეთილი სიცილია". მამამისი, ვალენტინ პლატარენუ, ბუქარესტის თეატრის ვარსკვლავი იყო, დღეს კი ის ბერლინში სამსახიობო ხელოვნებას ასწავლის.

1983 წელს ამ კაცმა გადაწყვეტილება მიიღო: თავისი ცოლი, დოინა და ოთხი წლის ქალიშვილი "ლადაში" ჩასხა და რუმინეთიდან დასავლეთ ბერლინში გაიქცა. მშობლებს უნდოდათ, რომ მათი შვილი თავისუფალ ქვეყანაში გაზრდილიყო. ბერლინში ჩასვლის შემდეგ მიღებულ შთაბეჭდილებებს ალექსანდრა სიამოვნებით იგონებს: "ფერადი ტელევიზორი და მოძრავი კიბე – ასეთი რამ არასოდეს მენახა და ჯადოქრობა მეგონა!"

სახელის შეცვლა მას 17 წლის ასაკში მოუწია, როცა ტელე-არხ ZDF-ზე, სერიალში "პია, ადამიანოს" იღებდნენ – მისმა აგენტმა ბრძანა, ასეთი ენისსატეხი გვარით ვერასოდეს ვერაფერს მიაღწევო.

როგორც ჩანს, აგენტი დიდად არ ტყუოდა. ტელესერიალ "გვირაბში" გადაღების შემდეგ ლარას ნომინაციაში ჯილდო "ახალი სახე" მიანიჭეს და უამრავი როლიც შესთავაზეს.

ალექსანდრა მხოლოდ ბერლინში როდია ვარსკვლავი. ის არც შეერთებულ შტატებსა თუ დიდ ბრიტანეტში დარჩა შეუმჩნეველი. ლარა "დოქტორ ჟივაგოში" გადაიღეს, და მსახიობი ძალიან კმაყოფილია, რომ ჩინებული ინგლისურის ცოდნა გამოავლინა. "მართალია, ენა წესიერად არ ვიცოდი, მაგრამ კარგი სმენა მაქვს და ერთმა კაცმა მითხრა, აპარატი, ანუ პირიც სათანადოდ გაქვს მოწყობილიო..."

ამჟამად ალექსანდრა მარია ლარა ახალი კინოფილმისთვის ემზადება, რომლის სახელწოდებაც "სიყვარულის ძიება და პოვნა" იქნება. "ძალიან მიხარია," ამბობს ალექსანდრა, ოღონდ – ჩუმად, ეშინია, რომ ბოლო წუთს შეიძლება რამე შეიცვალოს. "ხუმრობა საქმეა – სცენარის ავტორი თავად პატრიკ ზიუსკინდია!"

ჩვენ კი დავიმახსოვროთ ეს სახე და სახელი – ალექსანდრა მარია ლარა, ევროპული კინოს ახალი ვარსკვლავი.

სკანვორდი



TV პროგრამა

17 იანვარი

რუსთავი - 2

08.00 კლასიკა **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.15** სერიალი "ლუისი და კლარკი" **10.30** მულტფილმი "ალადინი" **12.20** დოკ. ფილმი "ველური სამყაროს ამბები" **13.15** მხ. ფილმი "იტალიელთა საოცარი თავგადასავალი რუსეთში" **15.20** მხ. ფილმი "ბეჭდების მბრძანებელი" **18.00, 21.00** კურიერი **18.20** მხ. ფილმი "ბეჭდების მბრძანებელი" **19.10** მხ. ფილმი "ფანტომასი სკოტლანდ იარდის წინააღმდეგ" **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** "ფსიქო": "მომთვინიერებელი მორანდი". რეჟ.ბრიუს ბერესფორდი. **02.00** მხ. ფილმი "მულენ რუჟი". მთ. რ-ში: ნიკოლ კიდმანი, ევან მაკგრეგორი.

პირველი არხი

08.00, 15.00, 20.00 მოამბე **08.15** მხ. ფილმი "ჩრდილოეთის ვარსკვლავი" **09.45** კრიმინალური ქრონიკა **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.05** გლობუსი **12.35** პოზიცია **13.25** კვალი **13.50** დოკ. ფილმი **14.25** საქართველო, დრო, მოვლენები **15.15** ქართ. ფილმი "პირველი მერცხალი" **16.45** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **17.00** საწინდარი **17.30** სახსოვარი **18.00** ვესტნიკი **18.45** "თბილისის დროით" **19.05** ისტორიანი **19.35** გინდ დაიჯერეთ, გინდ არა **20.35** ცაიტნოტი **22.00** ფორტუნა **22.40** პროფათეული **23.15** ამბობენ **23.50** მოამბე **00.05** მხ. ფილმი "ოთხთა სიყვარული" **01.30** ღამის ჯაზი

პირველი სტერეო

07.30 მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ქართული მუსიკა **15.00** ინფორმატორი **15.20** ფილმი "სად არის ნემო". ანიმაციური ფილმი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "ახალგაზრდა ადამი" მთ. რ-ში ევან მაკგრეგორი, ტილდა სუინტონი. **01.50** "ღამურა" "იტალიელი საყვარლები" მთ. რ-ში ლენ კაზანი, ჯოზეფ ბოლონია. **03.45** პაუზის გარეშე

მზე

09.00 მულტფილმი "ჯუნგლების წიგნი" **10.15** საბ. სერიალი "მეათე სამეფო" **11.30** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **12.00** საფეხბურთო მიმოხილვა **12.30** დეტექტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **13.30** მხ. ფილმი "ნათლია" **14.00, 17.00, 20.50** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.10** შოუ "არდადეგები ყინულზე" **18.05** სერიალი "შოკის შემდეგ" **19.00** ფეხბურთი. პრემიერ ლიგა. **21.20** მხ. ფილმი "გაიქეცი რონი გაიქეცი" **23.00** მხ. ფილმი "ნათლია-2"

მეორე არხი

19.00 მულტფილმი **19.25** ბენი ჰილი **20.00** ჯანმრთელობა **21.30** სტუმრად მსახიობთა სტუდიაში **21.30** წარსულის ტერიტორია **22.40** მხ. ფილმი "შურისმაძიებლები: თამაში ორისთვის"

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "ტიტანიკი" **15.00** მხ.ფილმი "რაზმი ზღვის კატები" **17.00** მხ.ფილმი "წამომწყები" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** მულტფილმი "ველური თრომბერატების ოჯახის თავგადასავალი" **21.00** მხ. ფილმი "ძმები ბლუზები" **23.30** მუსიკა **00.20** მხ. ფილმი "ეშმაკისეული"

იბერია

08.00 ანონსი, დიალოგი **10.30** მხ. ფილმი "მილუ მაისში" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10** მულტფილმი **13.30** დოკ. ფილმი **14.50, 17.50, 18.30, 21.55, 02.30** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი **17.20** მუსიკა **18.00** დოკ. ფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.30** მულტფილმი **20.30** ლიტერატ. გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **23.30** მხ. ფილმი "ისინი და სხვანი"

მეცხრე არხი

08.10 მხ. ფილმი "ამერიკის რჩეულნი" **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "მეფური ცხოვრება" **13.15, 16.20, 17.50, 22.00** მუსიკა **13.30** დოკ. ფილმი "ფურცლები საბ. შაქ. ისტ." **14.00** მულტსერიალი "მარკო და ჯინი" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** "ყვითელი კვადრატი" **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "ზამთრის ალუბალი" **16.35** დოკ. სერიალი "ველური ვარსკვლავები" **17.00** მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი "მარკო და ჯინი" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** "საუბრები სტუდიაში" **20.00** დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" მე-3ნ. **21.15** მხ. სერიალი "საფრთხის ზღვარს მიღმა" **22.20** "ტელემეტრი" **22.30** "ოლიმპი" **22.50** მოკლ. მხ. ფილმი **23.20** ცხელი ცხრიანი **00.30** მხ. ფილმი "საჰაერო განგაში"

იმედი

09.00, 13.00, 15.00, 17.00 ქრონიკა **09.15** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **10.05** ანიმაციური სერიალი "ეგვიპტის ლეგენდა" 1-ლი ნ. **10.30** მხ. ფილმი "დაუმორჩილებელი" **12.30** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.10** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.35** "თემა" **15.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია - საკრამენტო-ლეიკერსი **17.05** დოკ. სერიალი "მსოფლიოს იდუმალი ადგილები" **18.00** ერთხელ ჰოლივუდში **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.00, 22.00, 00.15** ქრონიკა **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "ყავა და ლუდი" მე-13ს. **21.30** ლარის მახე **22.40** კლიპ-ლოტო **23.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. **01.15** იმედის მელოდიები

არხი

08.00, 14.00, 18.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** საინფ.გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10, 19.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** სათავგადასავლო ფილმი "ზოროს ნიღაბი" **11.40** მუსიკა **12.20** ისტორიული ფილმი "მისიე ტ" **14.30** კომედია "მანიტუს მოკასინები" **15.50** მუსიკა **16.20** მულტფილმი "მაგიური მარგალიტი" **17.25** კომედია "ზევსი და როქსანა" **19.30** "ჭიტა-ჭიტა" **19.40** მუსიკა **20.00** დრამა "უბრალო ისტორია" **21.45** მუსიკა **23.00** Слово **23.40, 00.40** მუსიკა **01.00** ბოევიკი "ჩალის ქოფაკები" **02.50, 05.50** მუსიკა **03.40** კომედია "მეთორმეტე ღამე"

ОРТ

07.00, 11.00, 13.00, 19.00 Новости **07.10** "Ералаш". **07.20** Василий Лановой в фильме "**АЛЫЕ ПАРУСА**" **09.00** "**ТВИНИСЫ**". **09.20** Играй, гармонь любимая! **10.00** Слово пастыря. **10.10** Здоровье. **11.10** "Смак" **11.30** "Возвращение домой. Иосиф Кобзон. Днепропетровск. Донецк" **12.10** Догшоу. **13.10** История с географией. "Волчья стая". **14.20** Умницы и умники. **15.00** Дисней-клуб: "Тимон и Пумба". **15.20** Василий Лановой в фильме "**ПЯТЬДЕСЯТ НА ПЯТЬДЕСЯТ**" **17.10** Юбилейный вечер Василия Ланового **19.10** Боевик "**МЫШИНАЯ ОХОТА**" **21.00** "Кто хочет стать миллионером?" **22.00** Время. **22.25** Новогодняя ночь **02.00** Брендан Фрэйзер в комедии "**ВЗРЫВ ИЗ ПРОШЛОГО**" **03.50** Боевик "**УЛИЧНЫЙ БОЕЦ-2**" **05.40** Сериал "**ШПИОНКА**".

РТР

06.45 Василий Лановой в фильме "**КОЛЛЕГИ**". **08.25** Сериал "**АКАДЕМИЯ КОЛДОВСТВА**". **08.45** Золотой ключ. **09.05** Русское лото. **09.45** Большая перемена. **10.10** Мультсериал "Том и Джерри". **10.45** Утренняя почта. **11.20** "Не скуЧАЙ!" с Михаилом Евдокимовым. **12.15** Сам себе режиссер. **13.15** В поисках приключений. **14.15** "Другой мир. Карлики и великаны". **15.00, 21.00** Вести. **15.20** Олег Жаков в детективе "**БЕЗ ПРАВА НА ОШИБКУ**". **17.00** Питер Фальк в комедии "**ДЕШЕВЫЙ ДЕТЕКТИВ**" **19.00** Аншлаг. **20.00** Новогодний голубой огонек на Шаболовке. **23.40** Мел Гибсон в комедии "**ЧЕГО ХОТЯТ ЖЕНЩИНЫ**" **02.10** Рон Перлман в фильме "**ПЕРВОБЫТНАЯ СИЛА**" **04.05** Кевин Спейси в фильме "**ПОЛНОЧЬ В САДУ ДОБРА И ЗЛА**"

НТВ

07.25 Борис Бабочкин в фильме **"ЧАПАЕВ"** **09.00, 13.00, 17.00, 20.00** Сегодня **09.15** "Улица Сезам". **09.45** "Та-рарам!" **09.55** "Без рецепта". Доктор Бранд. **10.30** Мультфильм "Ну, погоди!" Выпуск 1-й. **10.40** Обозреватель. **11.10** Кулинарный поединок: Лада Дэнс - Сергей Гаранин. **12.05** Квартирный вопрос. **13.15** "Дикий мир: волчья политика". Экспедиция Тимофея Баженова. **14.05** Джина Дэвис в фильме **"ОСТРОВ ГОЛОВОРЕЗОВ"** **16.20** Вкусные истории. **16.25** Премьера. "Рекламная фишка". **17.20** Зураб Церетели. "Женский взгляд" **18.05** Сериал **"КОЛЛЕКЦИЯ ДАНИЭЛЫ СТИЛ: НАЧАТЬ СНАЧАЛА"** 1с. **19.10** Своя игра. **20.00** "Личный вклад". **21.00** Владимир Ильин в комедии **"ХОЧУ В ТЮРЬМУ"**. **23.00** Роберт Де Ниро в фильме **"ПРОБУЖДЕНИЯ"** **01.20** Джон Малкович в фильме **"ТЕНЬ ВАМПИРА"**

ნუგეში ჯეისონ ალექსანდერისთვის

სავსებით დასაშვებია, რომ ბრიტნი სპირსი უგონოდ მთვრალი იყო, როცა 3 იანვარს, დილის ხუთ საათზე, თავის საბავშვო ბაღის მეგობარს, ჯეისონ ალექსანდერს, ლას ვეგასში ცოლად გაჰყვა. მაგრამ ბრიტნის ადვოკატები არც მთვრალები ყოფილან და არც გონებადაბინდულები – 55 საათის შემდეგ მომღერალი კვლავ გადასათხოვარი აღმოჩნდა – სხვა თუ არაფერი, საქმე მის 90 მილიონიან ავლა-დიდებას შეეხებოდა!

მიუხედავად ამისა, ბრიტანული გაზეთი "სანი" წერს, რომ ალექსანდერმა მთლად დაჩაგრულადაც არ უნდა იგრძნოს თავი. უკვე ცნობილია, რომ ბრიტნი მას "პორშეს" აჩუქებს. ახლა იმასაც ამბობენ, რომ ბრიტნისა და მის მეურვეებს განქორწინება ნახევარი მილიონი ევრო დაუჯდათ, 8 ათასი ევრო ყოველი საათისთვის, რომელიც მომღერალმა და ჯეისონმა ცოლ-ქმრის სტატუსით გაატარეს. გაზეთს ალექსანდერის სიტყვები მოჰყავს, რომ ქორწინების ანულირების შესახებ მოლაპარაკებების დროს მას 60 ათასი ევრო უკვე მისცეს.

თანხები სახუმარო არაა, მაგრამ არავინ იცის, რამდენად შეესაბამება ისინი იმ ზარალს, რომელიც ჯეისონის გრძნობებმა განიცადა. თან ალექსანდერის მეგობრები ერთხმად იძახიან, სიმთვრალე რა შუაშია, ბრიტნის მისი ცოლობა ნამდვილად უნდოდაო.

თავად ბრიტნი ამტკიცებს, რომ "ყველაფერში დამნაშავე ლას ვეგასი იყო", რომ სწორედ მან "მოუღო ბოლო". ამ ამბის მერე ბრიტნის იმიჯთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები შეექმნა.

მუსიკალურ არხ MTV-სთან საუბარში მან ძველებურად დაიწყო ჭიკჭიკი: "მე ქორწინების სიწმინდის მტკიცედ მჯერა". საბედნიეროდ, საქმე იქამდე არ მისულა, რომ თავისი "საფირმო" წინადადება წარმოეთქვა: "მე თავს ქორწინებისთვის ვინახავ". ისე, რაც თქვა, სასცილოდ ისიც საკმარისია: "რატომ არავის ახსენდება, რომ იმავე დღეს აშშ მარსზე დაეშვა?"

პასუხად კითხვაზე, უყვარს თუ არა ალექსანდერი, ბრიტნიმ ბრძანა, ეს ძალიან პირადი ამბავიაო, და უმალვე თავის ახალ ვიდეოკლიპზე დაიწყო ლაპარაკი.

„ბერლინალეს„ დედოფალი ნიკოლი იქნება

ბერლინის 54-ე საერთაშორისო კინოფესტივალი 5 თებერვალს ანტონიო მინგელასის ფილმით, "ცივი მთებით" გაიხსნება. საზეიმო ცერემონიაში მთავარი როლის შემსრულებელი, ნიკოლ კიდმანიც მიიღებს მონაწილეობას.

ვარაუდობენ, რომ "ცივ მთებს" "ბერლინალეზეც" დიდი წარმატება ექნება. მას "ოსკარის" რეალურ კანდიდატადაც ასახელებენ, მით უმეტეს, რომ "ოქროს გლობუსი" უკვე მიღებული აქვს.

გადაღებები ბერლინში

რამდენიმე დღეა, ბერლინში, ფრიდრიხშტრასეს სადგურს, უზარმაზარი პროჟექტორები ანათებს. აქ ჰოლივუდის ახალი ფილმის, "ბორნის უპირატესობას" გადაღებები მიმდინარეობს, რომელიც წარმატებული "ბორნის იდენტიფიკაციის" გაგრძელება იქნება. მთავარი როლების შემსრულებლებად კვლავ მეტ დეიმონი და ფრანკა პოტენტე გვევლინებიან.

მართალია, გადაკეტილ ქუჩებზე ლოს ანჯელესიდან შინ დაბრუნებულ ფრანკას ვერ შეხვდებით. ბერლინელებს გზას მხოლოდ დეიმონი უღობავთ. მაგრამ ბერლინელები არ ბრაზობენ, ისინი ხალისით შეჰყურებენ გადამღები ჯგუფის ფორიაქს.

ქალაქის პოლიციელებიც დაუზარლად მუშაობენ – ვარსკვლავის დაცვაში მათ დამატებით ფულს უხდიან.

ფსიქოთერაპიული ცენტრი "არსი"

(ხელმძღვანელი პროფ. გივი მერაბიშვილი)

კურნავს ფსიქიკურ აშლილობას. ახორციელებს მშობელთა კონსულტაცია-ტრენინგებს და ამზადებს სპეციალისტებს.

ტელ: 93-11-05, 57-37-13.

წამალი "სალხინო" ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.